# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 1 აპრილი 2000 №60 (1082) | ფასი 50 თეთრი

რაგბი. ევროპის ერთვნებათა თასი. „ა" ჯგუფი. მეოთხე ტური

## საქართველო — რუმინეთი

2 აპრილი. თბილისი. 15 საათი

# წინ, გორჯღალისთვის!

გამარჯვებისთვის! მსოფლიოში ყველაზე ვაჟკაცური თამაშისთვის! მოხდენილი ჯილდოსთვის! ხალხის და გუნდის ერთობისთვის! მინდვრის არც ერთი გოჯი არ არის სხვისი. მინდორი ჩვენია! არ დავკარგოთ ის, რაც ჩვენია!

# მიაწვა! მიაწვა! მიაწვა!



სდასუ — აზოტი 76:78. აზოტელი რამაზ გოგობერიშვილი (ბურთით) ვერ შეაჩერეს

## ვამბობთ ერთს, ვგულისხმობთ სამს

საქართველოს ჩემპიონატი

„ბასკო", „აზოტი", სტუ... ამ გუნდებს კვლავაც თანაბარქულიანი „ვითა" და სდასუ ჩასდგომიან კვალში, ბოლო კი ისევ „მაკაბია".

გუშინ ექვსეულის პირველი წრე დასრულდა. ვითარება ძველებურად ბუნდოვანია, მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება დაბეჯითებით: „ბასკო" პლეიოფშია.

დაახლოებით იგივე ითქმის ვიცე-ჩემპიონ „აზოტსა" და ბრინჯაოს პრიზიორ სტუ-ზე, პრაქტიკულად მათაც განაღდებული აქვთ ოთხეულში თამაში, მაგრამ სანამ ამ გუნდების დაქვეითება თეორიულად შესაძლებელი იქნება, არც „აზოტს" და არც სტუ-ს მოდუნების უფლება არა აქვთ.

იხილეთ მეათე გვერდი

## ნემსაძეს დღეს უპასუხებენ

საქართველოს ნაკრების კაპიტნის, გიორგი ნემსაძის ედინბურგის „ჰიბერნიანში" ჩარიცხვის ამბავი დღეს უნდა გადაწყდეს.

გუშინ ისრაელიდან თბილისს ჩალჩამოსულ ნემსაძეს რომ შევეხმიანეთ, ეს გვითხრა:

— შაბათს, დილით ველოდები შოტლანდიელთა ზარს. ტრანსფერების ვადა იწურება და „ჰიბერნიანმა" ზუსტად უნდა მითხრას, ვჭირდები თუ არა. ვიცი, რომ ისრაელ — საქართველოს მატჩს „ჰიბერნიანის" ერთ-ერთი მწვრთნელიც ესწრებოდა, თუმცა მას არც შევხვედრივარ, არც მისაუბრია. სხვას ვერაფერს გეტყვით, თუ წასვლაა, შოტლანდიაში ალბათ სამშაბათს გავფრინდები.

ჩვენი ცნობით კი, „ჰიბერნიანი" მზადაა ნემსაძესთან კონტრაქტის გასაფორმებლად.



რაგბი ის თამაშია, რომელსაც გუნდი და გულშემატკივარი ერთად იგებს და ერთად აგებს

საქართველო — რუმინეთის მატჩისწინა ამბები იხილეთ მერვე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს 11 ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

5 ტური ანონსი

# შერონ სტოუნის მოკლე ფეხები

ღმერთმა ისე დამსაჯა, ბოლო ორი წელია, ქართულ ფეხბურთზე მიწევს წერა. იმასაც ვხვდები, საწუწუნო არაფერი მაქვს, რადგან სპორტული ჟურნალისტობა თავად გავიხადე პროფესიად. არ მინდა, მადლიერ მკითხველს თავი მოვაბეზრო და ვათქმევინო, წერას აუტანიაო, მაგრამ უნდა გამიგოთ. ძალიან, ძალიან ძნელია არარსებულზე წერა, მით უმეტეს მაშინ, როცა გინდა, ქართული ფეხბურთით დააინტერესო გულშემატკივარი და მოუწოდო, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს დაესწროს.

მორიგი სამუშაო დღე გაგვითენდა გუშინ და მორიგი უქმეების შესახვედრი განწყობილებით მივუჯექი საწერ მაგიდას. უჯრა გამოვალე და XI გათამაშების II ეტაპის კალენდარმა მომჭრა თვალი. მე-5 ტურის მატჩები მოგვდგომია კარს და ისე მიყურებს რვა წყვილი, თითქოს, ჯვარი დამწერეო, მთხოვდეს... მომლიმარს უნებურად შერონ სტოუნის პლაკატისკენ გამირბის მზერა, იქით ენაგადმოგდებულ დიეგო მარადონას გავცქერი და შურით მეწამლება გონება. რა იქნებოდა, შერონივით ფეხებზე გვეკიდოს ფეხბურთი ან დიეგოსავით შეგვეძლოს ბურთის თამაში. ხომ ვიქნებოდით ბედნიერები მეც, შენც და ტრიფონიაც.

მერე ბალზაკი მახსენდება: „დიდება მკვდრების მზეა. სიცოცხლეში შენ იქნები ისეთივე უბედური, როგორც ყველა დიდი ადამიანი". ნუთუ მართლა ისეთი დიდკაცები ვცხოვრობთ საქართველოში, რომ ფეხბურთის სიყვარულმა სიცოცხლეში არ გვაღირსოს ბედნიერება"...

მე-5 ტური დღეს (დიდება შენდა, უფალო!), 1 აპრილს დაიწყება და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ყველაფერი ანცი სელაპივით ამოტრიალდება.

„ა" ზონის ცენტრალურ შეხვედრაში „კოლხეთი" მცხეთაში ეწვევა „ვიტ ჯორჯიას" და დაბადებას აწყევლინებს. ლამაზი სანახაობა იქნება „არმაზზე". მაყურებლები ტრიბუნებზე ვერ დაეტევიან. ზოგი მათგანი ხეებზე მოკალათდება, ზოგიც ჯვრის მონასტერს მიაშურებს და ბინოკლით ჩამოჯდება მთის წვერზე. ორივე გუნდის მწვრთნელი შემტევ ტაქტიკას აირჩევს და ფეხბურთელებიც ზედმიწევნით ზუსტად შეასრულებენ მითითებებს. პირველ ნახევარში ოდნავ გაუჭირდებათ კოლხებს აკლიმატიზაციის გამო, აი, მეორეში კი მეორე სუნთქვა გაეხსნებათ ფოთელებს და ვეტერინარები პრეპარატ „ადვილით" სამკურნალონი გახდებიან. არ არის გამორიცხული, ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ რამდენიმე ვიტჯორჯიელმა დოპინგი შეიშხაპუნოს ორგანიზმში და „არმაზის" სიგრძე-სიგანეში ვერ დაეტიოს. აქედან გამომდინარე, გეტყვით, შეხვედრა ფრედ დასრულდება და შედეგი გაპროტესტდება.

შურისძიება ხუთი წლის შემდეგ. სამტრედიის „იბერია" ეროვნულზე „დინამოს" ძველ ცოდვებს მოჰკითხავს და მიწაზე დაშვებას სანატრელს გაუხდის. კი არ ითამაშებენ, იფრენენ დღეს იმერლები და საჰაერო ბრძოლებში გაანადგურებენ დამძიმებულ ჩემპიონებს. „დინამო" კარისკენ მხოლოდ ერთხელ დაარტყამს და ბურთი გვერდით ხაზს გადაკვეთს. ათასამდე სამტრედიელი გულშემატკივარი გულს მოიოხებს, მატჩის შემდეგ დილმის პირველ ბენზინგასამართ სადგურამდე ფეხით ივლის და ლოზუნგს აფრიალებს წარწერით: „შურისძიება და კანონი". ოთარ კორღალიძესა და მის შეგირდებს სამი თვის ხელფასებს დაუქვითავენ და ფრანსუა დე იონგის სტილში 450 წუთს არბენინებენ სტადიონის ირგვლივ. დღეს ხომ 450 წუთი შესრულდება, რაც „დინამო" გოლის გატანას ვერ მოახერხებს.

„გმადლობთ, უფალო, რომ გამაჩინე აუხდენელ ოცნების კაცად" — ეს სიტყვები მერაბ კოსტავას ეკუთვნის და დღეს საღამოს ქუთაისის „ტორპედოს" საყვარელ სტრიქონად იქცევა. ბოლნისში ჩასულ „ა" ზონის ლიდერებს „სიონი" საჩემპიონო ოცნებას „თემურ სტეფანიაზე" დაუსამარებს. მეორე ნახევრის მიწურულს „ალა და ფანობა" „ტორპედოს" შეიბრალებს და საკუთარ გუნდს შესძახებს, მეშვიდე ბურთი აღარ გაუტანონ სტუმრებს. შინ გაბრუნებულ ქუთაისელებს რიკოთის უღელტეხილზე მოუწევთ გადასვლა, იმ მიზეზით, რომ გვირაბში „ტორპედოს" გაავებული, ტერორისტი ფანები ჩაუსაფრდებიან. ქუთაისამდე რის ვაი-ვაგლახით ჩაღწეულ ფეხბურთელებს ხალხი დაატყვევებს, „ტორპედოს" სტადიონზე მიიყვანს და აჩირაღდნებულ პროჟექტორებს აყურებინებს გათენებამდე. მწვრთნელი დავით ყიფიანი სასწაულებრივად გაეცლება იქაურობას და წყალწითელას სანაპიროზე მიიმალება...

გორი ვერც დღეს ეღირსება ფეხბურთს. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ვაჟა ჟღენტი ესტუმრება ქართლს და თამაშის გადატანას მოითხოვს. საქმეში ფიფა და უეფა ჩაერევა და მატჩი 2 საათის დაგვიანებით მაინც შედგება. „დილა" ვარიანელი მოკრივე გიორგი კანდელაკივით



კოლხი მიხეილ ქობულაძე (შუაში) ვეტერინართა შეტევების ჩაშლას დღესაც ეცდება

შეუვალი და დაუნდობელი იქნება. „ბათუმს" იმგვარ ნოკაუტში გაგზავნის, მის იტალიელ მწვრთნელს, ჯანი კარნევალის რიო დე ჟანეიროს კარნავალზე ეგონება თავი. აჭარელთა სახელგანთქმული დაცვა კარის ბადიდან ბურთის გამოტანას ვერ აუვა. გამარჯვებით გახარებული გორელი გულშემატკივრები ვაშლებსა და ქუდებს აისვრიან ჰაერში, რასაც დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვება, რადგან... ზოგიერთი ვაიქომაგი შეეცდება, სხვისი კარგი ქუდი დაიჭიროს და თავისი გაცრეცილი შორს, განზე გაისროლოს. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჯანი კარნევალი სიტყვაძუნწი იქნება: „არივედერჩი!" ესე იგი, ნახვამდისო, იტყვის მისი ყოფილი უბუბლიკესობა და საქართველოს გაეცლება.

ასეთი გახლავთ „ა" ზონის ოთხივე მატჩის პროგნოზი. რაც შეეხება ჩაშვებულ „ბ" ზონას. მართალია, აქ შეხვედრები 2-3 აპრილს გაიმართება, მაგრამ ვინაიდან მათი ანონსი 1 აპრილის „სარბიელში" იბეჭდება, გაცნობებთ ტიბეტელი სულების გადაწყვეტილებას.

თავის პირველ და გამანადგურებელ გამარჯვებას მოიპოვებს თბილისის „არსენალი". წყალტუბოელები შესვენების შემდეგ მოედანზე გასვლას იუარებენ და მხოლოდ სფფ-ს პრეზიდენტის თხოვნის შედეგად გააგრძელებენ თამაშს. ტრიბუნებზე მოკალათებული გენერალ-ჯარისკაცები ერთხმად დაამღერებენ: „სამშობლოს არვის წავართმევთ" და გადაწყვეტენ, „არსენალს" ეწოდოს განსაკუთრებული დანიშნულების ქვეგანაყოფი. მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე გენერალ ჯონმალხაზ შალიკაშვილის სახელობის ორდენით დაჯილდოვდება. თითოეულ არსენალელს სოლიდურ პრემიასთან ერთად კერძო მფლობელობაში გადაეცემა ტანკი „T-80", რომელიც ტექნიკურად დათვალიერებული იქნება და „სონის" ფირმის მუსიკალური ცენტრით აღიჭურვება.

დიდი ანგარიშით დამარცხების გამო „სამგურალი" სამდღიანი შიმშილით დაისჯება. მეოთხე დღეს ფეხბურთელებს რესტორან „შავ ქვებში" მიიყვანენ და შორიდან აყურებინებენ, როგორ იბრაწება ამერიკული ქათმის ბარკლები.

„სინათლეზე" ცოდვის ტირილი იქნება. მატჩის 66-ე წუთზე ავჭალელი გულშემატკივარი მსაჯს მიეპარება და ბარათებთან ერთად საათსა და სასტვენს მოპარავს. შედეგად თამაში უხეშობასა და უსასრულობაში გადაიზრდება. გავა კიდევ 666 წუთი და „სინათლეზე" უკუნი დაისადგურებს. სტადიონის დირექცია სასწრაფოდ დაუკავშირდება ფიფას და კონსულტაციას სთხოვს. გააგრძელეთ თამაში მსაჯის საფინალო სასტვენამდე — შემოთვლიან მსოფლიოს ფეხბურთის მამები. ატყდება სატელეფონო რეკვები ქუთაისის „ტორპედოს" სტადიონზე. იმერლები აღმოსავლეთ ტრიბუნების უკან დამონტაჟებულ განათების სისტემას 180 გრადუსით შეატრიალებენ. 1200 ლუქსის რამდენიმე ძლიერი სხივი „სინათლემდე" მიაღწევს და „მერანი" — თსუ-ს მატჩის მსაჯი სათადარიგო საათსა და სასტვენს მოძებნის. ამასობაში კი ტაბლოზე 6:6 იქნება.

რუსთავში „ფოლადი" გალღვება. „ხობი" სამი ნიგერიელი ლეგიონერით გაძლიერებული ეწვევა „გორდას". დებულების თანახმად, მხოლოდ ორ მათგანს მიეცემა თამაშის უფლება. თუმც ხობელები დაასაბუთებენ, რომ უჩე სიასიას არაფერი აქვს საერთო ნიგერიულ წარმომავლობასთან და მის ძარღვებში ლაზური სისხლი ჩქეფს. სწორედ სიასია გაიტანს გადამწყვეტ გოლს და „გორდა" ზედიზედ მეორედ დამარცხდება. უჩეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელებიც დაადგამენ თვალს და სტოპერ-გამთამაშებელ-ფორვარდის პოზიციაზე სათამაშოდ შეიგულებენ.

ორშაბათს „თბილისი" გამოააშკარავებს, რომ მისი თანაქალაქელი „ლოკომოტივი" სოფლის გუნდის დონეზე თამაშობს. მეორე ეტაპზე პირველად დამარცხებული რკინიგზელები „ეტაპით მაგადანში გაგზავნას" ინატრებენ. კლუბის პრეზიდენტი სასწრაფოდ მიიწვევს ქალაქის არქიტექტორებს და მშენებარე „მიხეილ მესხის" პროექტს გადააკეთებინებს. სამშაბათიდან ვაკის სტადიონზე საფეხბურთოს ნაცვლად სარაგბო კომპლექსის მშენებლობა დაიწყება. რკინიგზის დეპარტამენტის შეფი „მიხეილ მესხს" საჩუქრად გადასცემს საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს, რომელიც 2 აპრილს ეროვნებათა თასის მფლობელი გახდება. „ლოკომოტივის" თავკაცი რევაზ ძოძუაშვილი ერთ პოსტს დატოვებს და მხოლოდ ეროვნული ნაკრების დამრიგებლის თანამდებობაზე დარჩება. „ლოკომოტივი" კვლავ თემურ მახარაძეს დააბრუნებს მთავარ მწვრთნელად.

დაბოლოს, შეხვედრები 16 საათზე დაიწყება. თუ ჩემი არ გჯერათ, ძველებურად 15 საათისთვის მიბრძანდით სტადიონზე და ერთი საათი მზესუმზირის ჭამით შეიქციეთ თავი. საერთოდ არ წაზვალთ? მაშინ ინატრეთ შერონ სტოუნივით „მოკლე" ფეხები და დაელოდეთ იმ დროს, როცა ჩვენი ბიჭები დიეგო მარადონასავით ათამაშდებიან...

**ხვიჩა სანიკიძე**



სამგურალელ შალვა ღონღაძეს (მარცხნივ) არსენალელი გურამ ხოსროშვილი ექაჩება

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 25 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 22 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 0 | 4 |
| 3 | დინამო | 4 | 0 | 4 | 0 | 0:0 | 0 | 21 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 4 | ბათუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:0 | 9 | 20 | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 5 | სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 17 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 6 | კოლხეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 17 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 7 | იბერია | 4 | 1 | 0 | 3 | 2:13 | -11 | 12 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:11 | -11 | 0 |
| 8 | დილა | 4 | 0 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 0 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | ლოკომოტივი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 19 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 10 | მერანი | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 18 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 9 |
| 11 | თსუ | 4 | 3 | 0 | 1 | 5:1 | 4 | 17 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 12 | გორდა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 15 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 2 | 4 |
| 13 | სამგურალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:2 | 0 | 10 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 14 | თბილისი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | -2 | 10 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 15 | ხობი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | -6 | 8 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | -6 | 0 |
| 16 | არსენალი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | -8 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | -6 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

# 5 ტური

ანონსი

## «ა» ზონა

თბილისი. „ეროვნული“. 1 აპრილი. 16 საათი

### დინამო — იბერია

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. კახიანი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

გორი. „ცენტრალური“. 1 აპრილი. 16 საათი

### დილა — ბათუმი

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ს. შალამბერიძე; პ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: ლ. გოჩაშვილი (დილა)

მცხეთა. „არმაზი“. 1 აპრილი. 16 საათი

### ვიტ ჯორჯია — კოლხეთი

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); მ. ელიკაშვილი (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 1 აპრილი. 16 საათი

### სიონი — ტორპედო

მსაჯები: ა. მეშკოვი; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. მენთეშაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: ვოლკოვი (სიონი)

## «ბ» ზონა

რუსთავი. „ფოლადი“. 2 აპრილი. 16 საათი

### გორდა — ხობი

მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებულნი: ზურაბ აიანადი (ხობი)

თბილისი. „სინათლე“. 2 აპრილი. 16 საათი

### მერანი — თსუ

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებულნი: კაკაბაძე (მერანი)

თბილისი. „ისანი“. 2 აპრილი. 16 საათი

### არსენალი — სამგურალი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: ირემაშვილი (არსენალი), ვოსკანოვი, სუხიაშვილი (სამგურალი)

თბილისი. „ისანი“. 3 აპრილი. 16 საათი

### თბილისი — ლოკომოტივი

მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ა. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

# ორშაბათს, ისანზე

კვირას თბილისში დიდი რაგბია. საქართველოს რაგბისტთა ნაკრებმა ეროვნებათა თასის გადამწყვეტ მატჩში რუმინეთის ეროვნულ გუნდს უნდა უმასპინძლოს. შეხვედრა „ეროვნულ“ სტადიონზე 15 საათზეა დანიშნული.

ამავე დღესაა დაგეგმილი ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის მეხუთე ტური „ბ“ ზონაში. ოთხიდან ერთ-ერთ წყვილს „თბილისი“ და „ლოკომოტივი“ ქმნიან. მოგეხსენებათ, „თბილისიც“ და „ლოკომოტივიც“ საშინაო მატჩებს „ეროვნულ“ სტადიონზე ატარებენ, ამიტომ ამ შეხვედრას ჩაშლა ემუქრებოდა.

„თბილისი“-„ლოკომოტივი“ 2 აპრილის ნაცვლად სავარაუდოდ 3-ში ჩატარდება, ანაც 2 აპრილს სხვა სტადიონზე შედგებაო, გვითხრეს რამდენიმე დღის წინ ფედერაციაში. გუშინ კი საბოლოოდ დადგინდა, მატჩი 3 აპრილს გაიმართება, თანაც არა „ეროვნულზე“. ფედერაციის გადაწყვეტილებით, „თბილისი“ რკინიგზელებს ავლაბარში „არსენალის“ კუთვნილ „ისანზე“ უმასპინძლებს.

ისევე, როგორც აპრილში ჩასატარებელი ყველა სხვა მატჩი, ეს შეხვედრაც დღის 4 საათზე დაიწყება.

ვანო ოქროპირიძე

# კობიაშვილი გაჯიუტდა

## ლევანმა ფინკეს არ დაუჯერა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ლევან კობიაშვილი

ოთხშაბათს აშქელონში გამართულ ისრაელ-საქართველოს ამხანაგურ მატჩში სტუმართა შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა გერმანული „ფრაიბურგის“ ქართველმა ლეგიონერმა ლევან კობიაშვილმა, რითაც კლუბის მთავარი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე ძალიან აღშფოთდა.

ისრაელის ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელებმა „ფრაიბურგის“ სამი ქართველი წევრიდან ორი გამოიძახეს — ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი. ცქიტიშვილს კი, როგორც იცით, დიდი ხანია, ფეხი აწუხებს და ამის გამო სრული დატვირთვით ჯერაც ვერ ვარჯიშობს. „ფრაიბურგის“ თავკაცი იაშვილისა და კობიაშვილის ნაკრებში მიწვევას დიდად არ გაუხარებია. ფინკეს ქართველი ფეხბურთელების გამოშვება საერთოდ არ უნდოდა, ბოლოსდა გატყდა, თუმცა ერთი პირობა მაინც წაუყენა. 45 წუთზე მეტს ნუ ითამაშებთო, გაუფრთხილებია მწვრთნელს ჩვენებურები ისრაელში გამგზავრების წინ. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ იაშვილი საერთოდ არ შესულა მინდორზე, წინა ტურში „ლევერკუზენის“ კარში გოლის გამტანი კობიაშვილი კი მსაჯის სასტვენამდე არ გამოსულა იქიდან. ფინკეც ამან ალაშფოთა.

„ასეთ საქციელს არ ვპატიებთ, ყველაფერს მოვკითხავთ“ — განაცხადა ფინკემ ადგილობრივ გაზეთთან საუბარში. კობიაშვილს ფინკე „უნტერჰახინგთან“ ბუნდესლიგის მორიგი ტურის მატჩში (ეს შეხვედრა წუხელ გაიმართა) საერთოდ არ დააყენებდა, მაგრამ... შემცვლელი არ ჰყავს — ამტკიცებს „ბადიშე ცაითუნგი“. ქართველთა მოქმედებამ (ეს ალბათ უფრო ლევანს ეხება) ხასიათი წაუხდინა მწვრთნელს, რომელიც ბოლო დროს საკმაოდ კარგ განწყობაზე ყოფილა. წინა ტურში ლევერკუზენში მოპოვებულმა ქულამ (რასაც ფინკე უპირველეს ყოვლისა კობიაშვილს უნდა უმადლოდეს) „ფრაიბურგის“ თავკაცი ძალიან გაახარა. ამ კვირის დასაწყისში ამას ისიც დაემატა, რომ ბოლო დროს ლაზარეთად ქცეულ გუნდს რამდენიმე ფეხბურთელი გამოუჯანმრთელდა, მათ შორის ზუბეიარ ბაია, ადელ სელიმი და ლარს ჰერმელი, რომლებიც ძირითადი შემადგენლობის უცვლელ წევრებად ითვლებიან.

ისე, ფინკეს გაბრაზება გასაგებიცაა და გაუგებარიც. გასაგებია იმიტომ, რომ „ფრაიბურგი“ ძალიან მძიმე დღეშია ჩავარდნილი, მის წინაშე პირველ ბუნდესლიგაში ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ძალების სრული მობილიზაცია მოუწევს. ქართველ ფეხბურთელებს (რომლებიც „ფრაიბურგში“ საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ) კი ზედ „უნტერჰახინგთან“ მატჩის წინ მოუხდათ კლუბის მიტოვება. თუმცა ისიც საკითხავია, ფინკეს „ფრაიბურგის“ ნაცვლად რომელიმე ნაკრები რომ ებაროს, როგორ მოიქცეოდა. არ გვგონია, სხვისი ინტერესი გაეთვალისწინებინა და ფეხბურთელი დაესვენებინა. აქვე არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ არაერთხელ გაითვალისწინა ლეგიონერთა კლუბის ინტერესები (თუნდაც თებერვალში ჩატარებული კვიპროსის ტურნირი გაიხსენეთ).

კობიაშვილისადმი კი, ცხადია კარგის მეტი არაფერი გვეთქმის. სასიხარულოა, რომ ლევანმა ეროვნული ნაკრები ყველაზე მაღლა დააყენა.

ვანო ოქროპირიძე

# ნახევარი საათით საფრანგეთში

4 აპრილს, დღის მეორე ნახევარში, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი მურთაზ ხურცილავა თავის სამწყსოს საფრანგეთისკენ გაუძღვება.

იქ, ქალაქ ლე ავრთან ახლოს, 1980-81 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირია. ქართველთა მეტოქეები ბრაზილია, დანია და ფრანგული „ლე ავრი“ იქნებიან.

ჯგუფში გამარჯვებული ფინალში ითამაშებს, ხოლო მეორე ადგილზე გასული გუნდი მეორე ჯგუფის მეორეადგილოსანს ბრინჯაოს შეეცილება. ტაიმის ხანგრძლივობა 30 წუთით შემოიფარგლება.

მურთაზ ხურცილავას სხვადასხვა მიზეზით ნაკრების სამი წევრი გამოაკლდა — სკონტოელი ზურაბ მენთეშაშვილი კლუბმა არ გამოუშვა, ბელგიური „ვეზეტის“ ლაშა ჯაკობიას ტრავმა აწუხებს, ხოლო ზიმბრუელ ლევან გვაზავას საპასპორტო პრობლემების გამო უკან, მოლდოვაში მოუწევს გამგზავრება.

რახან ასაკიც შეზღუდულია და ზემოჩამოთვლილთა ამბავიც საბოლოო, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა არჩევანი შემდეგ მოთამაშეებზე შეაჩერა:

*მეკარეები — ზურაბ ბათიაშვილი (თბილისი), მირზა მერლანი (თსუ);*

*მცველები — ზურაბ ხიზანიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი (ორივე დინამო), ედიკ საჯაია (ვიტ ჯორჯია), ვალერი აბრამიძე (ლოკომოტივი), სოსო დევიძე (მერანი);*

*ნახევარმცველები — ლადო ბურდული (თბილისი), ვალერი გაგუა (სკონტო, რიგა, ლიტვა), მალხაზ ასათიანი (ტორპედო), დავით დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია), ოლეგ გველესიანი (დინამო), ლაშა ნოზაძე (ვიტ ჯორჯია);*

*თავდამსხმელები — გია იმედაძე (ტორპედო), რევაზ გოცირიძე (ვიტ ჯორჯია), ცეზარ ხუროძე (ლოკომოტივი).*

დათო დანელია

# ავთანდილ სიხარულიძით ბერლინის ჰერტა დაინტერესდა

ქართული ფეხბურთიდან რამდენიმე წლის წინ უკრაინაში გადახვეწილი ავთანდილ სიხარულიძით ბუნდესლიგის წარმომადგენელი ბერლინის „ჰერტა“ დაინტერესდა — ამის შესახებ სიხარულიძის ამჟამინდელი კლუბის, ტერნოპოლის „ნივას“ პრეზიდენტმა ალექსანდრე კრივოიმ განაცხადა.

სიხარულიძემ კარიერა 1992 წელს ბათუმში დაიწყო. საქართველოს მთავარ ლიგაში მისი დებიუტი 22 ოქტომბერს სოხუმის „ცხუმთან“ შედგა. სულ ბათუმის „დინამოს“ რიგებში ავთანდილმა 25 თამაში ჩაატარა, ძირითადად შეცვლებზე შედიოდა.

უფრო უკეთესად წარიმართა სიხარულიძის კარიერა უკრაინის უმაღლესლიგელ ტერნოპოლის „ნივაში“. 1975 წელს დაბადებული ქართველი ფორვარდი, ტყუპ ძმებ კაპანაძეებთან ერთად, ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. პირველ წრეში სიხარულიძემ 3 გოლი გაიტანა და კლუბში ამ მაჩვენებლით მხოლოდ კაიდარაშვილსა და ავთო კაპანაძეს ჩამორჩებოდა.

ზამთრის არდადეგებისას სიხარულიძეს წესით „ნივა“ უნდა დაეტოვებინა. იგივე კრივოის განცხადებით, ფეხბურთელით რუსეთის უმაღლესი დივიზიონის რამდენიმე გუნდი იყო დაინტერესებული, თუმცა მან დარჩენა ამჯობინა. „ნივას“ ხელმძღვანელებს, რომლებიც მძიმე ფინანსურ კრიზისს განიცდიან, ქართველის გაცილებით სარფიანად გაყიდვა გადაუწყვეტიათ.

როგორ მიაგნეს ბერლინელებმა სიხარულიძეს, ამაზე ალექსანდრ კრივოის არაფერი უთქვამს. ჯერჯერობით „ჰერტას“ მთავარ შტაბსაც არაფერი დასცდენია.

სიმონ მენაბდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლოკომოტივი გადათამაშებაზე თანახმაა

ასეთი რამ ქართულ საფეხბურთო პრაქტიკაში არ მომხდარა. ამას არც სფფ-ს დებულება ითვალისწინებს და შესაბამისად მისი განხორციელების იურიდიული მექანიზმიც არ არსებობს.

საქმე ეხება თბილისის „ლოკომოტივის“ მორალურ-ზნეობრივ-კაცურ განცხადებას თასის მეოთხედფინალური მატჩის გადათამაშების თაობაზე. მოგეხსენებათ, რკინიგზელებმა საპასუხო შეხვედრაში პენალტების სერიაში დაამარცხეს „ვიტ ჯორჯია“ და ნახევარფინალში გავიდნენ. სამწუხაროდ, იმ მატჩის პირველ ნახევარში თანამსაჯი ზურაბ დოლიძე მიუტევებლად შეცდა — როცა ვეტერინარებმა გოლი გაიტანეს, თამაშგარე მდგომარეობა არასწორად დააფიქსირა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, რკინიგზელთა ხელმძღვანელები მატჩის ვიდეოჩანაწერს აღუშფოთებია, უთქვამთ, ასეთი გამარჯვება არაფერში გამოგვადგება და უთუოდ ნახევარფინალში ან ფინალში დაგვსჯის ფორტუნაო. მთელი კლუბი შეკრებილა. მოუთათბირებიათ და ერთ აზრამდე მისულან — მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი „ვიტ ჯორჯიასთან“ აუცილებლად უნდა გადავითამაშოთო. ამის შესახებ გუშინვე მიუმართავთ ფედერაციისთვის და ვეტერინარებისთვის. „ლოკომოტივის“ რაინდული ნაბიჯით ისინიც კმაყოფილნი დარჩენილან.

შეხვედრის თარიღს სფფ უახლოეს დღეებში დაადგენს. წინასწარი მონაცემებით, „ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯიას“ გადათამაშება 5 აპრილს შედგება.

აკაკი ნიკურაძე

# ზაზა ჯანაშია: საქართველოს ნაკრებში თამაში აღარ მინდა

ზაზა ჯანაშია, მოსკოვის „ლოკომოტივის“ მრისხანე ფორვარდი, ამიერიდან საქართველოს ნაკრებში აღარ ითამაშებს.

ქართველთა ეროვნული გუნდის ისრაელში მატჩამდე იგი ნაკრებში რომ გამიძახეს, ჯანაშიამ, ტრავმირებული ვარ და ამჯერად ვერ დაგეხმარებითო, შეუთვალა ძოძუაშვილსა და ყიფიანს. მოგვიანებით ზაზამ რუსეთის ჩემპიონატის პირველ ტურში მოსკოვის ცესკა-სთან მატჩში მიიღო მონაწილეობა და ალბათ გახსოვთ, გოლიც გაიტანა. ეს რომ ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელებმა შეიტყვეს, ქართველ ფორვარდს ხელმეორედ შეხმიანნენ, ჯანაშიამ ძოძუაშვილსა და ყიფიანს იგივე პასუხი გასცა, ფეხი მტკივა, ცესკას-თან მატჩის წინ გამაყუჩებელი ნემსები გამიკეთეს, ჩემი შემცვლელი „ლოკომოტივს“ არავინ ჰყავდაო.

მესამედ ჯანაშიას ნაკრების მწვრთნელები ისრაელიდან დაუკავშირდნენ, ჩვენც გვჭირდები და ჩამოდიო, უთხრეს. პასუხი ასეთი მიიღეს:

— თავი დამანებეთ, არ ჩამოვალ, არ მინდა და იმიტომ. შეგიძლიათ, საქართველოს ნაკრებში აღარ გამომიძახოთ. მე ქართული პასპორტი შესაბამის ორგანოს ჩავაბარე და ახლა რუსეთის მოქალაქე ვარ. გაიგეთ, აღარ მინდა ეროვნულ გუნდში თამაში. მართალია, ვეღარც რუსეთის ნაკრებში ვითამაშებ, მაგრამ ჩემთვის მთავარი იური სიომინი და მოსკოვის „ლოკომოტივია“ — ზაზა ჯანაშიას ამ სიტყვებით აღშფოთებული დავით ყიფიანი აშქელონიდან, სადაც ისრაელ-საქართველოს მატჩი გაიმართა, რედაქციაში თავად დაგვიკავშირდა და გვთხოვა, იქნებ თქვენ მაინც შეაცვლევინოთ ზაზას გადაწყვეტილებაო.

ჩვენ კი რა ვქნათ? კაცია და გუნება. სამწუხაროდ, ასე მოხდა, ზაზა ჯანაშიამ საქართველოს ნაკრებს მოსკოვის „ლოკომოტივი“ ამჯობინა.

ვახტანგ სიმონიშვილი



აკადემიის მომავალი სტეფანიას ხელშია

# ღირსეული ბევრია, არჩევანი — ერთი

## ვოვა სტეფანია — ქართული საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი?

**NBA**-ს ერთადერთ ქართველ კალათბურთელ ვლადიმერ სტეფანიას მტკიცედ გადაუწყვეტია საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში მოასპარეზე გუნდის, თბილისის „შსს აკადემიის“ შესყიდვა — ეს ინფორმაცია „სარბიელს“ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ვოვასა და „სიეტლ სუპერსონიკსის“ რუსმა აგენტმა მიროსლავ ჩაადაევმა მოაწოდა. ახლა, სანამ ქართველი კალათბურთელის აზრი და პოზიცია უცნობია, ძნელია იმსჯელო ყოველივეს რეალურობაზე, მაგრამ ჩაადაევის ცნობით, სტეფანია პლეი ოფის მატჩების შემდეგ უთუოდ ეწვევა სამშობლოს და საგანგებო პრესკონფერენციაზე თავად უამბობს მასმედიას არჩევანის შესახებ.

— საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა. ამ მხრივ იგი ბევრს გაეჯიბრება. სამწუხაროდ, ცხოვრების დუხჭირი პირობები საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მაღალ დონეზე განვითარების საშუალებას არ იძლევა. ვოვას სურს, პირველმა გარისკოს და თავისი ოფლით მოპოვებული ფული თავისსავე ქვეყანას მოამხმაროს — ასე დაასრულა „სარბიელთან“ მიწერ-მოწერა მიროსლავ ჩაადაევმა.

ეს ინფორმაცია წუხელ გვიან ღამით მივიღეთ და პოლიციის აკადემიაში არსებული მკაცრი რეჟიმის გამო (განრიგის თანახმად, ეძინათ) აკადემიელებთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ (ბუნებრივია, მორიგემ არაფერი იცოდა). აქედან გამომდინარე, ვერც იმის დადგენა შევძელით, რატომ მაინცდამაინც „შსს აკადემია“ აირჩია ვლადიმერ სტეფანიამ.

ეტყობა, კალათბურთელებს შორის შიდსთან ერთად (მეჯიკ ჯონსონი, გახსოვთ?) კარგი მაგალითიც სწრაფად ვრცელდება, ეს-ესაა მაიკლ ჯორდანმა ვაშინგტონის საკალათბურთო და ჰოკეის კლუბები შეიძინა და...

NBA-ურმა სიომ საქართველოშიც დაჰბერა. ხელი მოგემართოს, ვოვა!

კოკა ხვინგია

# ფესვები

ქართველებისა და ბასკების ნათესაობის შესახებ არაერთხელ და არაერთის სმენია ჩვენში. ბასკები, გარდა იმისა, რომ მჟავე კიტრის ჭამისას ქართველურად იჭყანებიან, ფეხბურთის სტილითაც ნამეტნავად გვგვანან და ამაზეც დიდი ხანია იციან საქართველოში.

და აი, კიდევ ერთი დასტური პირენეელი და კავკასიელი იბერების ნათესაობისა — ესპანეთის ნაკრებისა და ბილბაოს „ატლეტიკის“ თავდამსხმელმა ხოსება ეჩებერიამ ესპანურ გაზეთ „მარკასთან“ ინტერვიუში თავისი ქართული, კერძოდ კი მეგრული წარმომავლობის შესახებ გააკეთა განცხადება — მართალი გითხრათ, აქამდე ბევრი არაფერი ვიცოდი ამის შესახებ, მაგრამ ამას წინათ ხელში ჩვენი (ეჩებერიების — ლ.თ.) გენეალოგიური შტოს ამსახველი სურათი ჩამივარდა და იქ ამოვიკითხე, რომ... მეგრელები ვყოფილვართ. ბილბაოს მხარეთმცოდნეების მუზეუმში ამიხსნეს, რომ სამეგრელო საქართველოში ყოფილა და ამით გულიც დამწყვიტეს — მე ხომ ქართველების გუნდ თბილისის „დინამოს“ ბურთი გავუტანე. მაშინ რა ვიცოდი, თუ ჩემი ძველი სამშობლოს წინააღმდეგ მიხდებოდა გამოსვლა, ეს რომ მცოდნოდა, გოლს არას დიდებით არ გავიტანდი.

ვერაფერს იტყვი, მეტად მოულოდნელი განცხადებაა, თავიდან მორიგი ინტერნეტული ლაფსუსი გვეგონა, მაგრამ ესპანურ „მარკასთან“ მცირეოდენი კოლეგიალური გარჩევების შემდეგ დავრწმუნდით, რომ ტყუილი აქ არაფერ შუაშია.

„სარბიელი“ თავის მხრივ დაუკავშირდა საქართველოს გენეალოგიის შემსწავლელ საზოგადოებას და ცოტა არ იყოს, საკვირველი ინფორმაციაც მოიპოვა — ხოსება ეჩებერიას წინაპარი მართლაც ქართველი ყოფილა, ოღონდ იგი კავკასიიდან პირენეებში იბერების მასობრივ მიგრაციას როდი გაჰყოლია. ბასკი ფეხბურთელის დიდი პაპა იოსებ (ესე, ესიკა) ბერია ესპანეთში ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის დროს მოხვედრილა და ჟამთა სიმუხთლის გამო იქვე ჩარჩენილა.

დიდი მარჩიელობა არ სჭირდება იმას, რომ ხოსება ეჩებერიასთვის დიდი პაპის პატივსაცემად დაურქმევიათ სახელი — ხოსება ეჩებერია თითქმის იგივე იოსებ (ესე) ბერიაა. სხვათა შორის, ფეხბურთელი „მარკასთან“ საუბარში იმასაც აღნიშნავს, რომ მათს სანათესაოში ხოსება ყველაზე გავრცელებული სახელია.

მართალი გითხრათ, ჯერაც გვიჭირს ყოველივეს დაჯერება, მაგრამ ფაქტი სახეზეა და სარბიელელებს შორის რამდენიმე კაცი უკვე სერიოზულად ვფიქრობთ ბოლივიელი ნახევარმცველის, ვლადიმერ სორიას წარმომავლობის შესახებ.

ლუკა თალაკვაძე

# გიორგი ქინქლაძე — ტოპ, პოპ თუ ჰოპ-სტოპ?

ვინც „სარბიელს“ კითხულობს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის გამონათქვამიც ეცოდინება — გიორგი ქინქლაძე ტოპ-კლასის ფეხბურთელიაო...

სელინ დიონიც გეცოდინებათ, პოპვარსკვლავია და მის მიერ შესრულებული კლიპი ხომ აგრერიგად ამშვენებს ცნობილ ფილმს — „ტიტანიკი“.

ეს ორი სახელი კი (გიორგი ქინქლაძე და სელინ დიონი) ერთმანეთს ბრიტანეთის სამაშველო სამსახურმა დააკავშირა — როგორც ინგლისური გაზეთი „სანი“ იუწყება, ლამანშის სრუტის სანაპიროზე მიმდინარეობს სარეკლამო კლიპის გადაღება, რომლის მოკლე შინაარსსაც აქვე გაახლებთ.

გიორგი ქინქლაძის გმირი თავისთვის დაცურავს ნაპირთან ახლოს, უცებ მას განწირული კივილი ესმის. ქართველების ამბავი არ იცით? ქინქი უმალ მის საშველად გაცურავს და გადაარჩენს კიდეც- ვეებერთელახახიანი ზვიგენისგან.

ბუნებრივია, ზვიგენთან გამკლავება არც ასე ადვილია, მაგრამ რეკლამის ეშხი სწორედ ესაა — კლიპის ბოლოს ჩვენებური სელინ დიონის კონცერტზე „იჩითება“ და ჩუქნის მას სპეციალურ ბალონს, რომლიდან მისხურებულმა გაზმაც ზვიგენი დაარეტიანა.

დასასრულს კი ერთს ვურჩევთ „დერბის“ ტუზს“ — სტოპ, გიორგი! ქალები ვის არ უყვარს, მაგრამ... ზვიგენი ნამეტანია.



სელინ დიონი

კოკა ხვინგია

# რატი ალექსიძემ ჯვარი დაიწერა

გასულ სამშაბათს ინგლისის სამეფო კარზე ლონდონური „ჩელსის“ ფეხბურთელებისთვის გრანდიოზული, ჭეშმარიტად მეფური მიღება გაიმართა. მოგეხსენებათ, „ჩელსი“ არისტოკრატულ კლუბად ითვლება და ინგლისის დედოფალი ელიზაბეტიც მისი გულშემატკივარი ყოფილა. მიღების მთავარი მიზეზი კი ლონდონური კლუბის ერთბაშად სამი ფეხბურთელის — დენის უაიზის, მარსელ დესაისა და სულ ახლახან გაჩელსელებული ქართველის, რატი ალექსიძის ქორწინება გახლდათ — როგორც ინგლისური „სანი“ იუწყება, ჯვრისწერის ცერემონიალმა საკმაოდ მხიარულად ჩაიარა და რომ არა სამეფო კარის მკაცრი ეტიკეტი, ფეხბურთელები გვარიანადაც მოილხენდნენ.

რატის აწ უკვე მეუღლე — თვრამეტი წლის ქეით ადამსი კემბრიჯის უნივერსიტეტის მსმენელია. ქართველი ფეხბურთელისა და მსხვილი ლონდონელი მეწარმის ქალიშვილის ნაცნობობის დეტალები ინგლისური ბულვარული გაზეთებისთვისაც უცნობია, მაგრამ ერთ ფაქტს კი ყველა ტაბლოიდი ერთხმად აღნიშნავს — ქართველების რძალი მართლმადიდებლად მონათლა, ჯვრისწერისა და ნათლობის ცერემონიალი კი იმავე „ჩელსის“ ფეხბურთელის, დან პეტრესკუს ალალმა ძმამ, თეოდოროს პეტრესკუმ ითავა. მოგეხსენებათ, პეტრესკუები რუმინელები არიან და მართლმადიდებლობას აღიარებენ. ბედნიერი დამთხვევის წყალობით თეოდოროს პეტრესკუ მღვდელი ყოფილა.

დედოფალი ელიზაბეტ მეორე მოკლე სიტყვით მიესალმა ახალჯვარდაწერილებს, გაიხსენა თავისი ჯვრისწერის დეტალები და ბოლოს ბრიტანეთის სამეფოსავით მტკიცე და ძლიერი ოჯახის შექმნა უსურვა მათ.

ირაკლი მიროტაძე



ინძაგების ოჯახი: ფილიპო, მარინა, ჯანკარლო და სიმონე

# ოჯახური პორტრეტი დელლე ალპიზე

## დღეს დედა ინძაგი ნაბოლარა შვილს უქომაგებს, მამა კი — ორივეს

**იტალია**

დღეს ტურინში დიდი ბრძოლა შედგება — „იუვენტუსი" „ლაციოს" მასპინძლობს. უეჭველია, რომ „დელლე ალპი" გულშემატკივრებით გაივსება, უმრავლესობა „ბებერ ქალბატონს" უქომაგებს, რამდენიმე ათასი კაცი რომიდანაც ჩავა. თუმცა მათ შორის იქნება ერთი, რომელიც ღმერთს შესთხოვს, მატჩი ფრედ, ვთქვათ, 3:3 დასრულდეს და ექვსივე გოლის ავტორობა მისმა შვილებმა, ფილიპომ და სიმონემ, გაინაწილონ.

იტალიაში, საითაც გაიხედავ, ბურთს აგორებენ. ასე იყო და არის პიაჩენცასთან ახლოს მდებარე ერთ პატარა სოფელშიც, რომელსაც სან ნიკოლო ჰქვია. 11 წლის პიპო ინძაგი იქაური ბიჭბუჭობის სული და გული გახლდათ. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, მას ხომ ყველაზე მეტი გოლები გაჰქონდა. მისი ძმა სიმონე, რომელიც პიპოზე სამი წლით უმცროსი იყო და ინძაგინოს ეძახდნენ, ძმას არაფერში ჩამორჩებოდა. ის ორივე ფეხს ერთნაირად კარგად ხმარობდა. ხოლო მისი პირველი მასწავლებელი ფილიპო იყო — რასაც უფროსი ძმა აკეთებდა, უმცროსიც იგივეს იმეორებდა.

ძმები წამოიზარდნენ და ორივე „პიაჩენცას" ახალგაზრდული გუნდის წევრი გახდა. შემდეგ მათი გზები გაიყარა, თუმცა თავიანთი გუნდებისთვის ისინი ფასდაუდებლები შეიქნენ. 1997 წელს ფილიპოს გოლებმა ბერგამოს „ატალანტა" სერია B-ში დაქვეითებისგან იხსნა, სიმონემ კი წინა სეზონში „პიაჩენცას" შეუნარჩუნა ადგილი უმლიერესთა შორის.

დღეს ძმები იშვიათად ხვდებიან ერთმანეთს. ბოლოს მათი გზები ბარსელონაში შეიყარა, სადაც ესპანელთა წინააღმდეგ სათამაშოდ დინო ძოფმა ორივე მიიწვია, თუმცა მინდორზე ერთად ყოფნა არ დასცალდათ — სიმონემ ფიორე რომ შეცვალა, ფილიპოს ნაცვლად უკვე მარკო დელვეკიო თამაშობდა.

ტურინული მატჩის წინ არსებული ინფორმაციით, სვენ გორან ერიკსონი სიმონეს შეცვლაზე ათამაშებს, ხოლო ფილიპო ბრძოლაში პირველივე წუთიდან ჩაებმება. შეხვედრის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩემპიონატის დასრულებამდე იტალიაში შვიდი ტური დარჩა. „იუვე" „ლაციოს" ექვსი ქულით უსწრებს. თუ დღეს მასპინძლები გაიმარჯვებენ, საეჭვოა, შავ-თეთრებს „სკუდეტოსთვის" ბრძოლაში ვინმე შეეცილოს. აი, საპირისპიროდ თუ მოხდა...

„გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფილიპო ინძაგი ამბობს: „ცხადია, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. საეჭვოა, „ლაციომ" ჩვენი გასწრება შეძლოს, თუმც — აქ ფილიპო ეშმაკურად იღიმება — ოჯახში ერთი ჩემპიონი აუცილებლად გვეყოლება".

და მაინც, ვინ ვის სჯობს, ფილიპო თუ სიმონე? ძმების ამბავი სხვებზე უკეთ იქნებ ჯიჯი კანიმ, ინძაგების ოდინდელმა მწვრთნელმა „პიაჩენცადან", იცოდეს: „სიმონე უფრო ტექნიკური ფეხბურთელია. ის თავით ძმაზე უკეთ თამაშობს. სამაგიეროდ, პიპო ყოველთვის ატყუებს მცველებს და მეკარესთან პირისპირ გასულიც არასდროს ცდება. მას თავდამსხმელის უტყუარი ალღო აქვს და ინტუიციურად ხვდება, რა უნდა მოიმოქმედოს. სიმონე უფრო გუნდური ფეხბურთის მიმდევარია და მეტოქის საჯარიმოს გარეთაც ჩინებულად ირჯება".

ბოლოს კი დედა ინძაგიზეც ვთქვათ. ჯანკარლო ინძაგის ამბავი უკვე მოგახსენეთ, ის ფრეზე ოცნებობს. აი, დონა მარინა კი დღეს „ლაციოს" უქომაგებს. ვარსკვლავების დედა ამბობს: „ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სიმონე „პიაჩენცაში" თამაშობდა და მისი გუნდი პიპოს „იუვენტუსს" ხვდებოდა, „პიაჩენცას" ვქომაგობდი. ახლაც ასეა. ალბათ იმიტომ, რომ სიმონე უმცროსი შვილია".



პიპო (მარცხნივ) და ინძაგინო

გიორგი დარჯანია

# დინო ძოფის გასაჭირი

## იტალიელმა ტიფოზებმა ამხანაგობა არ იციან

იტალიელები „სკუადრა აძურას" დამარცხებას არ პატიობენ, თუნდაც ამხანაგური მატჩი იყოს. ქვეყნის ნაკრებმა ოთხშაბათს ესპანეთთან 0:2 წააგო და იტალიური პრესის თავდასხმის მთავარი ობიექტი დინო ძოფი გახდა.

მოგეხსენებათ, ამხანაგური შეხვედრები იმისთვის არის მოგონილი, რომ მწვრთნელმა ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევა შეძლოს და ფეხბურთელები უფრო შეთამაშდნენ, ამისთვის კი მრავალრიცხოვანი ცვლილებების განხორციელება გახლავთ საჭირო. ამიტომაც არის, რომ ოფიციალური მატჩებისგან განსხვავებით ამხანაგურებში შეცვლების სამზე მეტი რაოდენობაა დაშვებული. ცხადია, დინო ძოფმა ეს უფლება გამოიყენა და მეორე ტაიმში შემადგენლობა მნიშვნელოვნად განაახლა — მინდორზე შვიდი ახალი ფეხბურთელი შეიყვანა. იტალიური პრესის აღშფოთებასაც ეს ფაქტი იწვევს. ამბობენ, პირველ ტაიმში კარგად ვთამაშობდით, შესვენების შემდეგ ძოფმა რაღაც ექსპერიმენტებს მიმართა და შეხვედრაც ამის გამო წავაგეთო.

მწვრთნელი გაოცებულია და ამბობს: „ვერ გამიგია, რატომ მეკამათებიან. დიახ, ბევრი ფეხბურთელი შევცვალე, სხვანაირად ვერც იქნებოდა, მაგრამ ამ ცვლილებებს ჩვენს მიერ არჩეულ ტაქტიკაზე ზეგავლენა არ მოუხდენია. მეტიც, არც ერთი ფეხბურთელისთვის ისეთი რამ არ დამივალებია, რასაც ისინი კლუბში არ აკეთებენ. მე მხოლოდ მსურდა, მათი მზადყოფნა შემემოწმებინა".

ძოფი სიმართლეს ამბობს. რა ცვლილებები მოახდინა მწვრთნელმა, რომ ვერ პატიობენ? მოედანი დატოვეს ფუზერმა, დი ბიაჯომ, ამბროზინიმ, პესოტომ, ფიორემ, დელ პიერომ და ფილიპო ინძაგიმ. მათ ნაცვლად შევიდნენ ძამბროტა, ტაკინარდი, გატუზო, პანკარო, სიმონე ინძაგი, ტოტი და დელვეკიო. მართლაც, ვინ იტყვის, მეორე ტაიმში მინდორზე გასული შვიდეული ნაკრებში გამოცდას არ იმსახურებს და მწვრთნელი შეცდა, ისინი რომ მიიწვიაო.

დინო ძოფი ამხანაგური თამაშების სპეციფიკასაც და ზოგადად იტალიურ ფეხბურთსაც შეეხო. მან თქვა: „მოგეხსენებათ, სერია A-ს ყოველ შეხვედრაში მსაჯი დაახლოებით 55-ჯერ აჩერებს თამაშს და ჯარიმას ნიშნავს. ჩვენი ფეხბურთელებიც მსაჯობის ამგვარ სტილს არიან ჩვეულნი. საერთაშორისო მატჩებში ცოტა სხვაგვარადაა. იქ არბიტრები უფრო ლმობიერნი არიან და შეხვედრებიც განსხვავებულ სახეს იღებს. ვერ დავეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ თანამედროვე იტალიური ფეხბურთი კრიზისს განიცდის. ერთი შეხედვით ეს ასეცაა — ნაკრებს თამაშების მოგება უჭირს, ხოლო ევროთასებს მხოლოდ „ლაციო" შემორჩა, რაც აშკარად არადამაკმაყოფილებელი შედეგია. თუმცა ნუ ვიჩქარებთ. წინ ევროპის ჩემპიონატია და ჩვენს ძალას იქ გამოვაჩენთ".

როგორ იქნებოდა, ძოფისთვის პირდაპირ არ ეკითხათ, იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე რა შედეგს მიაღწევსო. დინო ძოფი: „ნახევარფინალში უეჭველად გავალთ". იტალიური პრესა: დღეს ევროპაში იტალიის ნაკრებზე ძლიერი გუნდებიც არიან, თუმცა ნახევარფინალში გასვლა აუხდენელი ოცნება არ უნდა იყოს. შეშფოთებას სხვა რამ იწვევს — ივნისი კარს მოგვადგა, ნაკრები კი ჯერაც ჩამოუყალიბებელია.



დაღონებული დინო ძოფი

საერთო აზრი კარგად გამოხატა ფაბიო კანავარომ, რომელმაც ბარსელონაში, ესპანელებთან წაგებული მატჩის შემდეგ თქვა: „ბოლოს და ბოლოს, უნდა გაირკვეს, ვინ არის ძირითად შემადგენლობაში და ვინ არა. ჯერჯერობით ტაქტიკური სქემაც არ გვაქვს. ცხადია, მწვრთნელი ექსპერიმენტებს უნდა ატარებდეს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატამდე ძალიან მცირე დროა დარჩენილი და ამგვარი გაურკვევლობა ფეხბურთელებზე ცუდად მოქმედებს".

რაც შეეხება ტაქტიკას. დინო ძოფი სამი მცველით თამაშს ამჯობინებდა, მაგრამ ბოლო მარცხმა მას გადაწყვეტილება შეაცვლევინა და მეოთხეს დამატებას აპირებს. „სკუადრა აძურას" „ძველი გვარდიის" — დინო ბაჯოს, ანტონიო კონტესა და დემეტრიო ალბერტინის არყოფნაც ეტყობა. მათ მასიმო ამბროზინი, ჯენარო გატუზო და ალესიო ტაკინარდი ცვლიან. დინო ძოფს კრისტიან ვიერის მოუშუშებელმა ტრავმამაც არაერთი პრობლემა შეუქმნა.

ბოლოს, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, ექსპერიმენტები საჭიროა, მაგრამ ევრო 2000-მდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი.

გიორგი დარჯანია

# კაპელო ცუდი მწვრთნელია

## პერუჯელები ამბობენ, ფრანჩესკო ტოტის ჰიდეტოში ნაკატა სჯობიაო



ჰიდეტოში ნაკატა

პარმა ხანია, რაც იტალიელებმა იაპონურ ფეხბურთს გემო გაუსინჯეს. ამომავალი მზის ქვეყნიდან ფეხბურთელის წამოყვანა სარფიან საქმედ იქცა. ჰიდეტოში ნაკატას მაგალითი ავიღოთ. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ „პერუჯას" „ჰირაცუკასგან" ნაკატას შეძენა სულ რაღაც 3,3 მილიონი დოლარი დაუჯდა. იაპონელის დებიუტი სერია A-ში სენსაციური გამოდგა. „იუვენტუსის" კარში ორი გოლი გაიტანა. ეს 1998 წელს მოხდა. შემდეგ მან კიდევ 33-ჯერ მოირგო „პერუჯას" მაისურა და წინა სეზონში ათი გოლის გატანაც შეძლო. ამგვარი შედეგი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ნაკატათი უფრო სერიოზული კლუბი დაინტერესებულიყო. ფეხბურთელის ყიდვა ფაბიო კაპელომ მოინდომა და თავისას მიაღწია კიდეც. ეს შენაძენი „რომას" 16 მილიონი დოლარი დაუჯდა და „პერუჯას" დამატებით რუსი ალენიჩევიც დაუთმო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ პერუჯელთა დირექტორმა ალესანდრო გაუჩიმ კვლავ იაპონიას მიაშურა, სადაც ერთი-ორი ამომავალი ვარსკვლავის აღმოჩენას შეეცდება. ტოკიოში ჩასულ გაუჩის იქაურმა სპორტულმა ჟურნალისტებმა, ცხადია, ნაკატაზეც ჰკითხეს. პასუხი ასეთი იყო: „ჰიდეტოში შემტევი ნახევარმცველია. ჩვენ მას ამ პოზიციაზე ვათამაშებდით და შედეგიც ჩინებული გახლდათ. ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ფაბიო კაპელოს სხვა ჩანაფიქრი აქვს. მან ნაკატა ცოტა უკან დასწია. არადა, დაცვაზე ზრუნვა ამ ფეხბურთელის სტილი არ გახლავთ. ნაკატას მომავალი სერიოზულად მაშფოთებს, ის „რომაში" არცთუ კარგად თამაშობს, ხოლო „პერუჯაში" საუკეთესო იყო. კაპელო არ შემცდარა, როდესაც ნაკატა იყიდა, მაგრამ ვეჭვობ, მის ხასიათში და შესაძლებლობებში ბოლომდე გარკვეული იყოს. კაპელო ვერც ჰიდეტოშის ფიზიკურ გამძლეობას აფასებს. რატომ შეჰყავს ის შეცვლაზე? ამ ბიჭმა „პერუჯაში" თამაშისას დაამტკიცა, რომ სწრაფ ტემპს მთელი 90 წუთის განმავლობაში უძლებს. კარგად მახსოვს, როდესაც სხვებს არაქათი გამოეცლებოდათ, ჰიდეტოშის დაღლა არ ეტყობოდა. და საერთოდ, მე მას ფრანჩესკო ტოტიზე უკეთეს ფეხბურთელად ვთვლი."

მიდი და არკვიე მტყუან-მართალი. როგორი სათქმელია, ფაბიო კაპელო ცუდი მწვრთნელიაო, მაგრამ ჰიდეტოში ნაკატაც რომ უარესად თამაშობს? თუმც „პერუჯა" და „რომაც" რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

# გადარჩენა როგორ გაუღიმა ფორტუნამ ფორჩუნს

იცით, სად დაიწყო ფეხბურთის თამაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ გარემარბმა კვინტონ ფორჩუნმა? პატიმართა გუნდში.

დიახ, 22 წლის ფორჩუნი სამხრეთ აფრიკის ქალაქური ცხოვრების საშინელებებს გადაურჩა და მერე ბედმა გამორჩენილ ფიგურად აქცია — გასულ ზაფხულს 1,5 მილიონ გირვანქად ალექს ფერგიუსონმა იყიდა. არადა თავიდან, 8 წლისა რომ შეიქნა და კეიპტაუნის „ბალტიკ რეინჯერსში“ მივიდა, თანაგუნდელებად სულ ადგილობრივი გამოსასწორებელი სკოლის თავზეხელაღებული და ნაგიჟარი მოსწავლეები ჰყავდა.

უბანს, რომელშიც ფორჩუნი იზრდებოდა, ძარცვით, ბანდიტური დაჯგუფებებით და ნარკოტიკების გაყიდვა-მოხმარებით ჰქონდა სახელი გავარდნილი.

ფორჩუნის პირველი მწვრთნელი ომარ მეჯიეტი: „ზოგი ფეხბურთელი გამოსასწორებელი სკოლიდან მოჰყავდათ ვარჯიშებსა და თამაშებზე და შემდეგ უკან აბრუნებდნენ, მაგრამ კვინტონს მათთან ურთიერთობა არ გასჭირვებია. იგი მათ თანაგუნდელებად აღიქვამდა და არა ბოროტმოქმედებად“.

კიუტაუნის ქუჩებში — ასე ჰქვია უბანს — ძირითადად ზანგები სახლობენ. მოგეხსენებათ, სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის რეჟიმის დროს თეთრკანიანები ცალკე სახლდებოდნენ, შავკანიანები კი ცალკე. სიღარიბე და ძალადობა ცხოვრების ნორმას შეადგენდა. უმუშევართა უბანში ნიადაგ მთავრობის ლანძღვა და არეულობებიც იყო.

სკოლა ფორჩუნს მეზობელ უბანში, ეტლონში შეურჩიეს — „გერლენდეილის სკოლა“. სხვათაშორის, ერთი ხნის წინ ეს სასწავლებელი მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა — იქ ერთი დაჯგუფების წევრ მოსწავლეს მეორე დაჯგუფების წევრებმა ღლისითმზისით ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს.

„როგორც კი საშუალება მომეცა იქიდან წამოვედი. მაშინ 14 წლისა გახლდით — იგონებს ფორჩუნი — ყოველდღე ვუყურებდი, როგორ თარეშობდნენ ბანდები და ვრწმუნდებოდი, რომ საშინელება დღითიდღე პროგრესირებდა. იცით, კეიპტაუნში ისეთი მეგობრები მყავს, რომელთაც ჩინებულად შეეძლოთ ფეხბურთის თამაში, მაგრამ ამის ნაცვლად ბანდებში დარბიან. ჩვენს ქალაქში უზარმაზარი ნიჭი იფლანგება“.

რამ იხსნა „იუნაიტედის“ გარემარბი? მზრუნველმა ოჯახმა. მამამისი, ლესლი, უნივერსიტეტში ბიბლიოთეკარის ასისტენტი გახლდათ, დედა, ჰილდა კი დიასახლისი და სახელმწიფო სახლის პირველ სართულზე მიღებულ ბინას უვლიდა.

მეჯიეტი: „ფორჩუნებს ღარიბი ოჯახი ჰქონდათ. დედაც და მამაც დღედაღამ საქმეში იყვნენ ჩართულნი, რათა თავი გაეტანათ, მაგრამ გაჭირვების მიუხედავად შვილების აღზრდაზე ბევრს ზრუნავდნენ. ამ პატიოსან ხალხს უპირატესად ბავშვების სწორ გზაზე გაყვანა აინტერესებდა“.

კვინტონი სამხრეთაფრიკული ცხოვრების საშინელებას „ტოტენჰემში“ გადასვლამ გადაარჩინა. მაშინ ლონდონის კლუბს ტერი ვენეიბლზი წვრთნიდა. შემდეგ, როდესაც ვენეიბლზმა „ტოტენჰემი“ დასტოვა, ფორჩუნს ბრიტანეთში მუშაობის უფლებასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და იძულებული გახდა, შინ დაბრუნებულიყო, მაგრამ ამ დროისთვის იგი უკვე ევროპული საფეხბურთო ოჯახის წევრი გახლდათ და მის ცხოვრებას გაგრძელებაც შესაბამისი მოჰყვა — „მადრიდის ატლეტიკო“, შემდეგ კი „მანჩესტერ იუნაიტედი“.

ფანტასტიკურია, მაგრამ კვინტონი ფესვებს არასდროს ივიწყებს.

მეჯიეტი: „ცხვირი არასდროს აუბზუებია. კეიპტაუნში რომ ჩამოდის, თავის უბანს მიაკითხავს ხოლმე და მეგობრებს მოინახულებს, თან სპორტული ელჩის როლს ძალზე სერიოზულად ეკიდება. კლუბიც კი დააარსა: „ფ.კ. ფორჩუნი“, რითაც ყმაწვილ სამხრეთაფრიკელებს გადარჩენის საშუალებას აძლევს“.

„ფ.კ. ფორჩუნი“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გახლავთ დაკავშირებული. „ოლდ ტრეფორდის“ ბოსები სწორედ კვინტონის გუნდის წყალობით აკვირდებიან სამხრეთ აფრიკელ ჭაბუკებს და ვინ იცის, ალბათ, მომავალი ვარსკვლავების გვარებს ინიშნავენ. თავად ფორჩუნიც სიამოვნებით ავარჯიშებს ხოლმე ახალგაზრდებს — „თითქოს ბავშვობის ოცნებას ვისრულებ. მათი ხნის რომ ვიყავი, კეიპტაუნელი პროფესიონალების თამაშებსა და ვარჯიშებს ვესწრებოდი. სწორედ მაშინ აღვუთქვი საკუთარ თავს, რომ თუ ოდესმე დიდი ფეხბურთელი გავხდებოდი ბავშვების წვრთნას არ დავიზარებდი, რათა მათთვის არ მომეკლო ის, რაც მომაკლეს მე, როდესაც უფროსებს ღობის იქიდან ვადევნებდი თვალს“.

**გერი უორდი**

**თარგმნა მიხეილ სურგულაძემ**



კვინტონ ფორჩუნი



# ციხეს არა აქვს რკინის კარები

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი კევინ კიგანი ევრო 2000-ზე გამარჯვებას აპირებს, ამისთვის კი კარგ ფორმაში მყოფი ფეხბურთელები სჭირდება. მოკლედ, კიგანი სახელებით არ მოტყუვდება. სახელად თუ გინდ ალან შირერი გერქვას, თუ ცუდ ფორმაში ხარ, ბელგია — ჰოლანდიაზე ფიქრს თავი დაანებე. იცით, რა თქვა „მიკი მაუსმა“? ჩემი გუნდი ციხე არ არის, ვინმე გარეთ რომ ჩავკეტო, ყველა შეიძლება შემოვიდეს და ყველა შეიძლება გავიდესო.

„ალან შირერს ზაფხულამდე მუდმივად კარგი თამაში მართებს. თუ ვიგრძნობ, რომ საქმეს მისი შეცვლა სჭირდება, შევცვლი. ვიმეორებ, ადგილი გარანტირებული არავის აქვს, თვით ალანსაც კი“ — ა[illegible]

მართლაც, თავდა[illegible] ასარჩევად აქვს საქმე: რობი ფაულერი, მაიკლ ოუენი, ენდი კოული, მაიკლ ბრიჯისი, კევინ ფილიპსი, ემილ ჰესკი...

მწვრთნელი ამბობს: „სასიამოვნოა, ჩვენი სიძლიერე ერთ-ორ ადამიანზე რომ არ არის დამოკიდებული. კონკურენცია ფეხბურთელებს კარგ ფორმაში ყოფნას აიძულებს. განსაკუთრებით სათადარიგონი ინდომებენ, ისინი ძირითადში გზის გაკაფვას ცდილობენ. დახედეთ პრემიერლიგის ბომბარდირებს, ხუთიდან ოთხი ჩემი ნაკრების წევრია: ბრიჯისი, ფილიპსი, კოული და შირერი. ამას დაამატეთ ფაულერი და ოუენი, რომლებიც ამწუთას მთლად ჯანზე ვერ არიან...“

კიგანი ფაულერსა და ოუენზე ამბობს, რომ მათთვის გუნდში ადგილი დაჯავშნული არ აქვს: „მე ისინი არ ჩამომიწერია, ორივეს აქვს ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსი, მაგრამ არც დამიჯავშნავს მათი ადგილი.“

ყველაზე მეტად „მთავარი ინგლისელი“ გრემ ლე სოსა და დევიდ ბეტის ამბავს ჩივის: „მათ ისეთი ტრავმები აქვთ, ძნელი წარმოსადგენია ბელგია — ჰოლანდიაში წამოსვლა შეძლონ, რაც ძალიან გულდასაწყვეტია.“

**ნიკა შუბლაძე**

# მთელი ქვეყნის ბექემიზაცია

**ხუთშაბათი, დილა**

მანჩესტერის გარეუბანში, „იუნაიტედის“ კარინგტონის ბაზის შესასვლელთან 45 ათას გირვანქიანი „ლინკოლნ ნავიგატორი“ 50-ათასიან „რენჯ როვერს“ შეეტაკა. პირველის მძღოლი დევიდ ბექემი უმალ გადმოხტა და უკანა სავარძელში მიწოლილი შვილი, ერთი წლის ბრუკლინი უვნებელი რომ ნახა, მერელა დაწყნარდა. მეორე მანქანას ენდი კოულის ძმაკაცი მართავდა — თავად ფორვარდი სიჩქარის გადაჭარბებისთვის დროებით მოკლებულია ამ სიამოვნებას. ავარია ბაზის კართან მოხდა დილის 10 საათზე. როგორც ბექემისა და მისი პოშ მეუღლის პრეს-მდივანმა კეროლაინ მაკატირმა განაცხადა, „იუნაიტედის“ ნახევარმცველმა დიდი შიში ჭამა, რაც ვარჯიშისასაც კი ეტყობოდა.

*„ლინკოლნ ნავიგატორი“ დევიდის მეშვიდე და უახლესი მანქანაა. რატომღაც კონტინენტური ყაიდისა — საჭე მარცხენა მხარეს. კარინგტონის ბაზა კი 15 მილიონ გირვანქადაა შეფასებული.*

**ხუთშაბათი, საღამო**

ლონდონის „კრისტის“ აუქციონზე გასაყიდად გაიტანეს დევიდ ბექემის ნახმარი ბუცები. აუქციონის ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ ათასი საჯარიმო დარტყმისა და ორი ამდენი ჩაწოდებისგან შელახული ბუცები ათას გირვანქად გაიყიდებოდა. მავანმა მოინდომა და 13 800 გირვანქა გადაიხადა.





*„კრისტი“ აუქციონების მომწყობი ინგლისური ფირმაა, რომელიც შარშანწინ ერთმა ფრანგმა ბიზნესმენმა მილიარდ ორას მილიონ დოლარად იყიდა. 13 800 გირვანქა კი დაახლოებით 41 400 ლარია.*

**პარასკევი, დილა**

დევიდ ბექემმა ტანსაცმლის მწარმოებელ ფირმა „ევისუს“ ჯინსები შეუკვეთა. შარვალს მილანში დაამზადებენ და მანჩესტერში მომავალ კვირაში გააგზავნიან. ჯინსები გაწყობილი იქნება ოქროს ღილებითა და ოქროს ძაფებით (სულ 18 კარატი). მისი ფასი 1250 გირვანქაა.

*„ევისუ“ იაპონური ფირმაა. „ათასწლეულის“ ჯინსები სულ ასი ცალი დამზადდება და ყველას რიგითი ნომერი ექნება. 1250 გირვანქა კი 3750 ლარია და ბექემის საათნახევრის ვასამრჯელოს შესაბამისი თანხაა.*

**გიგა კობახიძე**

# ორმოცი წლის წინანდელნი

კვირას, „უემბლიზე“ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ისტორიაში ორი უდიდესი გუნდი, „ასტონ ვილა“ და „ბოლტონ უონდერერსი“ ამ შეჯიბრების ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს.

ბირმინგემელებს („ასტონ ვილას“) მსოფლიოს უძველესი ჯილდო შვიდჯერ აქვთ აღმართული, მაგრამ ბოლოს საკმაოდ დიდი ხნის წინ — 1957 წელს. მასზე უკეთესი შედეგი 128 წლის განმავლობაში მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედს“ (10) და „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ (8) აქვთ, მაგრამ „ვილა“ ჩინებულ ფორმაშია და...

„ბოლტონმა“ თასი ბოლოს „ასტონ ვილას“ გამარჯვების შემდეგ წელიწადს მოიგო. მაშინ ლანკაშირელებმა „უემბლის“ 39 საფეხურიანი კიბე, ჯილდოს გამოსართმევად, მეოთხედ აიარეს.

სასეიროა, რომ როგორც „ვილამ“, ასევე „ბოლტონმა“, ფინალში, არც მეტი არც ნაკლები, „მანჩესტერ იუნაიტედს“ აჯობეს — მოგეხსენებათ, „იუნაიტედი“, თასის ბოლო მფლობელი, ამ სეზონში შეჯიბრებაში არ მონაწილეობს, რადგან მსოფლიოს კლუბთა პირველ ჩემპიონატში თამაშის სურვილმა თუ აუცილებლობამ ეროვნულ თასზე თამაშის სურვილს გადასძალა.

შეჯიბრების ისტორიაში 1958 წლის ფინალი (როგორც მოგახსენეთ, „ბოლტონმა“ გაიმარჯვა) ყველაზე სევდიანი და თავისებური გახლავთ, რადგან იმ თამაშამდე რამდენიმე თვით ადრე მიუნხენში ავიაკატასტროფამ მანჩესტერელთა ლეგენდარული გუნდის რვა ფეხბურთელი იმსხვერპლა.

„ბოლტონზე“ ისიც უნდა ითქვას, რომ 1923 წელს ახალაშენებული „უემბლის“ მინდორზე გამართულ პირველ ფინალში სწორედ მან გაიმარჯვა. სასოცარი იქნება, თუ ახლა, სტადიონის დანგრევის წელიწადს („უემბლის“ რეკონსტრუქციას უპირებენ) ბოლო ფინალშიც ის გაიმარჯვებს.

თუმცა, თუ ოთხი ათეული წლის წინ „ასტონ ვილა“ და „ბოლტონი“ თამაშს თანაბარძალოვანი გუნდების რანგში დაიწყებდნენ, ხვალ კი „ვილა“ უეჭველი ფავორიტი იქნება. სავარაუდოა, რომ სწორედ ის გაიმარჯვებს და 9 აპრილს, „ნიუკასლსა“ და „ჩელსის“ შორის მოგებულს ფინალში დაუპირისპირდება.

არადა, ბირმინგემელებმა სეზონი უფერულად დაიწყეს და საქმე კინაღამ მწვრთნელის, ჯონ გრეგორის თანამდებობიდან გაგდებამდე მივიდა, მაგრამ მერე გონს მოეგენ და აი, შედეგიც: 18 დეკემბრის შემდეგ „ვილა“ მხოლოდ ორჯერ დამარცხდა.

„ვილას“ გამოცოცხლებაში გადამწყვეტი როლი ბენიტო კარბონესა და პოლ მერსონის კარგმა თამაშმა შეასრულა, ხოლო დიონ დაბლინის გამოჯანმრთელებამ თავდასხმას დიდი ძალა შემატა.

„ბოლტონი“, თუ პრემიერლიგას პირველ დივიზიონს მივაბამთ, ბირმინგემის გუნდზე 23 ადგილით ქვემოთაა, ანუ პირველ დივიზიონში მეცხრე პოზიციაზეა და უძლიერესთა შორის დასაბრუნებლად პლეი-ოფში მოხვედრას ლამობს. გუნდის მთავარი ძალა ისლანდიელი თავდამსხმელი ეიდურ გუდიონსენი გახლავთ, რომელზეც თვალი პრემიერლიგის რამდენიმე გუნდს აქვს დადგმული.

კიდევ, ბოლტონელებს ერთი ხნის წინ, ლიგის თასზე „ტრანმერმა“ აჯობა და ახლა, ბუნებრივია, გულშემატკივართა გულის მოგებას მეორე შეჯიბრებაში აპირებენ.

**ნილ ედუორთი, როიტერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრისტიან აბიატი

# მანჩესტერში რა მინდოდა

შარშანდელი ტრიუმფატორის, სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს ძირითად მეკარედ ავსტრალიელი მარკ ბოსნიჩი ჰყავს, თადარიგში კი — ჰოლანდიელი რაიმონდ ვან დერ გოუ. მართალია, ბოსნიჩი კარს საიმედოდ იცავს, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედს", როგორც ჩანს, მეკარის პრობლემა კვლავაც აწუხებთ. ალბათ, ამიტომაც გაისმა სატელეფონო ზარი „მილანის" ოფისში, თქვენი მეკარე, კრისტიან აბიატი გვსურს და იქნებ დაგვითმოთო.

ისე, ალბიონელებს იტალიელი მეკარე უკვე ჰყავდათ — მასიმო ტაიბი, იგი სეზონის დაწყების წინ „ვენეციიდან" შეისყიდეს, მაგრამ იანვრიდან სამშობლოში, „რეჯინაში" გაანათხოვრეს, ხოლო თუ რატომ, მკითხველს ალბათ, მოეხსენება.

ახლა კი, ალბათ, აბიატის აზრიც გაინტერესებთ: „დიდი მადლობა „მანჩესტერ იუნაიტედს", მაგრამ „მილანიდან" წასვლას არ ვაპირებ. რამდენადაც ვიცი, ახალი სეზონიდან დიდი მიზნები გვაქვს დასახული — ჯერ ჩემპიონთა ლიგაში უნდა მოვხვდეთ, იქ კი, როგორც სილვიო ბერლუსკონი გეგმავს, თასისთვისაც უნდა ვიბრძოლოთ. ერთიცაა, სუპერკლუბში ვარ, ამიტომაც თუ თავად მან არ ისურვა ჩემი გაყიდვა, თავს ბედნიერად ვგრძნობ".

ერთი სიტყვით, კრისტიან აბიატიმ „მანიუს" თ[illegible]აზიანად უთხრა უარი.

ახლა იმაზეც, თუ რატომ დარჩა „მილანი" ერთი მეკარის ამარა: ამას წინათ, „იუვესთან" მატჩის შემდეგ, მეკარე სებასტიანო როსი და ალბერტო ძაკერონი წაიჩხუბნენ. როსი მწვრთნელს ედავებოდა, ძირითადში რატომ არ მაყენებო. იტალიურმა გაზეთმა „გაძეტა დელო სპორტმაც" დაწერა — როსის მილანური ოდისეა პარასკევს დასრულდა, ძაკერონის კი გუნდში მესამე მეკარედ ახალგაზრდა და გამოუცდელი ვალერიო ფიორი ჰყავსო.

აბიატიმ მომხდართან დაკავშირებით განაცხადა: „ვწუხვარ და სებას დიდ ბოდიშს ვუხდი. თუმცა, ალბათ, ჩემი ბრალი არაა, ყოველივე ძაკერონის გადასაწყვეტია. როსისგან უდიდესი გამოცდილება მივიღე".

დღეს კრისტიან აბიატი „მილანის" №1 მეკარეა. მის კონკურენტად კი ახალი სეზონიდან ალბათ, ბრაზილიის ეროვნული გუნდის გოლკიპერი დიდა იქნება. ბრაზილიელი „მილანის" ოფიციალური საკუთრებაა, თუმცა იტალიელებმა იგი „კორინთიანსს" ათხოვეს. როგორც ჩანს, დაიბრუნებენ.

აბიატი თუ დიდა?

**გიორგი ვაშაკიძე**

## დანია

გადადებული მატჩი

ორჰუსი 1:0 ესბიერგი

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXI ტური

გენიონი 1:0 კრეტეი

გინგამი 3:1 კაენი

## უკრაინა

თასის მეოთხედფინალი

ლვოვი (II) — დნიპრო 1:0; დინამო — ხერსონი (II) 4:0; მეტალურგი (ზაპოროჟიე) — ტავრია 3:0; ნივა — კარპატი 1:2 დ.დ. (1:1); მეტალურგი (დონეცკი) — კრივბასი 2:3; ცსკა (კიევი) — ვორსკლა 2:1; ზირკა — ვინიცა (II) 2:0; შახტარი — ბორისფენი (II) 5:0.

ნახევარფინალის წილისყრა

დინამო — ლვოვი (II); კარპატი — მეტალურგი (ზაპოროჟიე); შახტარი — ზირკა; კრივბასი — ცსკა.

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის** ჩემპიონმა „ბარსელონამ" რომის „ლაციოს" მცველის, პაოლო ნეგროს შეძენა მოისურვა. კატალონიური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, „ბარსელონამ" რომაელებს 10 მილიონი გირვანქა შესთავაზა. ნეგრო „ლაციოს" ერთ-ერთი წამყვანი და სტაბილური მოთამაშეა და იტალიის ნაკრებშიც ხვდება. რომაულ კლუბს ჯერჯერობით არ განუცხადებია, აპირებს თუ არა მცველის გაყიდვას.

**რუსეთის ჩემპიონატის პირველ ტურში, რომელიც გასულ უქმეებზე ჩატარდა, მოსკოვის „ლოკომოტივის" ფანებმა იხულიგნეს და წესრიგი დაარღვიეს. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ეს საკითხი საგანგებოდ განიხილა და დედაქალაქის კლუბი 1750 დოლარით დააჯარიმა. გარდა ამისა, „ლოკომოტივი" მომავალ საშინაო შეხვედრას ნეიტრალურ სტადიონზე გამართავს. „გუნდმა მატჩის დროს უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო, ჩემპიონატი ეს-ესაა დაიწყო და ფანები უკვე თავხედობენ. კლუბებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი წესრიგის დაცვას და თავის ქომაგებზე ზეგავლენა მოახდინონ" — განაცხადა ფედერაციის პრესატაშემ.**

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ პირველდივიზიონელი „ვულვერჰემპტონის" ფორვარდი ადე აკინბი 2 ათასი გირვანქით დააჯარიმა. თებერვალში გამართული ერთ-ერთი ტურის მატჩში ფეხბურთელმა უმსგავსო საქციელი ჩაიდინა, მეტოქე „ნოტინგემის" წევრ ტონი ვუგანს ეუხეშა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მსაჯმა მას წითელი ბარათი უჩვენა, მაგრამ აკინბიმ აყალმაყალი ატეხა და მოედნის დატოვება არ ისურვა. მატჩის კომისრის მოთხოვნით, იგი ძალით გააძევეს მინდვრიდან. ფეხბურთის ასოციაციამ ამაზე ერთი თვის შემდეგ იმსჯელა და აკინბი დააჯარიმა, თუმცა ინგლისური პრესა აღნიშნავს, რომ ფეხბურთელი გაცილებით მკაცრ სასჯელს იმსახურებდა.

**იტალიური „ფიორენტინას" სელექციონერთა ჯგუფი ინგლისისა და იუგოსლავიის 21-წლამდელთა ნაკრების შეხვედრას დაესწრო და რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშეს დააკვირდა. ფლორენციელებმა ბელგრადის „პარტიზანის" ფორვარდ მატეა კეჟმანს დაადგეს თვალი. კეჟმანი თავისი კლუბის საუკეთესო ბომბარდირია და იუგოსლავიაში ერთ-ერთ პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება. არ არის გამორიცხული, ნაკრების ხელმძღვანელობამ იგი ევრო 2000-ზე სათამაშოდაც მიიწვიოს. თავდამსხმელით, რომელმაც მიმდინარე სეზონში 19 გოლი გაიტანა, სხვა იტალიური და ესპანური კლუბებიც დაინტერესდნენ. „ფიორენტინას" რუმინელი ნახევარმცველის, კონსტანტინ გალკას შეძენაც სურს, რომელიც ამჟამად „ესპანიოლში" ასპარეზობს.**

**ბრაზილიელი** ვამპეტას შეძენა „პარმამ" მოისურვა. იტალიური კლუბის წარმომადგენელი ენრიკო ფედელე სან პაულუს ეწვია და ფეხბურთელის ამჟამინდელი კლუბის, „კორინთიანსის" ხელმძღვანელებს შეხვდა, თუმცა ჯერჯერობით არც მოლაპარაკების ოფიციალური მხარე და არც ტრანსფერის ღირებულება არ გაცხადებულა. ვამპეტას ყიდვას კიდევ ერთი იტალიური გუნდი, „ფიორენტინა" ცდილობს. სად გადავა 26 წლის მოთამაშე, ჯერჯერობით გაურკვეველია. კიდევ ერთი ბრაზილიური კლუბის, „სან პაულუს" ნახევარმცველის, მარკო პაულუს გადასაბირებლად რამდენიმე იტალიური კლუბი იბრძვის.

**ესპანური „ვალენსიას" ნახევარმცველის, ხერარდ ლოპესის ყიდვის უფლებას ორი იტალიური გრანდი — „მილანი" და „ინტერი" ეცილება ერთმანეთს. იტალიელებს და ესპანელებს ტრანსფერის შესახებ ოფიციალურად ჯერჯერობით არაფერი უთქვამთ, თუმცა, იქაური პრესის ცნობით, „ვალენსია" ხერარდ ლოპესში 20 მილიონ დოლარს ითხოვს. არგენტინელ ფეხბურთელს ესპანურ კლუბთან კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.**

**კვიპროსის** პირველ დივიზიონში მოთამაშე „ეთნიკოსის" იუგოსლავიელი მცველი ანდრიკ პერიცა პოლიციამ საკუთარ ბინაში გარდაცვლილი იპოვა. ფეხბურთელმა ვარჯიშზე დააგვიანა, გუნდის ხელმძღვანელობა დაეჭვდა და ძებნა დაუწყო, საქმეში მალე სამართალდამცავები ჩაერივნენ და პერიცას შინ მიაგნეს. პოლიციის განცხადებით, მას ვიღაცამ სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და პერიცა ადგილზევე გარდაიცვალა. 31 წლის მცველი მარტო ცხოვრობდა, „ეთნიკოსში" იგი შარშან საბერძნეთიდან გადაბარგდა. მკვლელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, მას პოლიცია ეძებს.

**ინგლისელი მცველი მაიკლ დაბერი სამართალდამცავებთან შელაპარაკების გამო დააჯარიმეს. „ლიდსის" ფეხბურთელი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, დაჰკითხეს და ერთობ სოლიდური თანხაც გადაახდევინეს. ახალგაზრდა, ამბიციური გუნდის კიდევ ერთ წევრს, ტონი ჰაკვორსსაც მოუხდა პოლიციასთან საქმის დაჭერა. „ლიდსის" სარეზერვო გუნდის ფორვარდმა საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვია და საჯარიმო სანქციამაც არ დაახანა. შეგახსენებთ, რომ „ლიდსის" კიდევ ორი წევრის — ჯონათან ვუდგეიტისა და ლი ბოიერის კანონსაწინააღმდეგო ქმედება რამდენიმე კვირის წინ სასამართლომ განიხილა და ფეხბურთელები თავდებით გაათავისუფლა.**

**იტალიის** ნაკრების მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონის გადაბირებას სეზონის ბოლოს „ლაციო" ცდილობს. რომაულ კლუბს სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით არ დაუსახელებია. ცოტა ხნის წინ იტალიური პრესა იუწყებოდა, რომ „ლაციომ" „ფიორენტინას" კარის დარაჯ ფრანჩესკო ტოლდოსაც დაადგა თვალი. სვენ გორან ერიკსონს არ გაუმხელია, რომელ გოლკიპერს ამჯობინებს საბოლოოდ. აპენინური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, „ლაციოს" პრეზიდენტი სერჯიო კრანიოტი უახლოეს მომავალში პარმაში ჩასვლას აპირებს, სადაც „პარმას" პრეზიდენტ კალისტო ტანცის შეხვდება.

**ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერ „დეპორტივოში" მოთამაშე ფლავიო კონსეისაომ ერთბაშად რამდენიმე იტალიური გრანდი დააინტერესა. ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას „ინტერი", „პარმა" და „მილანი" ცდილობენ. „დეპორტივოს" რეაქცია ჯერჯერობით უცნობია. ტრანსფერის შემთხვევაში ესპანელები 15 მილიონ გირვანქას მოითხოვენო, იუწყება ესპანური პრესა. 25 წლის კონსეისაო აცხადებს, რომ იტალიაში თამაში მისი ბავშვობის ოცნებაა.**

**ინგლისის** ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს" დორტმუნდის „ბორუსიას" კარის დარაჯის, იენს ლემანის გადაბირება სურს. ბრიტანეთში გადასვლაზე არც თავად ლემანი ამბობს უარს. „უკვე 30 წლის ვარ, ეს მეკარისთვის, ალბათ, საუკეთესო ასაკია. ნაკრებში თამაში მსურს, „დორტმუნდი" ამჟამად კრიზისს განიცდის, იქ თავის გამოჩენა და ნაკრების ხელმძღვანელობის მოხიბვლა ორმაგად ძნელია. კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი, თუმცა რომელიმე კარგი გუნდის წინადადებას გულდასმით განვიხილავ. სავსებით შესაძლებელია, უცხოეთშიც გადავბარგდე" — აცხადებს მეკარე.

**გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნს" რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის შეძენა სურს. მათი არჩევანი ხორვატ მცველ იგორ ბისკანზე შეჩერდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელის გადაბირებას ერთობ აქტიურად „ნიუკასლ იუნაიტედი" და „არსენალი" ცდილობს. ამიტომ ჯერჯერობით არაფერი გარკვეულა. გერმანული პრესის ცნობით, ზაგრების „დინამოს" ფეხბურთელს უახლოეს დღეებში „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი კარლ ჰაინც რუმენიგე გაესაუბრება და არ არის გამორიცხული, გერმანიაში გადასვლაზე დაითანხმოს.**

**ინგლისის** პირველდივიზიონელმა „ფულემმა" რამდენიმე დღის წინ მთავარი მწვრთნელი პოლ ბრეისუელი დაითხოვა და სეზონის ბოლომდე მისი მოვალეობის შესრულება გერმანელ კარლ ჰაინც რიდლეს მაინდო. კლუბის ხელმძღვანელობამ ამ საკითხზე ხელმეორედ იმსჯელა და რიდლეს თანაშემწედ „ლივერპულის" ყოფილი თავკაცი როი ევანსი მიიწვია. რიდლე და ევანსი ერთხანს „ლივერპულში" ერთად მოღვაწეობდნენ. რიდლე გუნდში თამაშობდა, ხოლო ევანსი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა. „ფულემის" ხელმძღვანელობის ცნობით, მომავალი სეზონიდან სავარაუდოდ ახალი თავკაცი დაინიშნება, რომლის კანდიდატურას კვლავაც განიხილავენ, ხოლო მანამდე გუნდს რიდლე-ევანსის დუეტი უხელმძღვანელებს.

**მაროკოელი ადილ რამზი მომავალი სეზონიდან შესაძლოა „პსვ ეინდჰოვენში" გადაბარგდეს. ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერის ხელმძღვანელობა აქტიურად ცდილობს, ფეხბურთელი გადაიბიროს. იმედოვნებდნენ, რომ „ტილბურგში" მოთამაშე რამზი მომავალი სეზონიდან მწვრთნელ კო ადრიანსეს „აიაქსში" გადაჰყვებოდა, თუმცა ჯერჯერობით ეს ინფორმაცია მხოლოდ ჭორის დონეზეა. პსვ-მ კიდევ ერთ ახალ ფეხბურთელს, ჯონ დე იონგს დაადგა თვალი და არ არის გამორიცხული, მომავალ სეზონში „უტრეხტიდან" თავისთან გადაიყვანოს.**

**უკრაინის** ჩემპიონ კიევის „დინამოს" ფორვარდ სერგეი რებროვის გადაბირება „ტოტენჰემმაც" მოისურვა. ჯერჯერობით არავითარი ოფიციალური მოლაპარაკება არ დაწყებულა. შესაბამისად, არც სატრანსფერო თანხაა ცნობილი. ლონდონური კლუბის თავკაც ჯორჯ გრემს ესპანეთის ჩემპიონ „ბარსელონას" თავდამსხმელი დანიც შეუგულებია და მომავალ სეზონში ესპანელი ფეხბურთელი იქნებ ინგლისშიც ვიხილოთ.

**შოტლანდიურმა „რეინჯერსმა" ჰოლანდიურ „ალკმაარიდან" 24 წლის მცველი ფერნანდო რიკსენი 3,75 მილიონ გირვანქად შეიძინა. ფეხბურთელი გლაზგოს ოთხშაბათს ეწვია და კლუბთან ოფიციალური კონტრაქტი გააფორმა. „ინგლისის და იტალიის რამდენიმე კლუბი მეპატიჟებოდა, მაგრამ „რეინჯერსში" გადასვლა ვარჩიე — განაცხადა რიკსენმა — დიკ ადვოკაატი ჩინებული სპეციალისტია, მასთან ადრეც მიმუშავია. მჯერა, რომ შოტლანდიაში წარმატებებს მივაღწევ".**

**საფრანგეთის** ჩემპიონატის ლიდერ „მონაკოს" მეკარე ფაბიენ ბარტეზმა სასიხარულო რამ შეიტყო — ტრავმის სამკურნალოდ მას ოპერაცია არ დასჭირდება. ფრანგი ცნობილმა პროფესორმა გასინჯა და დაასკვნა, რომ იგი მალე მოედანზეც გამოჩნდება. არ არის გამორიცხული, ბარტეზმა 7 აპრილს მარსელის „ოლიმპიკის" წინააღმდეგაც ითამაშოს. გამარჯვების შ[illegible]ევაში „მონაკო" საფრანგეთის ჩემპიონობას რამდენიმე ტურით ადრე დაიბევებს.

**ჰოლანდიურმა „ვიტესმა" ბელგიური „ბევერენის" მეკარის, ტრისტან პეერსმანის შეძენა მოისურვა. გოლკიპერს კლუბთან მიმდინარე კონტრაქტი ორი წლის შემდეგ უსრულდება, თუმც არ არის გამორიცხული, გაცილებით ადრე დატოვოს გუნდი. მას „ანდერლეხტი", „გენკი", „ჩელსი" და „უიმბლდონიც" აკვირდება. „ვიტესის" თავკაცმა რონალდ კუმანმა პეერსმანს კონტრაქტი შესთავაზა და უახლოეს მომავალში იქნებ კიდეც მიაღწიოს მიზანს.**

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

***— შენი აზრი მაინტერესებს!***

— მეც მაინტერესებს შენი აზრი!

***— მე უფრო მაინტერესებს..***

— ახლა, მითხარი, დი კანიო უფრო კარგი ფეხბურთელია თუ ინძაგი?

***— რომელი ინძაგი?***

— რომელიც გაგეხარდება.

***— ნუ, ახლა, ასე ლაპარაკი ძნელია. აქ ჩვენ კლასს ვერ ავუქცევთ გვერდს...***

— არ მინდა ეს კლასები. პირდაპირ თქვი, ვინ უფრო კარგი ფეხბურთელია?

***— ნუ, მე...***

— აღარ მინდა. ვიცი, რასაც მეტყვი...

***— მაინც?***

— ნუ, დი კანიო „ვესტ ჰემში" თამაშობს, ესენი კიდევ „იუვესა" და „ლაციოში" და ამიტომ ესენი უკეთესები არიან.

***— კლასს თუ მივუბრუნდებით...***

— აი, სად გამოჩნდა შენი დაშტამპული აზროვნება. ანჩელოტივით აზროვნებ...

***— ანჩელოტი სკუდეტოს იგებს.***

— სამაგიეროდ ძოფი ვერ მოიგებს ვერაფერს.

***— ვითომ, რატომ?***

— იმიტომ, რომ ინძაგები ურჩევნია დი კანიოებს.

***— დი კანიო ინგლისში ჯეჯილობს, თორე...***

— კარის ხაზზე ბურთისთვის ფეხის შეშვერით ბომბარდირობას მაინც არ იკადრებს.

***— ინგლისში ჯეჯილობს-მეთქი.***

— აბა, იტალიაში რომელი მწვრთნელი აიტანს დი კანიოს?

***— ვითომ, რატომ?***

— გულები დაუსკდებათ, იმიტომ რომ მაგას უნდა თითო თამაშში ათი გოლი გაიტანოს და მაგის იტალიელ მწვრთნელს კი ენდომება, რომ ათი კი არ გაიტანოს, ერთი არ გაუშვას.

***— რას ფილოსოფოსობ?***

— აი, ამიტომ გირჩევნია პიპო და სიმონა დი კანიოს.

***— ძოფი ვერაფერს მოიგებსო, ამბობ, არა?***

— თამაშელებილი მწვრთნელები ვერ ამართლებენ.

***— კარგი, ძოფი ვერაფერს მოიგებს. კიგანი რაღას მოიგებს?***

— კიგანმა რა უნდა მოიგოს?

***— ამბობენ, გოლფს თამაშობს მაგრადო.***

— ძოფი არავის იწვევს ნაკრებში და კიგანი ყველას იწვევს.

***— მაგალითად?***

— ნუ, რა მაგალითი გინდა? სადაც ინგლისელი ფეხბურთელი იპოვა, მიიწვია.

***— და გაზა?***

— გაზაც მიიწვია.

***— ეგ როდის იყო?***

— როცა გაზა თამაშს აპირებდა. გაზამ თქვა, თამაშს ვაპირებო და კიგანმა თქვა, მიწვევას ვაპირებო.

***— ესე იგი აპირებდნენ.***

— დიახ.

***— ეჰ, დუაიტ იორკი და ვეაც რომ ინგლისელები იყვნენ...***

— კი, მიიწვევდა.

***— და შენ გგონია რამეს მოიგებდა?***

— ხო, მიიწვევდა და... კიგანისთვის მთავარი მიწვევაა, ძოფისთვის არმიწვევა.

# არტილერისტი ცაბაძე რუმინეთს უმიზნებს

*„ბორჯღალოსნები“ რუმინეთთან საკვირაო შეხვედრისთვის თბილისის „დინამოს“ დიღმის ბაზაზე ემზადებიან. გუშინ გაცხარებული ვარჯიში იყო გაჩაღებული. ჩვენი მორაგბეები დაუზარებლად და მონდომებით ირჯებოდნენ. შეგირდებს არც კლოდ სორელი ჩამორჩებოდა — ერთხანს ნაკრები ერთად ავარჯიშა, შემდეგ ორად გაყო და თუ თვითონ ხაზის მოთამაშეებს ალღვრევინებდა ოფლს, მოედნის მეორე ბოლოში შერკინების ხაზი ვარჯიშობდა თავდაუზოგავად.*

ნაკრებს ზაზა ლეჟავა და მევლუდ მთიულიშვილი დაუბრუნდნენ, მაგრამ არ იქნებიან ვასილ აბაშიძე, სანდრო ესაკია, ვიქტორ დიდებულიძე, ტრამვის გამო ისევ არ ითამაშებენ მალხაზ ურჯუკაშვილი და თედო ზიბზიბაძე. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაციის შემდეგ გუნდს შეუერთდა ლევან ცაბაძე, ლეონსიო კი რასაც წარმოადგენს ჩვენი ნაკრებისთვის, ყველას კარგად მოეხსენება.

კვირის მატჩს ფრანგ მსაჯთა ბრიგადა — დანიელ პრუვო, ჟერარ დეზარგა, ჟან-პოლ მარკე განსჯის. მატჩის კომისარი კი IRB-ს წარმომადგენელი FIRA-ში — რობერ ანტონენი (საფრანგეთი) იქნება. ისინი დღეს ჩამოვიდნენ საქართველოში, თან ევროპის ეროვნებათა თასიც ჩამოიტანეს, რომელიც ხვალ გადაეცემა გამარჯვებულს. მანამდე ჩვენებურები თავდაუზოგავად ვარჯიშობენ. ჩვენ კი ამასობაში კლოდ სორელს გავესაუბრეთ:

**— როგორი განწყობა გაქვთ მატჩის წინ?**

— კარგად ვიმუშავეთ და ბიჭების გარჯით კმაყოფილი ვარ. ვთვლი, რომ ნაკრები პროგრესს განიცდის და მორაგბეებმა საკმაოდ გააუმჯობესეს თამაშის ხარისხი. სწორედ რუმინელებთან შეხვედრამ უნდა გამოაჩინოს ჩვენი შრომის ნაყოფი. თქმა არ უნდა, რომ რუმინეთი ძლიერი გუნდია. მაგრამ სწორედ ასეთ პაექრობაში უნდა გამოვცადოთ თავი.

**— ჰოლანდიასთან შეხვედრის შემდეგ თქვით, ბევრჯერ შევცდითო. რუმინელები ამას არ გვაპატიებენ.**

— ეს რომ არ მოხდეს, რაც შეიძლება თავისუფლად უნდა ვითამაშოთ. ჰოლანდიასთან მატჩში მეტოქეს ოცჯერ მაინც „ვაჩუქეთ“ ბურთი, ხან წინ გაგვივარდა, ხან სულ უბრალოდ დავჯარიმდით. რაც უფრო თამამად და ლაღად გავირჯებით, შეცდომასაც ნაკლებს დავუშვებთ.

**— რუმინეთის ნაკრები საკმაოდ აგრესიულ და ძალისმიერ რაგბის თამაშობს. ამისთვის მზად ხართ?**

— მათი აგრესიულობისა და ძალის ყველაზე ნაკლებად გვეშინია. ისე არაფერში ვარ დარწმუნებული, როგორც ქართველი ბიჭების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში. ქართველი გულშემატკივრებისაც მეიმედება, რომლებიც ჰოლანდიელთა ძლევაში ძალიან დაგვეხმარნენ.

**— იმავე ჰოლანდიასთან შეხვედრაში თავი იჩინა დამრტყმელის პრობლემამ. ახლა როგორღაა საქმე?**



ლევან ცაბაძე

— გვინდოდა, ერთი არგენტინელი ქართველი — კესადაშვილი მოგვეწვია, მაგრამ არ გამოგვივიდა (იცინის, დიეგო კესადა არგენტინის ნაკრების ცნობილი დამრტყმელია). ეს, ხუმრობით, ისე კი, ალბათ, ახლა უკეთესად იქნება საქმე, ყოველ შემთხვევაში, იმაზე უარესად არა, ვიდრე ჰოლანდიასთან.

*ჩვენთვის მცირე ხნით ლევან ცაბაძემაც მოიცალა.*

**— რა მოხდება რუმინეთთან მატჩში?**

— პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, თუმცა თავს ნამდვილად არ დავზოგავთ და შევეცდებით, გულშემატკივრები გავახაროთ.

**— რუმინეთთან მოგება ევროპულ ელიტაში დამკვიდრების ისეთ შესაძლებლობას გაძლევთ, ხელიდან არ უნდა გაუშვათ...**

— რა თქმა უნდა, თუ რუმინეთს დავამარცხებთ, ევროპის თასსაც მოვიგებთ და ევროპაში მე-7 გუნდი გავხდებით. ეს ჩვენი ნაკრების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იქნება.

**— მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში რუმინეთთან 23:27 წააგეთ. რით განსხვავდება მაშინდელი და ახლანდელი საქართველოს ნაკრები?**

— შემადგენლობა თითქმის იგივეა, ოღონდ გარდაიქმნა სათამაშო სტილი და ტაქტიკა. მაშინდელი წაგება, რა თქმა უნდა, საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ შეთამაშება და გამოცდილება გვაკლდა.

**— რუმინელებს ისე კარგად იცნობთ, ალბათ, არც კი დაზვერავთ...**

— ერთმანეთს მართლაც კარგად ვიცნობთ. ვფიქრობ, რომ ისევე, როგორც ირლანდიაში, აქაც თავიდანვე ჭიდაობას დაგვიწყებენ, რათა მერე შეცდომაზე დაგვიჭირონ. ამან მოაგებინათ მაშინ და ამასვე გააკეთებენ ახლაც. მაგრამ ეს ხომ ჩვენც ვიცით და ასეთ ხრიკზე არ წამოვეგებით.

**— ესე იგი, 2 აპრილს ყველაფერი კარგად იქნება, მით უმეტეს, თუ ამინდმაც ხელი შეგიწყოთ...**

— სიტყვას გაძლევთ, თუ დარი იქნა, ლამაზი სანახაობა გაიმართება, თუ არა და ჩვენი მძიმე არტილერია წვიმასაც არ უფრთხის.

ზაზა ბენიძე



კლოდ სორელი შეგირდებს რუმინელებთან საბრძოლველად აგულიანებს

## ჩვენი მეტოქე

რუმინეთის ეროვნულმა ნაკრებმა ოთხივე მსოფლიოს თასზე იასპარეზა, მაგრამ ჯგუფური ტურნირის დაძლევა ერთხელაც ვერ შეძლო. შარშან, დუბლინში გამართული მსოფლიოს თასის შესარჩევი ჯგუფის პირველ შეხვედრაში, რუმინელები მასპინძელ ირლანდიელებთან დამარცხდნენ (35:53), მერე კი ქართველებს სძლიეს (27:23) და მსოფლიოს თასის საგზურიც მოიპოვეს. მაშინდელი ნაკრებიდან დღევანდელ გუნდში კვლავ თამაშობენ — გეორგე სალომიე, გაბრიელ ბრეზიანუ და პეტრე მიტუ, რომლებმაც ქართველთათვის იმ ავადსახსენებ მატჩში თითო ლელო გაუტანეს „ბორჯღალოსნებს“. ბრეზიანუს თამაში საეჭვო იყო, რადგან იანვარში მან თვითნებურად მიატოვა თავისი კლუბი — ბუქარესტის „სტიაუა“ და უკეთესი მომავლის საძიებლად ირლანდიას მიაშურა. რუმინეთის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა ბრეზიანუს დისკვალიფიკაციით დაემუქრა, მაგრამ, მუქარად დარჩა და საკმაოდ ძლიერი მორაგბე ნაკრებიდან აღარ მოკვეთეს. პეტრე მიტუ გეორგე სალომიესთან ერთად საფრანგეთის „ორიაკის“ ღირსებას იცავს. იგი საკმაოდ კარგად თამაშობს ფეხით და როგორც კლუბში, ასევე ეროვნულ ნაკრებში გარდასახვა-საჯარიმო სწორედ იგი ასრულებს. უნდა გამოვარჩიოთ რუმინელთა კიდევ ერთი ლეგიონერი, მიხაი ვიორიანუ.

მსოფლიოს თასის შესარჩევ ჯგუფში ვიორიანუმ ორჯერ შეძლო ირლანდიელთა სალელოე მოედნის დალაშქვრა, რაც უდაოდ მის სიძლიერეზე მიგვანიშნებს. მიხაი ვიორიანუ საფრანგეთის „სტრასბურგის“ წევრია, რუმინელთა სული და გული კი მათი კაპიტანი კეტელინ დრაგუჩანუა. ამ გოლიათს სანაკრებო დონეზე 36 კეპი მოუგროვებია. ასე რომ ხვალ ჩვენებურებს მართლაც ძლიერ მეტოქესთან მოუწევთ ჭიდილი.

ბაჩო სვანიძე

## საქართველო

| | | კლუბი | წონა | სიმაღლე | თამაში |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ავქსენტი გიორგაძე | ავენირი (საფ) | 102 | 178 | 11 |
| 2 | ლევან ცაბაძე | კასტრი (საფ) | 102 | 174 | 18 |
| 3 | გოდერძი შველიძე | ბეზიე (საფ) | 105 | 177 | 8 |
| 4 | ვანო ნადირაძე | პერიგო (საფ) | 111 | 196 | 13 |
| 5 | ზურაბ მჭედლიშვილი | მიო (საფ) | 105 | 191 | 15 |
| 6 | დავით ვართანიანი | ფუმელი (საფ) | 100 | 182 | 8 |
| 7 | გია ლაბაძე | შამბერი (საფ) | 98 | 194 | 17 |
| 8 | ილია ზედგენიძე | შამბერი (საფ) | 113 | 195 | 6 |
| 9 | ირაკლი აბუსერიძე | სენ-ლივრადი (საფ) | 75 | 178 | 5 |
| 10 | პავლე ჯიმშელაძე | კასტრი (საფ) | 85 | 180 | 18 |
| 11 | არჩილ ქავთარაშვილი | ლიმოჟი (საფ) | 92 | 186 | 17 |
| 12 | ვასილ კაცაძე | ბეზიე (საფ) | 106 | 188 | 12 |
| 13 | ნოდარ ანდღულაძე | ლოკომოტივი | 89 | 181 | 6 |
| 14 | ბესიკ ხამაშურიძე | ბეზიე (საფ) | 94 | 197 | 8 |
| 15 | ნიკო იურინი | ფილი (რუს) | 84 | 180 | 16 |
| 16 | გიორგი ბუღიანიშვილი | ლოკომოტივი | 72 | 182 | 9 |
| 17 | შალვა ჯანელიძე | მონტობანი (საფ) | 86 | 181 | 10 |
| 18 | ბადრი ხეხელაშვილი | ყოჩები | 78 | 182 | 7 |
| 19 | სოსო ნიკოლაენკო | პერპინიანი (საფ) | 108 | 182 | 6 |
| 20 | დავით ბოლღაშვილი | ლილი (საფ) | 99 | 187 | 3 |
| 21 | ზაზა ლეჟავა | ორიაკი (საფ) | 92 | 192 | 12 |
| 22 | მევლუდ მთიულიშვილი | ორიაკი (საფ) | 102 | 179 | 12 |

მთ. მწვრთნელი: კლოდ სორელი

## რუმინეთი

| | კლუბი | წონა | სიმაღლე | თამაში |
|---|---|---|---|---|
| მიხაი ვიორიანუ | სტრასბურგი (საფ) | 84 | 184 | 18 |
| მარიან დუმიტრუ | სტიაუა | 86 | 183 | 3 |
| გეორგე სოლომიე | ორიაკი (საფ) | 85 | 180 | 56 |
| გაბრიელ ბრეზოიანუ | პოლინენა | 82 | 175 | 13 |
| რომეო გონტინეაკი | ორიაკი (საფ) | 88 | 175 | 33 |
| ლუსიენ ვუზეკი | მონტობანი (საფ) | 83 | 178 | 6 |
| მარიან ერაზუ | პოლინენა | 90 | 177 | |
| იონუც ტოფანი | სტიაუა | 75 | 179 | 8 |
| პეტრე მიტუ | ორიაკი (საფ) | 81 | 174 | 14 |
| ლუჩან სირბუ | გრივიცა | 87 | 182 | 4 |
| რეზვან მავროდინი | რასინგი (საფ) | 97 | 178 | 7 |
| პეტრუ ბელანი | დინამო | 107 | 186 | 8 |
| დრაგოშ ნიკოლაე | ორიაკი (საფ) | 111 | 181 | 11 |
| ჩიპრიან ვლეშანუ | გრივიცა | 105 | 178 | |
| პეტრიშორ ტოდერაშკი | პოლინენა | 110 | 184 | 1 |
| ტუდორ კონსტანტინი | რასინგი (საფ) | 115 | 198 | 29 |
| ოვიდიუ ტონიცე | რუმენტული | 95 | 196 | 3 |
| კეტელინ დრაგუჩანუ | სტიაუა | 107 | 190 | 36 |
| ფლორინ კოროდიანუ | ორიაკი (საფ) | 96 | 191 | 8 |
| ალინ პეტრაკე | რასინგი (საფ) | 106 | 194 | 12 |
| კოსტიკე მერსოიუ | პრეციზია | 97 | 190 | 2 |
| მარიუს ტინკუ | უნივერსიტატია | 105 | 181 | 7 |

მენეჯერი: მირჩა ვატუი




## აღსდექ, საქართველოვ!

დიახ, რუმინეთს ველით.

საქართველოს ტერიტორიაზე სანაკრებო რაგბი არასოდეს წაგვიგია და ხვალაც ამ სასახელო ადათის გაგრძელება გვწადია. ოღონდ, უბრალო არწაგება მხოლოდ სტატისტიკის გაგრძელება იქნება და სხვა არაფერი. მოგება კი ევროპის თასს იძლევა — ალბათ პირველ ნაღდ საერთაშორისო გუნდურ ჯილდოს, რაც რომ დამოუკიდებელი საქართველო და მისი სპორტი არსებობს.

ერთხელ, თხლეშა წვიმაში ჩეხებთან თამაში იყო მაშინ გაპარტახებულ ვაკის მინდორზე და ჩემს უკან მდგომი გვარიანად გალუმპული კაცი თითქმის მთელი თამაში იმეორებდა, როგორც მე ვატყობ, სარაგბო ამბავში სამუდამო მეტოქედ რუმინეთი გვყავსო. ეს მართალი ნათქვამი სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში და ცხოვრებამაც დაადასტურა — თუკი რაიმეს დამტკიცებას დავაპირებთ, წინ აუცილებლად რუმინეთი გადაგვეღობება — ძველი სარაგბო ღირსების ქვეყანა. რაღა დავმალო, საბჭოთა მოწაფეობისას ისიც კი გამიგონია, რუმინეთში საბავშვო ბაღიდან რაგბს ათამაშებენო. ასე მქონდა წარმოდგენილი, რომ დიქტატორი ჩაუშესკუ ძალით ათამაშებდა ბავშვებს რაგბის და ის ბავშვებიც მეცოდებოდნენ.

რად უნდა ლაპარაკი — ჩვენს წინაშეა უხერხული, ჰკვიანი, გამოცდილი და უშეღავათო ძალა, რომელიც სდგას ჩვენს მაკონტროლებლად ევროპის რაგბის მაღალი ეშელონის კარიბჭესთან და გვახსენებს — ძალიანაც ნუ აგიჩქროლდებათ ეგ გული, იცოდეთ, აქა ვართ ჩვენი ბრეზიანუ-მიტუებითა.

ჩვენი სარაგბო ისტორიის უმნიშვნელოვანესი თამაშიც, „ლენსდაუნ როუდზე“ სწორედ რუმინელებთან გვქონდა და დავმარცხდით, მაგრამ ესეები მე ვიცი და ვყვები აქა და მეტრ კლოდ სორელმა არ იცის? ბატონ კლოდს ხომ გადაჭრელებული ექნება თავისი რვეულები და ხერხებიც დამარაგებული. ესეც არ იყოს და ვის, ვის და ჩვენს ბორჯღალოსნებს ნაღდად არ სჭირდებათ გამამხნევებელი ჩქმეტა-ბწკენანი და ძახილი, „მამულისათვის, მამულისათვის“. ამგვარი რამ უფრო ჩვენს მაყურებელს და ქომაგებს უნდა შევახსენოთ. რადგან რაგბი ის თამაშია, რომელსაც გუნდი და გულშემატკივარი ერთად იგებს და ერთად აგებს.

ხმა არავინ დაინანოს!

ყველამ გაიხსენოს, როგორ ვერ დაგვიდო ლელო რუსეთმა, რომელიც ბარე ათ წუთს ტრიალებდა ჩვენს ხაზთან, იქ განა მარტო გუნდი იყო? იქ ჩვენი ხმაც იყო. იქ განა მარტო რაგბი იყო? იქ ყველაფერი იყო, რაც კი გულსა და ჯიგარში ჩაგვრჩენოდა და ამიტომ,

აღსდექ, საქართველოვ!

აღსდექ, საქართველოვ!

გამარჯვებისთვის! მსოფლიოში ყველაზე ვაჟკაცური თამაშისთვის! მოხდენილი ჯილდოსთვის! ხალხის და გუნდის ერთობისთვის! მინდვრის არც ერთი გოჯი არ არის სხვისი. მინდორი ჩვენია! არ დავკარგოთ ის, რაც ჩვენია!

წინ, ბორჯღალისთვის!

მიაწვა!

მიაწვა!

მიაწვა!

Lloyds TSB six nations Championship

# ერთი ან სამი

2 აპრილი

**შოტლანდია — ინგლისი**

თუ მატჩი ფრედ არ დამთავრდა, სწორედ ამდენი ჯილდო იპოვის პატრონს. ტურნირში გამარჯვება ინგლისს ფაქტობრივად დაბევებული აქვს და თუ რამე სასწაული არ მოხდა, ირლანდია მის გადასწრებას ვერ შეძლებს. რაც შეეხება ჯილდოებს, თუ შოტლანდია მოიგებს, იგი დაეუფლება კალკუტის თასს, რომელიც ამ ორ ბრიტანულ ქვეყანას შორის გამარჯვებულს ერგება. თუ ინგლისმა მოიგო, რაც უფრო მოსალოდნელი, მაშინ სტუმრები კალკუტის თასთან ერთად დიდ სლემსაც მოიპოვებენ, მასპინძლები კი ხის კოვზით „დაჯილდოვდებიან".

ისე, მართლა ძნელი წარმოსადგენია, ინგლისმა ვერ მოიგოს. მან მთელი ტურნირი ბრწყინვალედ ჩაატარა. ჯერ ირლანდიელები გაანადგურა, მერე პარიზში იმარჯვა, რასაც უელსელთა და იტალიელთა გაცამტვერება მოაყოლა. ასე რომ, ფავორიტი ინგლისია და თუ ვინმეს ჰგონია, შოტლანდია გაიმარჯვებსო, მწარედ ცდება. სტუმრები დაცვაში შეუვალნი, შებოჭვების ოსტატები არიან. მათი შერკინება მოწინაალმდეგისაზე გაცილებით ძლიერია, მით უმეტეს გერფორტის ნაცვლად ვიკერის დაბრუნების შემდეგ. ნახევარმცველებ... უმაღლესი კლასისანი არიან, რ... აც სამმეოთხედელების ათამაშება მშვენივრად შეუძლიათ. წლეულს სწორედ ხელით ბურთაობისადმი გალვიძებული სიმპატიით გააკვირვეს ინგლისელებმა რაგბის სამყარო. თანაც უკანახაზელებს იერიშები ძალიან კარგადაც გამოსდით.

შეძლებს კი შოტლანდია ასეთი ძლიერი მეტოქის დამარცხებას? ალბათ, ვერა. ხუთი ერის პირველობის შარშანდელი გამარჯვებული მსოფლიოს თასზე საკმაოდ კარგად გამოვიდა, მაგრამ იმის მერე საშინელი დაღმასვლა დაეწყო. სკოტი მორაგბეები თითქმის მოტივაციის გარეშე თამაშობენ, თითქოს იძულებულნი არიან, თორემ სულ არ ეხალისებათ საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვაო. არადა, შარშან მათ ლამის თვიქნემში მოუგეს ინგლისელებს. ახლა კი იმ მატჩში მონაწილენიც ერთობ დაბეჩავებულან. მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი იან მაკგიჩენსი, ძალიანაც რომ უნდოდეს, დიდად ვერ შეცვლის შემადგენლობას, რადგან შოტლანდიაში მაღალი დონის მორაგბე ბევრი არ არის.

იმედი ვიქონიოთ, რომ შოტლანდიელებში სიამაყე გაიღვიძებს და ხვალ მთელი ძალით ეკვეთებიან მეტოქეს. თუმცა ასეც რომ მოხდეს, ძნელი წარმოსადგენია, მათ მთელი მატჩის მანძილზე შეძლონ ინგლისელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და თანაბრად, სწორად თამაში.




ლოურენს დალალიო (ბურთით) და მისი თანაგუნდელები დიდ სლემთან ახლოს არიან

სავარაუდო შემადგენლობანი

**შოტლანდია:** პატერსონი, მეტკალფი, მაკლარენი, თაუნსენდი, მოირი, ჰოდჯი, ნიკოლი (კაპ.), მ. ლესლი, პოუნტნი, ვაიტი, რ. მეტკალფი, მიურეი, სტიუარტი, ბრათერსტოუნი, სმიტი

**ინგლისი:** პერი, ჰილეი, ტინდელი, კეტი, კოენი, უილკინსონი, დოუსონი (კაპ.), დალალიო, ბეკი, ჰილი, შოუ, არჩერი, ვიკერი, გრინინგი, ლეონარდი

ბოლო ათი მატჩი

| | | |
|---|---|---|
| 1991 | თვიქნემი | 12:21 |
| 1991 | მიურეფილდი | 6:9 |
| | (მსოფლიოს თასი) | |
| 1992 | მიურეფილდი | 7:25 |
| 1993 | თვიქნემი | 12:26 |
| 1994 | მიურეფილდი | 14:15 |
| 1995 | თვიქნემი | 12:24 |
| 1996 | მიურეფილდი | 9:18 |
| 1997 | თვიქნემი | 13:41 |
| 1998 | მიურეფილდი | 20:34 |
| 1999 | თვიქნემი | 21:24 |

# ღმერთმა ირლანდიას ოდრისკოლი უწყალობა

1 აპრილი

**ირლანდია — უელსი**

ირლანდიის რაგბის ფედერაცია აპირებს, ნაკრების ახლანდელ თავკაც უორენ გეტლენდს კონტრაქტი 2002 წლამდე გაუგრძელოს. არადა, რამდენიმე ხნის წინ მის შემცვლელს ეძებდა. წესით, გეტლენდმა სიტყვა უელსთან მატჩის შემდეგ უნდა თქვას. გადაწყვეტილება გეტლენდის დარჩენის შესახებ აქამდეც უნდა მიეღოთ, მაგრამ ირლანდიის რაგბის ფედერაციის თავკაცები ჰონკონგში იყვნენ შვიდკაცაზე და ამიტომაც გაჯანჯლდა ეს საქმე. ირლანდიის კიდევ ორი წლით გაწვრთნაში ახალზელანდიელი მწვრთნელი იმაზე გაცილებით მეტს აიღებს, ვიდრე აქამდე. თუმცა ზუსტ ციფრს ჯერჯერობით არ ასახელებენ. ყოველ შემთხვევაში, მისი ხელფასი უელსელთა დამრიგებელ გრემ ჰენრისაზე ნაკლები იქნება. ირლანდიის დღევანდელი მეტოქის მწვრთნელის კონტრაქტი დაახლოებით 4 მილიონი დოლარი ღირს.

დღევანდელი მატჩი, ალბათ, ლელომრავალი იქნება. ამ ორმა გუნდმა უკვე დიდი ხანია, უხვგოლიანი ურთიერთშეხვედრები ტრადიციად დაამკვიდრა. თანაც, ბოლო წლებში გამარჯვებული მუდმივად სტუმარი ხდება, დღეს ამ ორი ტრადიციიდან პირველია, არა და მეორე კი, ალბათ, დაირღვევა.

მატჩში წესით და რიგით ბევრი ლელო უნდა გავიდეს, რადგან მთელი ტურნირის მანძილზე ორივე გუნდის დაცვა ერთობ სუსტად გამოიყურებოდა. წინა თამაშებში კი ირლანდიამ უფრო გააზრებული, დაწყობილი და ჯიგრიანი რაგბი აჩვენა, ვიდრე უელსმა. ამიტომაც მასპინძელთა მოგება რეალობასთან უფრო ახლოს დგას. თანაც „სამყურებს" ორი ისეთი კაცი ჰყავთ, მსოფლიოს ყველა ნაკრებს დაამშვენებდა — ვუდი და ოდრისკოლი.

აქვე, ბრაიან ოდრისკოლისკენ მივაპყრობთ თქვენს ყურადღებას. დიდი ხანია, „რაგბის ღმერთებს" ირლანდიელთათვის ასეთი გაქანებისა და ტალანტის მქონე მორაგბე არ გამოუგზავნიათ — იგი სწრაფი, ტექნიკური და შედეგიანია. მისი თამაშის ყურება ერთი სიამოვნებაა. მთელი ირლანდია აღტაცებულია მისით და არცთუ უსაფუძვლოდ. თამაშის ბედის გადაწყვეტაში ოდრისკოლის როლი უდიდესი იქნება. თუ მოიგეს, ირლანდიელები უზომოდ გაიხარებენ, რადგან 1948 წლის შემდეგ ტურნირში ოთხი მატჩი აღარ მოუგიათ. მართალია, მაშინ ხუთი ერი იყო, ახლა კი ექვსია, მაგრამ მაინც... მასპინძლებს წარმატების მისაღწევად დიდი შანსი აქვთ. მათი შერკინება საკმაოდ კარგია, დერეფნებში ისინი უკეთ ირჯებიან, ვიდრე უელსელები და ნახევარმცველებიც უკეთესები ჰყავთ.

უელსი მხოლოდ დამრტყმელით სჯობს მეტოქეს, მაგრამ ნილ ჯენკინსის თამაში ნაკლებადაა მოსალოდნელი. იგი გუნდში კი არის, მაგრამ სავარაუდო შემადგენლობაში ჰენრის არ დაუსახელებია. მთლიანად უელსის ნაკრები განახლების გზას დასდგომია. მას შემდეგ, რაც რამდენიმე მისი წევრი არაუელსური წარმოშობის გამო ნაკრებიდან დაითხოვეს. ახლა გუნდი გაცილებით ახალგაზრდა და „უელსურია".

სავარაუდო შემადგენლობანი

**ირლანდია:** დემპსი, ჰორგენი, ოდრისკოლი, ჰენდერსონი, ჰიკი, ოგარა, სტრინჯერი, ფოლი, დოუსონი, ესტერბი, ოკელი, გალვი, ჰეიესი, ვუდი (კაპ.), კლოჰესი

**უელსი:** რ. უილიამსი, ტომასი, ტეილორი, ბეიტმენი, შ. უილიამსი, ჯონსი, მუნი, ლუისი, ბადჯეტი, ჩარვისი, მური, გოუფი, იანგი (კაპ.), ჯენკინსი, როჯერსი

ბოლო ათი მატჩი

| | | |
|---|---|---|
| 1991 | კარდიფი | 21:21 |
| 1992 | დუბლინი | 15:16 |
| 1993 | კარდიფი | 19:14 |
| 1994 | დუბლინი | 15:17 |
| 1995 | კარდიფი | 16:12 |
| 1995 | იოჰანესბურგი | 24:23 |
| | (მსოფლიოს თასი) | |
| 1996 | დუბლინი | 30:17 |
| 1997 | კარდიფი | 26:25 |
| 1998 | დუბლინი | 21:30 |
| 1999 | ლონდონი | 29:23 |



უელსელებმა დუბლინში გაისეირნეს



დიეგო დომინგესი დღეს ნაკრებს გამოემშვიდობება

# ადიოს, დიეგო!

1 აპრილი

**საფრანგეთი — იტალია**

ორ წელზე მეტია, საფრანგეთის ნაკრებს ტურნირის საშინაო მატჩი არ მოუგია. 1997 და 1998 წლებში დიდი სლემის შესრულების შემდეგ, „მამლებს" „სტად დე ფრანსზე" ველარავინ დაუმარცხებიათ. უელსმა, შოტლანდიამ, ინგლისმა და ირლანდიამ მიყოლებით სძლიეს ფრანგებს, რომლებიც ნავსის გატეხვას შეჯიბრის დებიუტანტ იტალიასთან შეეცდებიან. თუ ვერ მოიგებენ, მათ მთავარ მწვრთნელ ბერნარ ლაპორტს დიდი კრიტიკა დაატყდება თავს.

წინა ტურში ირლანდიასთან გამოყვანილ სატარტო შემადგენლობაში ლაპორტმა ექვსი ცვლილება მოახდინა. ოლივიე მანს დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა, დანარჩენმა ტრავმები მოიშუშეს. თუმცა სასურველ შემადგენლობას გალტიე, ლამეზონი, დომინისი და ლომბარი მაინც აკლია.

სავარაუდო შემადგენლობაში აბდელატიფ ბენაზის არმოხვედრა ყველაზე დიდი სიურპრიზი იყო. მას ირლანდიასთან ჩაგდებული მატჩი არ აპატიეს და ლიონელ მალიეთი შეცვალეს, რომელიც პირველად დაიწყებს მატჩს ძირითადში. შერკინების მესამე ხაზში მასთან ერთად ტომა ლიევრემონი და მანი იქნებიან. ირლანდიასთან მატჩის ბოლოს, სუსტი თამაშით უკმაყოფილო ლაპორტმა ნახევარდაცვა განაახლა. თუმც, ეს სიტყვა ცოტა უადგილო ჩანს, რადგან უბერი და პენო ჯამში 66 წლისანი არიან. წლოვანების მიუხედავად, ორივე მშვენიერ ფორმაშია და ნაკრების თავკაცსაც იმედები უნდა გაუმართლონ. პენოს დაბრუნება მოსალოდნელი იყო, უბერისა, ვინც ნაკრებში ბოლოს 1995 წელს ითამაშა კი, ნამდვილად არა.

თითქმის ყოველ მატჩში იცვლება „მამლების" უკანა ხაზი. სამმეოთხედელთა შუაში პირველ ტურში უელსთან დურთმა და ლომბარმა ითამაშეს და მშვენივრადაც. თუმცა ჯერ ერთი დაიმტვრა, მერე — მეორე და ამიტომ ცვლილებებიც იძულებითი იყო. ინგლისთან და შოტლანდიასთან ლაპორტმა ლომბარს ვანდიტი შეუწყვილა, ირლანდიასთან კი გლა-დებროსის დუეტს ენდო. დღეს კი ტრავმამოშუშებულ რიშარ დურთს ემილ ნტამაკი ამოუდგება მხარში. ეს ორეული მსოფლიოს თასზეც ვიხილეთ და მაშინ საკმაოდ კარგადაც გაისარჯნენ. შემტევი სამეული კი დომინისის არყოფნისა და ნტამაკის ცენტრში გადასვლის გამო ასეთია — ბერნა-სალი, ბორი, კასტენიედი. წესით, მათ იტალიელთა დაცვის გარღვევა არ უნდა გაუჭირდეთ.

იტალიელები თუ წააგებენ, მათზე ძვირს მაინც ვერ იტყვიან. მთავარია, კაცურად, გულიანად ითამაშონ, თორემ ფრანგთა დამარცხებას მათგან არავინ ელის. ისე, ბრედ ჯონსტონის შეგირდები, ალბათ, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა საკუთარ დამრტყმელ დიეგო დომინგესს შესაფერისი გაცილება მოუწყონ. არგენტინული წარმოშობის დომინგესს მოქმედ მორაგბეებში, ნილ ჯენკინსის შემდეგ ყველაზე მეტი ქულა აქვს მოხვეჭილი სანაკრებო დონეზე და ახლა გადაუწყვეტია, სწორედ დღეს დაემშვიდობოს „სკუადრა აძურას". როგორც თავად ამბობს, ეს გადაწყვეტილება საბოლოოა. ისე, დომინგესს ერთი-ორი წელი კიდევ შეეძლო იტალიის ღირსების დაცვა, მაგრამ კაცია და გუნება.

იტალიელთა ახალზელანდიელმა მწვრთნელმა კვლავ ვერ შეძლო უძლიერესი შემადგენლობის თავმოყრა. ჯერ იყო და მასიმ ჯიოვანელის თირკმელი ისე წახდომია, ექიმებმა საერთოდ აუკრძალეს რაგბის თამაში. მერე კი აპენინური რაგბის კიდევ ორი ვეტერანი — პაოლო ვაკარი და მასიმო კუტიტა დაშავდნენ. მათი შეცვლის გარდა ჯონსტონმა „ტრადიციულად" უკანა ხაზიც გადაახალისა. ვნახოთ, მისი ეს ტაქტიკური ცვლილებები რა შედეგს მოიტანს.

**გაიოზ თალაკვაძე**

სავარაუდო შემადგენლობანი

**საფრანგეთი:** კასტენიედი, ბერნასალი, დურთი, ნტამაკი, ბორი, პენო, უბერი, ლიევრემონი, მანი, მალიე, პელუ (კაპ.), ბრუზე, ტურნერი, დალ მაზო, კალიფანო

**იტალია:** პინი, მაძუკატო, მარტინი, ძისტი, სტოიკა, დომინგესი, ტრონკონი (კაპ.), დე როსი, ბერგამასკო, კრისტოფოლეტო, გრიტი, ჩეკინატო, პაოლეტი, მოსკარდი, ლო ჩიჩერო

ბოლო ათი მატჩი

| | | |
|---|---|---|
| 1961 | შამბერი | 17:0 |
| 1962 | ბრეშა | 6:3 |
| 1963 | გრენობლი | 14:12 |
| 1964 | პარმა | 12:3 |
| 1965 | პო | 21:0 |
| 1966 | ნეაპოლი | 21:0 |
| 1967 | ტულონი | 60:13 |
| 1995 | ბუენოს აირესი | 35:22 |
| | (ლათინთა თასი) | |
| 1997 | გრენობლი | 32:40 |
| 1997 | ოში | 30:19 |
| | (ლათინთა თასი) | |

# ყველანი ბათუმში!

**საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური მქვსეული**

ვერის ბაღი. 31 მარტი

**ვითა 69:57 მაკაბი**

I ტაიმი 34:32

ვითა: უსტიაშვილი (2), ტურაშვილი (16), კოკოლიშვილი (14), ქევხიშვილი (8), ახალკაცი (10); გ. გაგნიძე (4), შანიძე (15)

მაკაბი: დ. ბერიშვილი (9), ტალაბაძე (10), ბ. ნოზაძე (18), ფერიაშვილი (6), შენგელია (9); მჭედლიშვილი, ლასარეიშვილი, სარქისიანი (2), კრიხელი (3)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური მქვსეული**

ვერის ბაღი. 31 მარტი

**ბასკო 74:68 სტუ**

I ტაიმი 41:32

ბასკო: დავითულიანი (8), ბელიაევი (4), ბეჟანიშვილი (20), ქარაბაკი (14), ვ. კილაძე (11); მაისურაძე (9), კვაჭაძე (2), არხიპოვი (6)

სტუ: თორთლაძე (5), ლოსაბერიძე (15), ზ. ჩუბინიძე (14), ორმოცაძე (17), კორძაძე (6); ტულუში (2), მოისწრაფიშვილი, სულაძე (2), ოთიურიძე (2), მინაშვილი (5), მიქაძე

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

**საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური მქვსეული**

ვერის ბაღი. 31 მარტი

**სდასუ 76:78 აზოტი**

I ტაიმი 39:44

სდასუ: ნ. ნოზაძე, გ. ჩხეიძე (8), უძილაური (22), გ. ნაცვლიშვილი (18), მაჭარაძე (13); არჩვაძე (2), ხოშტარია (13), ლ. აბულაძე

აზოტი: ა. ჟღენტი (5), გოგობერიშვილი (26), წიკლაური (11), ბაბიაშვილი (13), მ. ბერუაშვილი (17); გაბისონია (2), გოგოლაძე (2), ლ. ჩაჩუა (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: ნოდარ დარახველიძე



ბასკო — სტუ 74:68. ვახტანგ მინაშვილი (№12) ბასკოელ ალეკო დავითულიანს უფარებს

**გიორგი ბიკაშვილი**

ვინ იქნება მეოთხე? — ეს კითხვა კი კიდევ უფრო მწვავე და აქტუალური გახადა ექვსეულის თბილისურმა წრემ. ერთი რამ არის ნათელი, ბათუმში გამოაშკარავდება მეოთხე ბობოლა (22-27 აპრილს ექვსეულის მეორე წრეს ბათუმი უმასპინძლებს).

ალბათ, უნდა გამოვრიცხოთ „მაკაბი". ამ გუნდისგან სამქულიანი დეფიციტის გაბათილება (სწორედ ამდენით ჩამორჩება „მაკაბი" „ვითასა" და სდასუ-ს) ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია. ჩემპიონი „ვითა" და სტუდენტური სდასუ კი ბათუმში, ვფიქრობთ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაევაჯგურებიან ერთმანეთს და ელიტარულ ოთხეულში შესაღწევად სხვა გუნდებსაც უმოწყალოდ დაკორტნიან.

გუშინ რუსთავის „აზოტის" ძლევის შემთხვევაში სამომავლოდ კარგ ფორას შეიქნიდა და სდასუ. სხვანაირადაც შეიძლებოდა — „ვითას" „მაკაბისთან" რომ წაეგო.

სხვაგვარად კი მოხდა, მოიგო ჩემპიონმა და დამარცხდა სდასუ, რამაც ეს გუნდები ქულებით კვლავ ერთმანეთს გაუტოლა. „ვითა" მხოლოდ ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსით (2:1) სჯობნის უშუალო მეტოქეს.

არადა, სდასუ-ს ნამდვილად შეეძლო ზედიზედ მეორე მარცხი ეწვნია რუსთაველთათვის (წინა დღეს „აზოტმა" სტუ-სთან წააგო). სტუდენტებს ოდნავ უკეთ რომ ეთამაშათ, ან სულ ცოტა იღბალი რომ ჰქონოდათ, უეჭველად ჩააბარებდნენ იმ ურთულეს გამოცდას, ვიცე-ჩემპიონის ძლევა რომ ჰქვია.

თავის მხრივ „აზოტიც" რომ არაფერს დათმობდა, ცხადზე ცხადი იყო. ქომაგთა გულის მოგებას თავი რომ დავანებოთ, სჭირდებოდა კიდეც 2 ქულა ოთარ ხმელიძის გუნდს.

ამ მატჩში „აზოტს" ძირითადი გამთამაშებელი, დისკვალიფიკაციამოხდილი არჩილ ჟღენტი დაუბრუნდა, რაც გვაფიქრებინებდა, რომ იგი აუცილებლად მოაწესრიგებდა წინა დღით რუსთაველთა ქაოსურად მოთამაშე უკანა ხაზს. სდასუ-ს მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და გუნდის ლიდერი ირაკლი ხოშტარია თავიდან სათადარიგოებში გაამწესა.

საწყის წუთებში სდასუ ვერაფრით უმკლავდებოდა რუსთაველ რამაზ გობერიშვილს. გიორგი ჩხეიძე საკმაოდ მჭიდროდ მეურვეობდა „აზოტის" ლიდერს, მაგრამ იმას კი ველარ წარმოიდგენდა, რომ გოგობერიშვილის ჩუბინობას საზღვარი არ ექნებოდა და სამქულიანის ხაზიდან 2-3 მეტრის იქით მდგომი შეეცდებოდა მიზნის მიღწევას. „აზოტის" ლიდერმა სამჯერ ისახელა თავი შორი მანძილიდან, მაგრამ დაცვაში ვერაფრით ააწყვეს თამაში რუსთაველებმა, რის შედეგადაც სასურველი სხვაობით ვერა და ვერ მოსწყდნენ მეტოქეს. ეგ კი არა, ეპიზოდურად წინაც გადიოდა სდასუ, რაც უმეტესწილად შოთა უძილაურის დამსახურება გახლდათ. მოკლე მონაკვეთში შოთამ 2 სამიანი ჩააგდო, ხოლო როცა მესამედაც ივარგა შორიდან, მასსა და გოგობერიშვილს შორის სამიანების სტატუს-კვო აღსდგა, ანგარიშიც გათანაბრდა — 27:27.

უძილაურის მეურვე წიკლაური ხმელიძემ გაბისონიათი რომ შეცვალა, „აზოტის" უპირატესობა გამოიკვეთა, რაც ტაიმის მიწურულს ანგარიშზეც აისახა.

მეორე ნახევარში რუსთაველები ლიდერობდნენ. მუდმივად 7-9 ქულას შორის მერყეობდა სხვაობა. ასე გრძლდებოდა კარგა ხანს, შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე კი მიხეილ ბერუაშვილმა 11 ქულითაც — 72:61 დააწინაურა თავისიანები.

„აზოტს" მალე ხუთი ჯარიმით გაბისონია და წიკლაური გაუვარდა, რამაც ფრთები შეასხა სდასუ-ს და სტუდენტებმაც უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს. მაჭარაძემ 4 ქულამდე დაიყვანა სხვაობა, თავის მხრივ „აზოტი" შეცდომას შეცდომაზე უშვებდა, თუმც ამით სდასუელები ვერ სარგებლობდნენ: ხოშტარიამ და უძილაურმა მარტივ სიტუაციებში ვერ დაიმორჩილეს ბურთი, გიგი ნაცვლიშვილმა კი ფარქვეშ მარტო მყოფ უძილაურს პასი ვერ მისცა.

ასეა თუ ისე, დამთავრებამდე 38 წამით ადრე სდასუ-ს 2 ქულაღა აშორებდა მეტოქეს. „აზოტმა" დროის გაყვანა გადაწყვიტა და ხანგრძლივად ათამაშა ბურთი, ბოლოს გოგობერიშვილმა ესროლა, ფარიდან ასხლეტილი ბურთი ფარქვეშ ეულად მდგომ ლევან ჩაჩუას მიუვიდა და მანაც გამარჯვების მომტანი ჩააგდო. დარჩენილ 7 წამში სასწაული აღარ მომხდარა.

დღის ცენტრალური მატჩი, „ბასკო" — სტუ დაძაბულად დაიწყო, თუმც დებიუტში ყურადღების ცენტრში მსაჯები მეტად მოექცნენ. ბერეკაშვილსა და აბაშიძეს ხშირად უწევდათ თამაშში ჩარევა და მათი სასტვენებიც მნიშვნელოვნად აფერხებდა შეხვედრას. შედეგად სტუ-მ ძალიან მალე, 2.5 წუთში მიიღო 7 გუნდური ჯარიმა, რომელთაგანაც სამი პერსონალური ორმოცაძეზე მოდიოდა.

სხვა მხრივ, შეიძლება ითქვას, თანაბარი თამაში მიმდინარეობდა. ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა ტომარაძის „ბასკო", სტუ-ც მეცამეტე წუთზე დაწინაურდა პირველად — 20:19.

ტაიმის ბოლოს კი ზღვისპირელებმა აშკარად დაჯაბნეს ტექნიკოსები, რაც ძირითადად ფარზე მოპოვებული უპირატესობის ხარჯზე მოახერხეს. აქტიურობდა ლევან ქარაბაკი, მასზე მეტად კი ვლადიმერ ბეჟანიშვილი, რომელიც დაცვაშიც რიგიანად მოქმედებდა.

ჭეიშვილის გუნდის კოზირი სწრაფი თამაშია, მაგრამ სასურველი ტემპი ვერაფრით მოახვია მეტოქეს და შესაბამისად სტუდენტები პირველ შეტევაშიც ვერ გაიქცნენ. ამის მიზეზი „ბასკოს" უკანახაზელების შეხმატკბილებული ქმედებაც გახლდათ და წინახაზელების საიმედო თამაშიც. კილაძემ, ქარაბაკმა, მოგვიანებით კი არხიპოვმა პრობლემები შეუქმნეს სტუ-ს მაღლებს და რაკი ისინი ბურთს დროულად ვერ იხელთებდნენ, სწრაფი იერიშის განვითარების შესაძლებლობაც ესპობოდათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტთა გამთამაშებელმა და ლიდერმა დავით თორთლაძემ შუაგულ ტაიმშივე 4 ჯარიმა მიიღო და ამის მერე ძირითადად სათადარიგოებში მოუწია ყოფნა.

ტაიმი „ბასკომ" დამაჯერებლად კი მოიგო, მაგრამ მერე და მერე ჭეიშვილის გუნდიც გამოერკვა და ყველას აგრძნობინა, რომ მარცხს ასე იოლად არ შეურიგდებოდა. მატჩის დამთავრებამდე ზუსტად 6 წუთით ადრე ორმოცაძემ სამიანით ერთ ქულამდე დაიყვანა სხვაობა (57:58), მაგრამ როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, ეს ტექნიკოსთა მაქსიმუმი იყო. მაისურაძისა და ბეჟანიშვილის სამიანები, კილაძისა და ქარაბაკის თითო გარღვევა სტუ-ს 4-წუთიანი მონაკვეთის 0:10 წაგებად დაუჯდა და სხვა გზა რომ აღარ დარჩენოდა, ბედს შეეგუა. ამის მერე ლოსაბერიძის ზუსტი სამიანები მცირე ინტრიგასლა უნარჩუნებდა ამ მატჩს.

„მაკაბის" წინა დღეს, სდასუ-სთან შენგელია დაუშავდა და შესაძლოა, ამან გადამწყვეტი როლიც ითამაშა ამ გუნდის დამარცხებაში. მართალია, „ვითასთან" თამაშობდა კახა, მაგრამ კოჭლობით და აშკარად ძალდატანებით.

მიუხედავად ამისა, ტაიმ-ნახევარი მაინც თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. ჩემპიონის უპირატესობაც მხოლოდ ამის შემდეგ გამოიკვეთა და დამთავრებამდე 7.50 წუთით ადრე 10 ქულით გაექცა „ვითა" „მაკაბის".

შვიდგზის ჩემპიონი „ვითა" კი, როგორც წესი, ასეთ კარგ შანსს ხელიდან არ უშვებს და ახლა რა ღმერთი გაუწყრებოდა...



ბასკოელი ალეკო დავითულიანს უფარებს

**საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური მქვსეული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 27 | 25 | 2 | 2509:2018 | 52 |
| აზოტი | 27 | 21 | 6 | 2422:2060 | 48 |
| სტუ | 27 | 19 | 8 | 2396:1968 | 46 |
| ვითა | 27 | 17 | 10 | 2234:2143 | 44 |
| სდასუ | 27 | 17 | 10 | 2207:2052 | 44 |
| მაკაბი | 27 | 14 | 13 | 2227:2024 | 41 |

**საქართველოს ჩემპიონატი 5 ტური მქვსეული**

## საუკეთესო მოთამაშე

**რამაზ გოგობერიშვილი**

**·აზოტი·**



*უაღრესად დაძაბული გამოდგა სდასუ — „აზოტის" შეხვედრა, რომლის ბედი, რუსთაველთა უპირატესობის მიუხედავად, ბოლომდე გაურკვეველი იყო. იღბალმა ვიცე-ჩემპიონების გამარჯვება ინება, „აზოტის" ლიდერი და კაპიტანი რამაზ გოგობერიშვილი კი ექვსეულში მეორედ გახდა ტურის მოთამაშე.*

**— რამაზ, „აზოტმა" ბევრი შეცდომები დაუშვა და მატჩის ბოლო წამებზე ძლივს გადაურჩა დამარცხებას. რითი ახსნით ასეთ უყურადღებო თამაშს, ოთხეულში მონაწილეობა რომ თითქმის გაინაღდეთ, თუ მეტოქე ვერ შეაფასეთ ჯეროვნად?**

— ახალი დებულებიდან გამომდინარე, ნახევარფინალები მიმოსვლით ჩატარდება და მოედნის უპირატესობას ის გუნდი მიიღებს, რომელიც უკეთესი ადგილით შევა პლეი ოფში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეორე ადგილი რომ შევინარჩუნოთ, ნებისმიერ ქულას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სდასუ-ს დამარცხების შემთხვევაში ჩვენს უშუალო მდევარ სტუ-ს ხომ ორი ქულით გავუსწრებდით. ასე რომ, მოგება მეტად მნიშვნელოვანი იყო და არც მეტოქის შეუფასებლობაზე ღირს საუბარი — იგი სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს პლეი ოფში მოსახვედრად.

ჩემი აზრით, შეცდომები ფიზიკური გადაღლილობის ბრალი იყო. რეგულარული ჩემპიონატის მატჩები ერთი კვირის ინტერვალით ტარდებოდა, ახლა კი ექვს დღეში ხუთი უმნიშვნელოვანესი თამაში გვქონდა.

**— ფიზიკურმა მოუმზადებლობამ ხომ არ იჩინა თავი?**

— როგორი მომზადებულიც არ უნდა იყო, ხუთი-ექვსი კალათბურთელით ძნელია ამგვარი მატჩების ასეთი სიხშირით ჩატარება.

**— ბოლო დროს თქვენ აშკარად გააუმჯობესეთ სამქულიანების სროლის პროცენტული მაჩვენებელი. დაცვაში კი, სამწუხაროდ, ძველებურად მოისუსტებთ...**

— ერთდროულად ყველაფერს ვერ მიაღწევ. დარწმუნებული ვარ, მომავალში აღარც დაცვაში თამაშის დროს მექნება პრობლემები.

**— თქვენთან საუბრის დროს შეუძლებელია, არ შევეხოთ იმ აყალმაყალს, რომელიც უმთავრესად თან ახლავს „აზოტის" მონაწილეობით ჩატარებულ მატჩებს. ხომ შეიძლება, ამის გამო ერთხელაც სერიოზულად დაზარალდეთ?**

— თუ არაობიექტური მსაჯობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება, რა მნიშვნელობა აქვს, არბიტრი წაგაგებინებს თუ ფედერაციის სანქციების გამო დაისჯები.

სდასუ — აზოტი 76:78. აზოტელი ზაზა გაბისონია (თეთრ ფორმაში) და ირაკლი ხოშტარია

ევროლიგა. მეოთხედფინალი. გადამწყვეტი მატჩები. 30 მარტი

# გუნდი და ვარსკვლავთკრებული




REUTERS თელ ავივიდან

მაკაბი — ფორტიტუდო 79:64. ფორტიტუდოელ კარლტონ მაიერსს (№10) ნათანიელ ჰაფმანი (მარცხნივ) და დერიკ შარფი აღუდგნენ წინ

გადამწყვეტმა მატჩმა 15 ათასი კაცი შეკრიბა სტამბოლის „აბდი იპექჩი სფორ სალონუში“. ხუთი ათასი ქომაგი დარბაზში ვერ შევიდა, ამიტომ მათთვის ქუჩაში დიდი ტელეეკრანები დაამონტაჟეს. გულშემატკივართა ერთგულება დაფასდა: „ეფესმა“ მოიგო და პირველად არსებობის მანძილზე გავიდა „ოთხთა ფინალში“.

თავიდან მატჩი თანაბარი იყო. „ვილერბანი“ კარგად თამაშობდა იქამდე, სანამ მისმა ცენტრმა მარლონ მაქსიმ ხუთი პერსონალური არ მიიღო. ეს მეორე ტაიმის დასაწყისშივე მოხდა. „ეფესმა“ ქულათა მარაგი გაიკეთა და ბურთის ნელი გაამაშებას დაიწყო. აღმოჩნდა, რომ „ვილერბანს“ ხელს აძლევდა ამგვარი ტაქტიკა და მანაც ანგარიშის შემცირება დაიწყო. დამთავრებამდე სამი წუთით ადრე „ეფესი“ 60:50 იგებდა, მაგრამ „ვილერბანმა“ იმდენი ქნა, რომ სირენამდე 4 წამით ადრე ჩამორჩენა ორ ქულამდე დაიყვანა — 68:66. აქ კი ბედმა უმუხთლა ვილერბანელთა ლიდერ მ[illegible]ტაფა სონკოს: ბოლო წამზე მისი ნ[illegible]სროლი აცდა.

„ეფესი“ ნახევარფინალში ათენის „პანათინაიკოსს“ შეხვდება. მოგეხსენებათ, „ოთხთა ფინალი“ სალონიკში გაიმართება, რომელიც საკმაოდ ახლოა სტამბოლიდან. ერთი სიტყვით, „ეფესს“ ათასამდე გულშემატკივრის მხარდაჭერის იმედი აქვს.

## მაკაბი 2
## ფორტიტუდო 1

**მაკაბი 79:64 ფორტიტუდო**

მაკაბი: ბრისკერი (6), კომეგისი (6), ჰენფილდი (12), ჰაფმანი (18), ჯამჩი, მაკდონალდი (14), პოპა, შარფი (7), შეფერი (16), შელეფი

ფორტიტუდო: ანკიზი, ბაზილე (7), ფუჩკა (13), გალანდა (2), კარნიშოვასი (12), იარიჩი (5), მაიერსი (19), ს. ვრანკოვიჩი (6)

„მაკაბი“ გუნდია, კოლექტივი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. „ფორტიტუდო“ კი შესანიშნავი ინდივიდუალისტებით დაკომპლექტებული ვარსკვლავთკრებული. რომელი ერთი აღვნიშნოთ: მაიერსი თუ ფუჩკა, კარნიშოვასი თუ სტოიან ვრანკოვიჩი...

„ფორტიტუდომ“, ფაქტობრივად, ერთი კვირის წინ დათმო სერია, როცა შინ, ბოლონიაში წააგო ებრაელებთან. გადამწყვეტ მატჩში, თელ ავივში, „მაკაბიმ“ შესანიშნავი გუნდური თვისებები გამოავლინა და „ოთხთა ფინალშიც“ გავიდა. ამის დასტური ებრაული გუნდის მიერ გაკეთებული 17 პასი და 10 ჩაჭრაა.

პირველ ტაიმში დადებული იყო ფორტიტუდოელი კარლტონ მაიერსი, რომელმაც ამ ხანში 16 ქულას მოუყარა თავი. თანაგუნდელებმა შესვენების შემდეგ მაიერსს მხარი არ აუბეს და მთელი იმედები მის ოსტატობაზე დაამყარეს. არაფერი გამოვიდა, რადგან იმ საღამოს ბოლონიელთა წინააღმდეგ გუნდი თამაშობდა. მაკაბელთა დაცვამ ჩაკეტა კარნიშოვასი, გალანდას იმდენად მჭიდრო მეურვეობა დაუწესეს, რომ სამი სამქულიანი თითქმის იძულებით ესროლა და, ცხადია, ააცილა. ვრანკოვიჩსაც შეუზღუდეს სათარეშო სივრცე. ერთადერთი ფუჩკა ახერხებდა რაღაცას, ოღონდ ისიც ინდივიდუალურად და თანაგუნდელთა მხარდაჭერის გარეშე.

მაკაბელებში ყველაზე კარგი დორონ შეფერი იყო, თუმცა პირობითად. ებრაული გუნდის ყველა წევრმა (სათადარიგოთა ჩათვლით) ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა მწვრთნელ პინი გერშონის მითითება და, პირველ რიგში მოწესრიგებული თამაშის წყალობით მოუგო საკმაოდ სოლიდურ „ფორტიტუდოს“.

„მაკაბის“ მეტოქე ნახევარფინალში „ბარსელონა“ იქნება.

**მერაბ რატიშვილი**

## ბარსელონა 2
## ოლიმპია 1

**ბარსელონა 71:66 ოლიმპია**

ბარსელონა: ალსტონი (12), დე ლა ფუენტე (5), დუენიასი (4), ელსონი (3), გასოლი, გოლდვაიერი (20), გუროვიჩი (19), ნავარო (2), რენციასი, როდრიგესი (6)

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (11), ბრეჟეცი (7), გოლემაცი (3), იასიკევიჩუსი (22), კოტნიკი (6), მილიჩი (8), მოდრიჩი (2), პარავინია, ზდოვცი (7)

და მაინც „ბარსელონა“. კატალონიური კლუბი მეშვიდედ გავიდა ევროლიგის „ოთხთა ფინალში“ (აქ ევროლიგის წინამორბედის, ჩემპიონთა თასის ფინალიც ითვლება) და შეეცდება პირველად მოიგოს ტიტული. აქამდე ესპანური გუნდებიდან ევროლიგა მადრიდის „რეალს“ და ბადალონას „ხუვენტუდს“ მოუგიათ.

„ოლიმპიამ“ კი, ალბათ, თავის მაქსიმუმს მიაღწია. მართალია, ამ სერიაში ლიუბლიანელები ყველა მატჩში ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან (ერთი მოიგეს კიდეც), მაგრამ „ბარსელონამ“ უფრო ჩამოყალიბებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა და „ოთხთა ფინალს“ უფრო იმსახურებდა.

პირველ ტაიმში ორივე გუნდმა საუკეთესო ფიზიკური მომზადება გამოავლინა. თამაში ძირითადად უხეშობის ზღვარზე, ხანდახან კი მის მიღმაც მიმდინარეობდა. მსაჯებს რამდენჯერმე მოუწიათ მოთამაშეთა დაშოშმინება, თან, დიდი ჯაფა დაადგათ, მატჩის სადავეები ხელიდან რომ არ გაეშვათ. ამგვარ ბრძოლაში გაილია პირველი ტაიმი, რომელიც „ბარსელონამ“ 32:31 მოიგო.

მეორე ტაიმში ერთხანს „ოლიმპია“ დაწინაურდა, მაგრამ მოულოდნელად ბრწყინვალედ ათამაშდა ამ სერიაში ჩრდილში მყოფი ბარსელონელი მილან გუროვიჩი. მან თამაშიდან ყველა ნასროლი ჩააგდო (სამი ორქულიანი, სამი სამქულიანი) და „ბარსელონას“ გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა. გუროვიჩს მხარი აუბა პირველი მატჩის გმირმა ენტონი გოლდვაიერმა და მასპინძლებმა ჯერ ჩამორჩენა გააბათილეს, მერე უპირატესობა მოიპოვეს და, ბოლოს, გაიმარჯვეს.

„ბარსელონა“ 18 აპრილს ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ პროგრამით დაგეგმილ ნახევარფინალში თელ ავივის „მაკაბის“ შეხვდება. „ოლიმპია“ კი — ეს გუნდი ალბათ დაიშლება. ამბობენ, მარკო მილიჩი მიდის, შარუნას იასიკევიჩუსსაც არავინ გააჩერებს ლიუბლიანაში... ეს ყველაფერი გზას გაუხსნის ქართველ ფორვარდ ვლადიმერ ბოისას. შეგახსენებთ, რომ ბოისა „ოლიმპიას“ საკუთრებაა და „სლოვანში“ განათხოვრებული. „ოლიმპიას“ ხელმძღვანელობამ ამას წინათ საუბარი ჩამოაგდო მომავალ სეზონში ბოისას გუნდში ჩართვაზე. კარგი იქნება, თუ ბოისა ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში ითამაშებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი ამ სეზონშიც მზად იყო ამისთვის. ყოველ შემთხვევაში, მილოშ პარავინიაზე კარგი თამაში ბოისას ამ წუთასაც შეუძლია.

## ეფესი 2
## ვილერბანი 1

**ეფესი 68:66 ვილერბანი**

ეფესი: ბეშოქი (14), დრობნიაკი (6), ქუთლუაი (13), მულაომეროვიჩი (14), ონანი (5), თურქოღლუ (16)

ვილერბანი: ბილბა (7), ბლომი, ლარანიაგა (13), ლოვერნი (2), მაქსი (11), პერსევო, პლუვი (4), სილსი (13), სონკო (16)

„ეფესის“ საბედნიეროდ და „ვილერბანის“ საუბედუროდ, ისტორია არ განმეორდა. 1997 წელს ზუსტად ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა. ამ გუნდებს შორის მეოთხედფინალის გადამწყვეტი მატჩი სტამბოლში გაიმართა და იგი „ვილერბანმა“ მოიგო. ფრანგული გუნდი „ოთხთა ფინალში“ გავიდა, სადაც ნახევარფინალი „ბარსელონასთან“ წააგო, ხოლო მესამე ადგილისთვის მატჩი — ლიუბლიანის „ოლიმპიასთან“. ისიც გავიხსენოთ, რომ ვილერბანელთა ცოდვა იმ მატჩში „ოლიმპიას“ ქართველმა ცენტრმა ვლადიმერ სტეფანიამ დაიდო.

FINAL FOUR 2000 - THESSALONIKI HELLAS

## ოთხთა ფინალი

18-20 აპრილი. სალონიკი (საბერძნეთი)

ნახევარფინალი. 18 აპრილი

**პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ეფესი (თურქეთი)**

**ბარსელონა (ესპანეთი) — მაკაბი (ისრაელი)**

*ამ წყვილებში გამარჯვებულები 20 აპრილს ევროლიგის ფინალში ითამაშებენ, დამარცხებულები — მესამე ადგილისთვის*

რეგულარული ჩემპიონატი

# ოლიმპიურმა ოქრომ კარტერს თვალი მოსჭრა

30 მარტი

**ნიუ ჯერსი 107:103 ტორონტო**

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (32), მარბერი (17)
ტორონტო: კარტერი (39)

**ატლანტა 74:118 ფინიქსი**

ატლანტა: ჯეკსონი (11), ტერი (11)
ფინიქსი: როჯერსი (21)

**მაიამი 105:80 ჩიკაგო**

მაიამი: ჰარდევეი (16)
ჩიკაგო: ბრენდი (17)

**მინესოტა 122:90 ჰიუსტონი**

მინესოტა: გარნეტი (25), ბრენდონი (21 ქულა, 13 პასი)
ჰიუსტონი: ვილიამსი (18), ფრენსისი (16)

**სან ანტონიო 102:90 გოლდენ სტეიტი**

სან ანტონიო: რობინსონი (27), დანკანი (19 ქულა, 17 მოხსნა, 6 დაფარება)
გოლდენ სტეიტი: ბლეილოკი (19), ჰიუზი (17)

**პორტლენდი 96:85 დალასი**

პორტლენდი: ვოლესი (34), სმიტი (22), პიპენი (19)
დალასი: ფინლი (30)

**კლიპერსი 85:104 მილუოკი**

კლიპერსი: მაკინისი (20), ნესბი (17)
მილუოკი: ალენი (35), კასელი (15 ქულა, 16 პასი)

რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ სამი კვირა დარჩა. გუნდებს შორის უკეთესი ადგილებისთვის ბრძოლაც გადამწყვეტ ფაზაში შედის. ვინც მოასწრო გამარჯვებათა საკმარისი რაოდენობის დაგროვება, ახლა იმას ცდილობს, რეგულარული სეზონი, რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე დაასრულოს, რათა პლეი ოფში უფრო სუსტი გუნდი ერგოს. თუმც პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლი გუნდების თავგამოდება მაინც სულ სხვაა. ეს ომი განსაკუთრებით აღმოსავლეთში გაჩაღებულა, სადაც, როგორც ყოველთვის, საშუალო გუნდები სჭარბობენ, რომელთა შორის სხვაობა თითქმის უმნიშვნელოა.

ჯერ კიდევ სეზონის შუაში აღმოსავლეთში მეხუთე ადგილზე მყოფი, ახლა კი მეცხრე საფეხურზე ჩამოქვეითებული „მილუოკისთვის“ ახლა ყოველ გამარჯვებას ოქროს ფასი აქვს და მისი მოთამაშეებიც, ცხადია, თავს არ იზოგავენ, რათა რვა გუნდს შორის შეაღწიონ, სადაც უკვე კარგა ხანია, ადგილი დაიმკვიდრა სეზონის დასაწყისში აუტსაიდერად შერაცხულმა „ორლანდომ“. აი, ახლა „მილუოკიმ“ სტუმრად „კლიპერსს“ მოუგო და უფრო დაუახლოვდა კონკურენტს. „ჩვენ პლეი ოფში თამაშს ვაპირებთ. „კლიპერსს“ მოვუგეთ, მაგრამ წინ სერიოზული გუნდები არიან. მერე რა, რომ კალენდარი ჩვენს წინააღმდეგაა, სხვა თამაშებიც ისევე უნდა მოვიგოთ, როგორც ეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენთვის ყველაფერი დაკარგავს მნიშვნელობას“ — „კლიპერსთან“ გამარჯვების ერთ-ერთმა გმირმა, სემ კასელმა თავისიანთა გულისნადები არ დამალა და გუნდის საბრძოლო განწყობილება და მზადყოფნა დაადასტურა. თუმცა მილუოკელებს ის არ უნდა დაავიწყდეთ, რომ უპრეტენზიო „კლიპერსის“ დამარცხება, რომელსაც აგერ ზედიზედ ცხრა თამაშია, არ მოუგია, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. საქმე ის იქნება, „ორლანდოს“ მოუგოს, რომელსაც ჯერ 10 აპრილს შინ ხვდება, შემდეგ კი, 17 აპრილს, სტუმრად.

„ორლანდოსა“ და „მილუოკის“ გამ[illegible]წარებული ჭიდილის ფონზე შეუმჩნ[illegible]ვლად ამოტივტივდა თითქმის მთელ[illegible] სეზონის განმავლობაში ცხრილის ქვედა ნაწილში მოყურყუტე „ნიუ ჯერსი ნეტსი“ და ახლა ამ გუნდმა წინა ორი იძულებული გახადა, ისიც სათვალავში ჩაეგდოთ, მისთვის ანგარიში გაეწიათ. „ნიუ ჯერსიმ“ რამდენიმე სერიოზული გამოცდა ჩააბარა, მძლავრ გუნდებს კუდით ქვა ასროლინა და ამას წინათ, 28 მარტს, თვით აღმოსავლეთში გაბატონებულ „ინდიანას“ აჭამა მწარე ალიყური, ორი დღის შემდეგ კი მას „ტორონტოც“ მიაყოლა. ჩანს, „ნეთსმა“ თავისი ძალა ირწმუნა და ამაზე არ გაჩერდება.

„ნიუ ჯერსიმ“ თავიდანვე მონდომებით შეუტია კანადელებს და შრომა დაუფასდა, პირველი ნახევრის შემდეგ 21 ქულის სხვაობით უგებდა მეტოქეს. „ტორონტომ“ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კერკეტი გუნდია და იმდენი ქნა, სხვაობა რამდენიმე ქულამდე დაიყვანა. უფრო სწორად, ვინს კარტერმა ითაკილა „ნიუ ჯერსისთან“ წაგება და ჩვეულად დატრიალდა, ხოლო როცა შეატყო, რომ თანაგუნდელები ვერ აჰყვნენ, თვითონ შეეცადა მატჩის ბედის შემოტრიალებას. სტუმართა სამწუხაროდ, მარტო კარტერი ამჯერად ვერ გასწვდა მეტოქეს. იგი თავისას ცდილობდა, და იმდენად დიდი იყო მისი შემართება, რომ მატჩის დამთავრებამდე სამ-ნახევარი წუთით ადრე მსაჯებს ტექნიკურიც დასტყუა, რადგან მეურვე სკოტ ბარელს ბურთი ესროლა, როცა ამ უკანასკნელმა გარღვევაზე გასული კარტერი ერთობ უხეშად შეაჩერა. ტექნიკურმაც ვერ დააცხრო ვინსი. მისი 50 წამით ადრე ჩაგდებულის შემდეგ „ტორონტო“ ოთხი ქულით დაუახლოვდა მეტოქეს — 98:102, მაგრამ როცა 38 წამით ადრე კვლავ გარღვევაზე გასულ კარტერს „ნიუ ჯერსის“ ცენტრმა ეივენ ეშმეირმა იმ დღეს მესამედ და საბოლოოდ დაუფარა, როგორც იქნა, ჩააქრო მისი მეამბოხე სული.

აღსანიშნავია, რომ ამ თამაშში კარტერის გამარჯვებისკენ სწრაფვა მის ოლიმპიურ ნაკრებში არჩევით იყო გამოწვეული. იგი „დრიმ თიმში“ ტრავმირებული ფინიქსელი ტომ გულიოტას ადგილს დაიკავებს. არჩევით კი კარტერი ორი კვირის წინ აირჩია საგანგებო კომიტეტმა, მაგრამ თვითონ მოთამაშეს თავდაპირველად უარი უთქვამს, მაგ ოლიმპიადისთვის ვერ მოვიცლი, ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტში სტუდენტობის დროინდელი გამოცდები უნდა ჩავაბაროო, მაგრამ მერე აზრი შეუცვლია. ოლიმპიური ოქროს ბრჭყვიალმა თუ მოსჭრა თვალი და არ სურს, შანსი ხელიდან გაუშვას. ასე რომ, კარტერი უკვე დამკვიდრდა ნაკრების 12 კაცში, რომელთა შორის უმრწემესია.

**ირაკლი ფირაშვილი**




REUTERS ისკ ტორონტოდან

ნიუ ჯერსი — ტორონტო. ნიუჯერსელმა ელიოტ პერიმ (თეთრ ფორმაში) ჩარლზ ოკლი დასცა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. 27-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 003 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 004 | აინტრახტი-არმინია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 005 | ჰერტა-შალკე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 006 | მიუნხენ 1860-ლევერკუზენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 007 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 2 აპრილი | | | |
| 008 | ჰანზა-ვერდერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 009 | კაიზერსლაუტ.-შტუტგარტი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 25-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 013 | კიოლნი-ოფენბახი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 014 | კიოლნი-ოფენბახი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 2 აპრილი | | | |
| 015 | ალემანია-მაინცი ($17^{45}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 016 | ფიურტი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 017 | ზანქტ პაული-ფორტუნა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 018 | კარლსრუე-ნიურნბერგი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 3 აპრილი | | | |
| 019 | კოტბუსი-ბოხუმი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 31-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 020 | ქოვენთრი-ლივერპული | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 021 | ევერტონი-უოტფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 022 | ევერტონი-უოტფორდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 023 | ლიდსი-ჩელსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 024 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 025 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |
| 026 | ნიუკასლი-ბრედფორდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 027 | ნიუკასლი-ბრედფორდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 028 | საუთჰემპტონი-სანდერლენდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 029 | უიმბლდონი-არსენალი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 2 აპრილი | | | |
| 030 | დერბი-ლესტერი ($17^{00}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 3 აპრილი | | | |
| 031 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 40-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 034 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 035 | ბლექბერნი-შეფილდი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 036 | ქრიუ-ნოტინგემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 037 | ფულემი-კრისტალ პალასი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 038 | გრიმსბი-ჰადერსფილდი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 039 | ნორვიჩი-ტრანმერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 040 | პორტ ვეილი-პორტსმუთი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 041 | სუინდონი-მანჩესტერ სიტი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 042 | უოლსოლი-ბარნსლი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 40-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 043 | ბლეკპული-პრესტონი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 044 | ბრენტფორდი-უიგანი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 045 | როვერსი-სტოკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 046 | ბერი-სკანთორპი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 047 | კარდიფი-ბარნლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 048 | ჯილინგემი-ჩესტერფილდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 049 | ჯილინგემი-ჩესტერფილდი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 050 | ლუტონი-კოლჩესტერი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 051 | ნოტსი-მილუოლი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 052 | ოლდემი-კემბრიჯი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 053 | ოქსფორდი-ბორნმუთი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 054 | რექსემი-რედინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 055 | უიკომბი-ბრისტოლი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 40-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 056 | ბრაიტონი-სუონსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 057 | კარლაისლი-ჰალი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 058 | ჩელტენემი-ტორკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 059 | დარლინგტონი-როტერჰემი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 060 | ჰალიფაქსი-ჩესტერი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 061 | ჰარტლპული-ექსეტერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 062 | ლეიტონი-მაკლსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 063 | მენსფილდი-ბარნეტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 064 | პიტერბრო-როჩდეილი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 065 | პლიმუთი-ნორთჰემპტონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 066 | შრიუსბერი-ლინკოლნი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 067 | საუთენდი-იორკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 31-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 076 | ნიმი-ნიორი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### იტალია. სერია "ა". 28-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 077 | ფიორენტინა-ბოლონია | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 078 | იუვენტუსი-ლაციო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 2 აპრილი | | | |
| 079 | ბარი-კალიარი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 080 | ინტერი-რეჯინა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 081 | ინტერი-რეჯინა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 082 | პერუჯა-ტორინო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 083 | რომა-უდინეზე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 084 | ვენეცია-ლეჩე | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 085 | ვერონა-პიაჩენცა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 086 | პარმა-მილანი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### იტალია. სერია "ბ". 29-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 აპრილი | | | |
| 088 | ატალანტა-ბრეშა | 2,1 | 2,4 | 3,8 |
| 089 | კოზენცა-ალძანო | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 090 | ფერმანა-ჩეზენა | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 091 | პისტოიეზე-ვიჩენცა | 2,8 | 2,5 | 2,6 |
| 092 | რავენა-ემპოლი | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 093 | სამპდორია-სალერნიტანა | 1,7 | 2,5 | 6,5 |
| 094 | სავოია-კიევო | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 095 | ტერნანა-ტრევიზო | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| | 3 აპრილი | | | |
| 096 | პესკარა-ნაპოლი | 2,7 | 2,5 | 2,8 |

### იტალია. სერია "ც1/ა". 28-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 აპრილი | | | |
| 097 | ლეკო-პიზა | 3,1 | 2,3 | 2,6 |
| 098 | ლივორნო-ბრეშელო | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 099 | ლუმეცანე-კომო | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| 100 | მონტევარკი-ჩიტადელა | 2,3 | 2,4 | 3,4 |
| 101 | რეჯანა-მოდენა | 2,0 | 2,4 | 4,4 |
| 102 | სანდონა-ლუკეზე | 2,8 | 2,4 | 2,7 |
| 103 | სიენა-კრემონეზე | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 104 | სპალ-ალბინოლეფე | 2,3 | 2,3 | 3,6 |
| 105 | ვარეზე-კარარეზე | 1,6 | 2,7 | 7,0 |

### იტალია. სერია "ც1/ბ". 28-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 აპრილი | | | |
| 106 | არეცო-ფ.ანდრია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 107 | არეცო-ფ.ანდრია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 108 | ატლეტიკო-ვიტერბეზე | 2,9 | 2,3 | 2,9 |
| 109 | აველინო-ანკონა | 3,0 | 2,3 | 2,7 |
| 110 | დი სანგრო-გუალდო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 111 | კროტონე-პალერმო | 1,7 | 2,5 | 6,5 |
| 112 | ლოდიჯანი-ბენევენტო | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 113 | მარსალა-ნოჩერინა | 2,5 | 2,4 | 3,1 |
| 114 | სტაბია-კატანია | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| | 3 აპრილი | | | |
| 115 | ჯულიანოვა-ასკოლი | 3,0 | 2,3 | 2,7 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 31-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 116 | სოსიედადი-რეალი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| | 2 აპრილი | | | |
| 117 | რაიო ვალეკანო-ნუმანსია ($15^{00}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 118 | მალიორკა-ესპანიოლი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 119 | რასინგი-ალავესი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 120 | სელტა-ვალიადოლიდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 121 | სევილია-დეპორტივო | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 122 | ოვიედო-მალაგა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 123 | ბარსელონა-ვალენსია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 124 | სარაგოსა-ბეტისი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 125 | ატლეტიკო-ბილბაო | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 33-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 129 | ელჩე-ტოლედო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 131 | ხეტაფე-ატლეტიკო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 136 | ლოგრონიესი-ლას პალმასი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 2 აპრილი | | | |
| 126 | ესტრემადურა-ტენერიფე ($15^{00}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 127 | ლევანტე-სპორტინგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 128 | ვილიარეალი-უელვა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 130 | ეიბარი-მერიდა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 132 | ბადახოსი-ლეგანესი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 133 | ალბასეტე-ოსასუნა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 134 | სალამანკა-კომპოსტელა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 135 | ლეიდა-კორდობა | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### პორტუგალია. 28-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 138 | ბენფიკა-პორტუ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 139 | სანტა კლარა-ალვერკა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 2 აპრილი | | | |
| 140 | ამადორა-რიუ ავე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 141 | მარიტიმუ-კამპომაიორენსე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 142 | სალგეირუში-ბრაგა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 143 | სპორტინგი-ბელენენსეში | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 144 | სპორტინგი-ბელენენსეში 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 145 | გიმარაეში-ლეირია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 146 | გიმარაეში-ლეირია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 3 აპრილი | | | |
| 147 | ფარენსე-ჟილ ვისენტე | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### ჰოლანდია. 28-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 152 | გრააფსხაპი-სიტარდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 153 | მაასტრიხტი-ვიტესი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 154 | პსვ-ალკმაარი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 155 | პსვ-ალკმაარი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 2 აპრილი | | | |
| 156 | სპარტა-ტვენტე ($17^{30}$) | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 157 | უტრეხტი-კამბური ($17^{30}$) | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 158 | ვალვაიკი-ფეიენოორდი | 3,8 | 3,1 | 1,8 |

### ბელგია. 29-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 159 | ბეერსხოტი-გენტი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 160 | ლოკერენი-გენკი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 161 | ლომელი-მუსკრონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 162 | ლიერსი-ბევერენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 163 | ლიერსი-ბევერენი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 164 | ანდერლეხტი-მეხელენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 165 | ანდერლეხტი-მეხელენი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 166 | აალსტი-ვესტერლოო | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 167 | ბრიუგე-შარლერუა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 168 | ბრიუგე-შარლერუა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 2 აპრილი | | | |
| 169 | გეელი-ჰარელბეკე ($17^{00}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 170 | სენტ ტრუიდენი-სტანდარდი | 3,5 | 3,0 | 1,9 |

### საბერძნეთი. 26-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 181 | ოფი-აეკ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 2 აპრილი | | | |
| 171 | პანიონიოსი-კალამატა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 172 | ირაკლისი-პანილიაკოსი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 173 | პროდეფტიკი-აპოლონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 175 | პანაჰაიკი-კავალა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 176 | პანათინაიკოსი-იონიკოსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 177 | პანათინაიკოსი-იონიკოსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 178 | ქსანთი-ტრიკალა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 179 | ქსანთი-ტრიკალა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 180 | პაოკ-არისი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 3 აპრილი | | | |
| 174 | ეთნიკოსი-ოლიმპიაკოსი | 6,5 | 3,8 | 1,4 |

### ჩეხეთი. 23-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 აპრილი | | | |
| 183 | ბანიკი-ტეპლიცე ($17^{30}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 184 | სიგმა-დუკლა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 185 | სლავია-დრნოვიცე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 186 | სლავია-დრნოვიცე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 187 | ბლშანი-ვიქტორია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 188 | ლიბერეცი-ოპავა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 189 | ჰ.კრალოვე-იაბლონეცი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 190 | ბოჰემიანსი-სპარტა | 7,0 | 3,5 | 1,4 |

### პოლონეთი. მე-21 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 აპრილი | | | |
| 191 | პოგონი-ვისლა ($16^{30}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 192 | პოლონია-ლეხი ($17^{00}$) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 193 | პოლონია-ლეხი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 194 | სტომილი-რუხი ($17^{00}$) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 195 | პლოცკი-ამიცა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 196 | ოდრა-ლეგია | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 197 | რაძიონკოვი-გურნიკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 198 | გროცლინი-ლკს | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 199 | ვიძევი-ზაგლებე | 2,0 | 2,9 | 3,4 |

უკრაინა. მე-18 ტური

2-3 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 200 | დინამო-ნივა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 201 | დინამო-ნივა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 202 | მარიუპოლი-ცსკა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 203 | პრიკარპატია-მეტალისტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 204 | შახტარი-კარპატი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 205 | შახტარი-კარპატი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 206 | ზაპოროჟიე-ჩორნომორეცი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 207 | ვორსკლა-მეტალურგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 208 | ვორსკლა-მეტალურგი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 209 | კრივბასი-ზირკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 210 | კრივბასი-ზირკა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 211 | დნიპრო-ტავრია | 1,8 | 3,0 | 4,0 |

თურქეთი. 27-ე ტური

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 213 | ერზურუმი-გალათასარაი ($14^{00}$) | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| 214 | გიოზთეფე-ბურსა ($16^{30}$) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 215 | გენჩლერბირლიგი-ადანა ($16^{30}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 216 | ფენერბაჰჩე-ანთალია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 217 | ფენერბაჰჩე-ანთალია 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 218 | ვანი-გაზიანთეფი ($14^{00}$) | 4,0 | 3,6 | 1,6 |
| 219 | სამსუნი-ალთაი ($16^{30}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 220 | ქოჯაელი-ისთანბული | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 221 | ბეშიქთაში-ანკარაგიუჯიუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 222 | ბეშიქთაში-ანკარაგიუჯიუ 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

შოტლანდია. 29-ე ტური

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 223 | აბერდინი-რეინჯერსი | 4,4 | 3,4 | 1,6 |
| 224 | დანდი-ჰართსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 225 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 226 | მოზერუელი-სენტ ჯონსტონი | 1,8 | 3,1 | 3,8 |

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 227 | სელტიკი-კილმარნოკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 228 | სელტიკი-კილმარნოკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

ავსტრია. 27-ე ტური

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 229 | ტიროლი-ზალცბურგი ($17^{00}$) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 230 | ტიროლი-ზალცბურგი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 231 | ლუსტენაუ-ლინცერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 232 | რაპიდი-გრაცერი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 233 | რაპიდი-გრაცერი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 234 | რიდი-ბრეგენცი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 235 | შტურმი-აუსტრია | 1,7 | 3,0 | 4,7 |

შვეიცარია. მე-4 ტური

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 236 | ბაზელი-სერვეტი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 237 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 238 | ივერდონი-ლოზანა ($17^{30}$) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 239 | სენტ გალენი-ლუცერნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 240 | სენტ გალენი-ლუცერნი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

დანია. 22-ე ტური

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 241 | ვაილე-ბრიონდბიუ | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 242 | ლიუნგბიუ-ორჰუსი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 243 | ესბიერგი-ოლბორგი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 244 | ოდენსე-აკადემისკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 245 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

3 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 246 | ჰერფიოლგე-ვიბორგი | 1,7 | 3,2 | 4,2 |

რუსეთი. მე-2 ტური

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 247 | ლოკომოტივი-კრილია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 248 | ლოკომოტივი-კრილია 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 249 | ალანია-ფაკელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 250 | ალანია-ფაკელი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 251 | ურალანი-სპარტაკი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 252 | ცსკა-სატურნი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 253 | ცსკა-სატურნი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 254 | ტორპედო-ნოვგოროდი | 1,4 | 3,8 | 5,6 |
| 255 | ტორპედო-ნოვგოროდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 256 | ზენიტი-ანჟი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 257 | ზენიტი-ანჟი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 258 | როსტსელმაში-როტორი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

ინგლისი. თასის 1/2 ფინალი

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 259 | ბოლტონი-ასტონ ვილა (ლონდონში) | 5,0 | 3,2 | 1,6 |

საფრანგეთი. ლიგის თასის 1/2 ფინალი

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 260 | პსჟ-ბასტია | 1,5 | 3,3 | 6,0 |

3 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 261 | რედ სტარი-გენიონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

კალათბურთი

1 აპრილი

810 კლივლენდი-ბოსტონი
811 ჩიკაგო-შარლოტი
812 ჰიუსტონი-ატლანტა
813 დენვერი-იუტა
814 პორტლენდი-მილუოკი

2 აპრილი

815 ნიუ ჯერსი-დეტროიტი
816 მაიამი-სან ანტონიო
817 ტორონტო-ინდიანა
818 კლივლენდი-ჩიკაგო
819 მინესოტა-ფინიქსი
820 ლეიკერსი-ნიუ იორკი
821 გოლდენ სტეიტი-მილუოკი
822 საკრამენტო-ფილადელფია
823 პორტლენდი-სიეტლი
824 ვანკუვერი-დალასი

ჰოკეი

1 აპრილი

830 ბოსტონი-რეინჯერსი
831 პიტსბურგი-ფილადელფია
832 სენტ ლუისი-დეტროიტი
833 აილენდერსი-ჩიკაგო
834 ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი
835 მონრეალი-ბუფალო
836 ვაშინგტონი-ტორონტო
837 ფლორიდა-ტამპა ბეი
838 კალგარი-სან ხოსე
839 ედმონტონი-ფინიქსი

2 აპრილი

840 კაროლინა-ფილადელფია
841 სენტ ლუისი-ოტავა
842 კოლორადო-დალასი
843 ჩიკაგო-ვანკუვერი
844 ატლანტა-აილენდერსი
845 ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი
846 დეტროიტი-მონრეალი

3 აპრილი

847 ბუფალო-ტორონტო
848 პიტსბურგი-კაროლინა
849 ვაშინგტონი-რეინჯერსი
850 ფლორიდა-ნიუ ჯერსი
851 დალასი-კალგარი
852 ედმონტონი-სან ხოსე
853 ფინიქსი-ლოს ანჯელესი
854 ანაჰაიმი-ნეშვილი

რაგბი. ექვსი ერის თასი

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 855 | საფრანგეთი-იტალია | 1,05 | 7,0 | 9,0 |
| 856 | ირლანდია-უელსი | 1,35 | 7,0 | 2,7 |

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 857 | შოტლანდია-ინგლისი | 5,6 | 7,0 | 1,1 |

**კალათბურთის და ჰოკეის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებულ თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში ალნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩააბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში ალნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ ალნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა არის თანაგრძნობა?

REUTERS კი ბისკეინიდან



ლეიტონ ჰიუიტი

**კი ბისკეინი. აშშ. „ერიქსონის ღია პირველობა“. ჰარდი. საპრიზო 5,76 მილიონი $**

**ქალები. ნახევარფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — მონიკა სელეში (7, აშშ) 6:0, 6:0; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — სანდრინ ტესტიუ (12, საფრანგეთი) 6:1, 6:7 (3:7), 7:6 (7:5)**

მარტინა ჰინგისმა თავისი წილი სამუშაო პირნათლად შეასრულა, მაგრამ ორშაბათიდან მსოფლიოს პირველ ჩოგნობას მაინც გამოეთხოვება — მის ადგილს ლინდსი დევენპორტი დაიკავებს.

იმისთვის, რომ 19 წლის შვეიცარიელს ტახტი შეენარჩუნებინა, ერთბაშად ორი პირობა უნდა შესრულებულიყო: მას ნახევარფინალში მონიკა სელეში დაემარცხებინა, დევენპორტს კი თავის მხრივ სანდრინ ტესტიუსთან უნდა წაეგო.

ყველაზე მეტად ამით სელეში დაზარალდა — აგრესიულად განწყობილმა ჰინგისმა მას, უბრალოდ, გადაუარა და 39 წუთში (!) კარიერის ყველაზე მწარე მარცხი აგემა. ექსიუგოსლავიელს აქამდე 535 მატჩში მშრალზე არასოდეს წაეგო.

„როგორ შეიძლება, ასეთი თამაშის შემდეგ თავი იგრძნო? როდესაც სპორტსმენი ხარ და კარგად ვერ თამაშობ, უკვე იმედგამაცრუებელია. ეს ნახევარფინალი იყო და საკუთარი თავისგან გაცილებით მეტს ველოდი“ — განაცხადა სელეშმა.

მონიკას მატჩის დაწყებიდანვე უჭირდა მოძრაობა, ხშირად სულ იოლ ბურთებსაც ვერ უსწრებდა, დაკარგულის ანაზღაურებას ზედმეტად რისკიანი თამაშით ცდილობდა და ძალიან ბევრსაც სცოდავდა. შეხვედრა მან ორი ორმაგით დაასრულა და კორტი მაყურებელთა სტვენაში დატოვა.

„ვფიქრობ, ის დღეს კარგად თამაშობდა, მე — არა, თანაც ვერ დავრბოდი. შედეგად მივიღეთ ის, რაც უკვე იხილეთ“ — აღნიშნა ამერიკელმა.

ჰინგისის პრესკონფერენცია იმით დაიწყო, რომ ერთმა ჟურნალისტმა იკითხა, მონიკას თუ თანაუგრძნობდითო. „რა არის თანაგრძნობა?“ — გაიკვირვა ჯერ კიდევ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, რომლის ინგლისურის მარაგში ასეთი სიტყვისთვის ადგილი გუშინდლამდე არ მოიძებნებოდა.

საფუძვლიანი განმარტების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კორტზე მეტოქისადმი თანაგრძნობა მარტინასთვის არც მშობლიურ ჩეხურ, ან უფრო ნაცნობ გერმანულ ენაზეა გასაგები. „ორი დღის წინ გავიგე, რომ მონიკას ფეხი სტკიოდა. ყველამ როდი იცის, კულისებს მიღმა რა ხდება. არა, დღეს ის საკუთარ თავს არ ჰგავდა, ძლივს დარბოდა და ზოგჯერ ეტყობოდა, რომ რაღაც სტკიოდა. სულ ველოდი, რომ თამაშის გაგრძელებაზე უარს იტყოდა, მაგრამ ვცდილობდი, ყურადღება არ გამფანტვოდა და რაც შეიძლება, უკეთ მეთამაშა.“

მერე ჰინგისს პირველ ჩოგნობაზეც სთხოვეს აზრის გამოთქმა: „თუ დღესაც მოიგებს, ლინდსი ნამდვილად იმსახურებს ამ ადგილს. განსაკუთრებით იმის გამო, რომ ამდენჯერ (ზედიზედ ხუთჯერ) მომიგო.“

დევენპორტმა ამოცანას თავი მართლაც გაართვა, მაგრამ იმაზე გაცილებით მეტად გაუჭირდა, ვიდრე ბევრს ეგონა.

სანდრინ ტესტიუს ჰინგისის ან კუტცერის მსგავს სუსტ და სწრაფ ჩოგბურთელებთან თამაში ძალიან უჭირს, მაგრამ დაკუნთულ და მძლავრ მეტოქეებთან შეხვედრის დროს თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ფრანგს დევენპორტი აქამდეც არაერთხელ დაუმარცხებია და ლამის ერთადერთი ჩოგბურთელია, რომელიც სერენა უილიამსს ხშირად ჯაბნის.

პირველი სეტი ტესტიუმ იოლად დათმო, მეორეშიც 0:2-ით ჩამორჩა, მაგრამ მოულოდნელად ზედიზედ ცხრა ქულა მიითვალა, მატჩში გარდატეხა შეიტანა და ტაი-ბრეიკზე ანგარიშიც გაათანაბრა.

დევენპორტს ფრანგის შეტევებთან გამკლავება ძალიან უჭირდა და გადამწყვეტ ხელში უკვე თავად აღმოჩნდა მდევრის როლში. ამერიკელმა რის ვაი-ვაგლახით მიატანა ტაი-ბრეიკამდე, დაქანცულმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და ორი საათისა და 2 წუთის თავზე მძლავრი ფორჰენდით მატჩს წერტილი დაუსვა.

„შვებით ამოვისუნთქე, როცა მატჩი მოვიგე. იმის ენერგიაც ძლივს შემრჩა, პირველი ჩოგნობით გამეხარა. გადამწყვეტ სეტში 7:6 გამარჯვება გაცილებით ამაღელვებელია, ვიდრე 6:0, 6:0 მოგება.“

**კაცები. მეოთხედფინალი: პიტ სამპრასი (2, აშშ) — ნიკოლას ლაპენტი (9, ეკვადორი) 6:4, 7:6 (7:3); ლეიტონ ჰიუიტი (14, ავსტრალია) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:4, 7:6 (7:3).**

კაცების მსგავსი ანგარიშით დასრულებულმა მეოთხედფინალებმა კიდევ ერთი საინტერესო ნახევარფინალური წყვილი გამოავლინა — ერთმანეთს აქ ძველი და ახალი თაობის, ალბათ, საუკეთესო წარმომადგენლები, პიტ სამპრასი და ლეიტონ ჰიუიტი შეხვდებიან.

პისტოლ პიტისა და შავგრემანი ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტის მატჩი თითქმის ორსაათიანი და კარგი სანახავი გამოდგა — ორივე ჩოგბურთელი მრავალფეროვნად თამაშობდა და უკანა ხაზიდან დარტყმებს ბადესთან გასვლებს უნაცვლებდა.

ერთი ეგ იყო, სამპრასი საკუთარ მოწოდებებს მეტად იოლად იგებდა და მატჩში სულ ორი ბრეიკ-პოინტის გადარჩენა მოუხდა მეორე სეტში. „პიტთან თამაშში ყველაზე რთული ის არის, რომ ზეწოლა ყოველთვის შენზეა. იცი, რომ მისთვის მოწოდებისართმევის მცირედი შანსი გექნება და აუცილებლად უნდა გამოიყენო. სწორედ ამაშია განსხვავება კლასიფიკაციით პირველსა და მეცხრე ჩოგბურთელს შორის. მნიშვნელოვან სიტუაციებში შეცდომები მან კი არა, მე დავუშვი“ — დაიჩივლა მოგვიანებით ეკვადორელმა.

სამაგიეროდ, ლაპენტის სამპრასისგან ორიოდე ტკბილი სიტყვაც ერგო: „ის საუკეთესოთა ათეულში, თუ უფრო წინ არა, კიდევ მრავალ წელს იქნება. ბევრი რამ ეხერხება კარგად და ბალახის გარდა, ყველა საფარზე შეუძლია თამაში. მომწონს ასეთი შემოქმედებითი მოთამაშეები.“

ნახევარფინალის საგზური იოლად არც ჰიუიტს რგებია. მისმა მეტოქემ, მუდმივად პერსპექტიულმა ამერიკელმა ჟან-მაიკლ გემბილმა მატჩში 20 ეისი მოაწოდა და უამრავი უნებლიე შეცდომა რომ არა... თუმცა შეცდომების დაშვებას 19 წლის ავსტრალიელი ყველა მეტოქეს აიძულებს და ტყუილად არც მოგება-წაგების შეფარდება აქვს 25:2-თან.

„ვერ ვიტყვი, რომ თავს დაუმარცხებლად მივიჩნევ, მაგრამ კორტზე ყოველი გასვლისას ვიცი, რომ რაღაცას წარმოვადგენ, თავდაჯერებული ვარ. პიტის წინააღმდეგ თამაში კარგი შესაძლებლობა იქნება საკუთარი ძალების შესაფასებლად.“

**ავთანდილ სვანიძე**

REUTERS კი ბისკეინიდან



ლინდსი დევენპორტი

# ფულის ტომრები

*სპორტი და ბიზნესი ანუ ბიზნესი და სპორტი განუყრელი ცნებებია. დიდი ხანია, რაც სპორტმა დაკარგა თავისი პირვანდელი „სამოყვარულო“ სტატუსი და გაპროფესიონალდა. გაპროფესიონალებულია სპორტი იქ, სადაც ფულია. ფულია იქ, სადაც ინტერესია. ინტერესია იქ, სადაც... და ასე დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი.*

*და მაინც, როგორ ფიქრობთ, ვინ არის მსოფლიოს სპორტის სამყაროში ყველაზე შემოსავლიანი კაცი? მაიკლ ჯორდანი, ალბათ, იფიქრებს მკითხველი.*



ტაიგერ ვუდსი

მართლაც, აშშ-ს ყოველთვიური ფინანსური ჟურნალი „ფორბსი“, ტრადიციისამებრ, ყოველი წლის ბოლოს აქვეყნებს 40 ყველაზე დიდშემოსავლიან სპორტსმენთა სიას, რომელშიც მაიკლ ჯორდანს ბოლო წლებში მოწინავე პოზიციები ეკავა. 1995 წელს ეს ამერიკელი კალათბურთელი ლიდერობდა ამ სიას. 96-ში პირველობას თანამემამულე მოკრივე მაიკ ტაისონი ჩაუდგა სათავეში, 97-ში ლიდერობა ისევ მაიკლ ჯორდანმა დაიბრუნა, როცა 78,3 მილიონი გამოიმუშავა. იგი თავის საკალათბურთო ჰონორარს რეკლამებიდან მიღებულ ასევე საარაკო შემოსავალს მატებდა.

ნბა-ს ეს ყოფილი უდიდესი ვარსკვლავი, რომელსაც მრავალი გამოკითხვის შედეგად XX საუკუნის საუკეთესო ათლეტად ასახელებენ, უდიდესი ბიზნესმენიც აღმოჩნდა. ამასთან, იგი არა მხოლოდ ზრდის თავის შემოსავალს, არამედ ხარჯავს. მაგალითად, ორი თვის წინათ იგი ნბა-სა და ნჰლ-ის ვაშინგტონის კლუბების თანამფლობელიც გახდა, რისთვისაც გვარიანი თანხა გადაიხადა.

გადაიხადა, რათა შემოსავლები გაეზარდა.

მიუხედავად ამისა, მაიკლ ჯორდანს თურმე „ამაოდ“ შევნატრით. ახლახან, ბრიტანეთის THE GUARDIAN-მა გამოაქვეყნა მსოფლიოს სპორტულ სამყაროში ყველაზე შემოსავლიანი 50 კაცის სია, მაგრამ იქ „საბრალო“ ჯორდანი მხოლოდ 45-ე ადგილზე აღმოჩნდა. მეტიც — ამ სიაში მოქმედ სპორტსმენთაგან მოხვდა მხოლოდ... ერთი. ეს გახლავთ ტაიგერ ვუდსი, ვისაც გოლფის მეგავარსკვლავს უწოდებენ.

ამ სამიოდე წლის წინათ ვუდსი, „ფორბსის“ მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიან სპორტსმენთა სიაში მეექვსე იყო. მაშინ ამ მეგოლფის წლიური შემოსავალი 26,1 მილიონი გახლდათ.

ახლა ტაიგერ ვუდსი ამგვარ სიას სათავეში ჩადგომია, მაგრამ THE GUARDIAN-ის მიხედვით იგი სპორტული სამყაროს 50 ყველაზე გავლენიან პიროვნებათა სიაში ერთ-ერთი მაჩანჩალა ყოფილა და მხოლოდ 48-ე ადგილზე დამკვიდრებულა. მაგრამ ვარაუდობენ, რომ ვუდსის დღევანდელი სიძლიერე არა მხოლოდ საგოლფე შემოსავლები და მრავალმილიონიანი სპორტული კონტრაქტებია, არამედ ულრუბლო მომავალი.

საქმე ისაა, რომ გოლფში ტაიგერვუდსი № 1 კაცად 24 წლისა დამკვიდრდა, მას კი კიდევ 25 წელიწადი შეუძლია იყოს სარბიელზე, სადაც თავისი შესაშური ნიჭის წყალობით შემოსავლებს არნახულად გაზრდის.

მანამდე კი ვის უნდა შევნატროთ მსოფლიოს სპორტში ყველაზე შემოსავლიან და, აქედან გამომდინარე, ყველაზე გავლენიანთა სახელი? ვის და ისევ... ჩვენს კოლეგებს. ყოველ შემთხვევაში, 50 დაწინაურებულთა შორის საკმაოდ არიან პრესის მაგნატები, 10 ყველაზე გავლენიანთა შორის კი სულაც ნახევარი სპორტულ მედიაში მოღვაწე კაცია და პირველობაც ამ საქმის ვეშაპს, რუპერტ მერდოკს დაუსაკუთრებია.

მივყვეთ თანმიმდევრობით:

1. *რუპერტ მერდოკი*, ავსტრალიელი მედიის-მაგნატი. მერდოკის პირველობამ ერთხელ და სამუდამოდ დაგვანახა, რომ სპორტი ფულის ტომრების სასარგებლოდ გადაიხარა. 69 წლის ოზს, რომელიც არასდროს მისდევდა სპორტს, არც ამ საქმის მმართველ აპარატში დაუკავებია მნიშვნელოვანი თანამდებობა, მეტიც — გულშემატკივარიც კი არ ყოფილა, სპორტი შემოსავლის მთავარ წყაროდ გაუხდია.

მერდოკის მედიის იმპერიის საცეცებმა ლამის ყველა კონტინენტი მოიცვა. მის ძალაუფლებაშია ევროპის (SKY), ამერიკის (FOX), აზიის (STAR) და ავსტრალიის წამყვანი სპორტული არხები, ხუთი ბრიტანული საფეხბურთო კლუბის აქციები და ის წარმოუდგენელი შესაძლებლობა, რომელიც მერდოკს საშუალებას აძლევს იყოს სპორტული სცენის წამყვანი მოთამაშე. სწორედ მერდოკი იყო ის პიროვნება, რომელიც 1997 წელს ბებერ კონტინენტს „ემუქრებოდა“ საფეხბურთო სუპერლიგის შექმნის იდეით. იდეით, რომელიც კვლავაც არსებობს.

ამას გარდა, მერდოკს მილიარდ დოლარად პლანეტის საუკეთესო კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყიდვაც სურდა, რაშიც ხელი შეუშალა ბრიტანეთის ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა.

2. *ზეპ ბლატერი*, ფიფას პრეზიდენტი. ბლატერის განკარგულებაში შედის არა მარტო პლანეტის უპოპულარესი სპორტის სახეობა, არამედ მილიარდობით დოლარი, რომელიც სპონსორთა კონტრაქტებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ტელეტრანსლაციების უფლების გაყიდვით შემოდის.

3. *ხუან ანტონიო სამარანჩი*. სოკ-ის პრეზიდენტი. ეს კაცი სოკ-ის პრეზიდენტად სსრკ-ში ესპანეთის ელჩობიდან მივიდა. ახალგაზრდობაში იგი სპორტსმენი იყო, მერე ჟურნალისტობდა კიდეც. სოკ-ის ხანგრძლივი საჭეთმპყრობელობის პერიოდში მისი ორგანიზაციის ბიუჯეტმა სატელევიზიო და სპონსორული დანარიცხების შედეგად ბოლო სამი წლის განმავლობაში 3,5 მილიარდი დოლარი შეადგინა. სუფთა სპორტული და არაეკონომიკური თვალსაზრისითაც კი ბარონ პიერ დე კუბერტენიდან მოყოლებული სამარანჩი, ალბათ, ყველაზე ავტორიტეტული ოლიმპიური მოღვაწეა. სოკ-ში ალებ-მიცემობასთან დაკავშირებულმა სკანდალებმაც კი ვერ შეარყიეს მისი პოზიციები.

4. *ლეო კირხი* გერმანული მედიის-მაგნატი. კირხი, ორი უახლოესი საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის სატელევიზიო უფლებების მფლობელია. რაც მას ორი მილიარდი დოლარი დაუჯდა.

სხვათა შორის, იგი მერდოკის ერთ-ერთი კომპანიონია საფეხბურთო სუპერლიგის საქმეში, სხვა დანარჩენ ასპექტებში კი მისი ღირსეული მეტოქე.

5. *ტედ ტერნერი*, კორპორაცია TIME WARNER-ის ვიცე-პრეზიდენტი. ტერნერი CNN-ის შემქმნელი, კეთილი ნების თამაშების მამა, საკალათბურთო და ჰოკეისტთა კლუბების მფლობელი და მსხვილი ამერიკული ტელემფლობელია.

6. *ფილ ნაიტი*. კომპანია NIKE-ის ხელმძღვანელი და თანამფლობელი. ნაიკის საფირმო ემბლემას ატარებენ მაიკლ ჯორდანი, ტაიგერ ვუდსი, რონალდო და ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრები. სპორტული ეკიპირების ეს უმსხვილესი მწარმოებელი ყოველწლიურად ასობით მილიონ დოლარს აბანდებს სპორტში, საიდანაც შემოსავალი ბევრად მეტი აქვს.

7. *ლენარტ იუჰანსონი*, უეფა-ს პრეზიდენტი. ბლატერთან, მსოფლიოს ფეხბურთის ხელმძღვანელის სავარძლისთვის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, შვედი ევროპულ სავარძელში ცუდად სულაც არ გრძნობს თავს. იუჰანსონის მთავარი მონაპოვარია ის, რომ მან განახორციელა ჩემპიონთა ლიგის ყველაზე წარმატებული კომერციული პროექტი, რომლის საბრუნავი თანხაც მიმდინარე სეზონში ახლოსაა 500 მილიონ დოლართან.

8. *დიკ პაუნდი*. სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი. ერთი წლის შემდეგ, როცა სამარანჩი გამოეთხოვება თავის პოსტს, კანადელს შეუძლია კიდევ რამდენიმე საფეხურით აიწიოს ზევით იმ შემთხვევაში, თუ იგი შეძლებს სოკ-ის პრეზიდენტის სავარძლის დაკავებას.

9. *ბერნი ეკლსტოუნი*, ფორმულა I-ის მფლობელი. ყველაზე პოპულარული ავტორბოლის მეპატრონეა, რომლის დღევანდელი ღირებულება ახლოსაა სამ მილიარდ დოლართან.

10. *დიკ ებერსოლი*, „NBA SPORTS“-ის პრეზიდენტი. „NBA SPORTS“-ის არხი აშშ-ში სპორტული მაუწყებლობის ლიდერთა და ამავე დროს ამერიკის ყველა საფეხბურთო პროფესიონალური ლიგების მრავალმილიონიანი კონტრაქტების ფიგურანტი. მაგრამ მისი მთავარი კოზირია ის, რომ NBA-ის სამი უახლოესი ოლიმპიური თამაშების ტრანსლირების უფლება ჯიბეში უდევს.

**გიგა გურასაშვილი**

# მე ვარ ლოთი?!

ქვეყნად ერთი გაბოროტებული კაცი დადის, რომელსაც ფრანგი მოციგურავეები არ ეპიტნავება, ემუქრება და ახლახან სამართებლითაც თავს დაესხა ერთ მათგანს. „სარბიელის“ უახლოესი საციგურაო მიმოხილვების შემდეგ, პირველი ფრაზა იქნებ ზედმეტიც ჩანდეს, მაგრამ ნიცის მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარი ამბიდან ორიოდე დღის მანძილზე ამგვარი კითხვა ჩანდა აქტუალური — დადის კი? და ამ კონტექსტში ცხადად გამოიკვეთა აზრი, რომ სტეფან ბერნადისი ან საერთოდ არ დაუჭრიათ, ან თუ დაჭრეს, ეს არა ვინმეს, არამედ თავად მოციგურავის და მისი საახლობლოს საქმეა და გარკვეულ სარეკლამო მიზნებს ისახავს თურმე. ხმებმა მოციგურავის სმენასაც უწია და ერთობ გააბრაზა. „ამ ხალხს ნამუსი არა აქვს? ხომ არ შეიძლება, ენა ასე გაიტლიკო“ — ჯავრიანად შენიშნა ბერნადისმა და რამდენიმე ტელეკამერის თვალწინ მარცხენა მკლავი მოიშიშლიფა. იქიდან ფრიად უსიამოვნო ჭრილობა იყურებოდა. „იქნებ ახლა მაინც ირწმუნოს ხალხმა და უაზრო ლაპარაკს შეეშვას“ — მოციგურავემ სახელო შეიკრა — „ერთი რამეც უნდა ვთქვა. ადრე ორჯერ დამირეკა ვილაცამ და ხმა არ ამოიღო, მაგრამ თავს დავდებ, ყურმილს იყო აკრული, მისი სუნთქვა მესმოდა. მერე, პარიზში რომ სახლი მაქვს, იმის წინ მანქანა გავაჩერე და გადმოვედი თუ არა, უმალ შევნიშნე მიწაზე დაგდებული ქაღალდის ფურცელი, რომელზეც ასეთი რამ ეწერა: „შენ მალე მოკვდები“. საშინელი ხელით იყო ნაწერი და არ შემშინებია, ვიფიქრე, ვილაც ბავშვის ნაჯღაბნია-მეთქი. ნაჯღაბნი კი არა...“ მოციგურავე ახლა ყველგან მცველების თანხლებით დადის და საეჭვოს არავის იკარებს, ნიცაში კი, ყველაფრის მიუხედავად, ციგურაობა გრძელდება. გუშინწინ წყვილთა ორიგინალურ ცეკვებში ახალი სახელები გამოჩნდა, ოღონდ პირველადგილოსანთა, თორემ ისე იტალიელების, ბარბარა ფუზარ-პოლისა და მაურიციო მარგალიოს დუეტს, მოსრიალეთა სამყარო მშვენივრად იცნობს მათი მრავალრიცხოვანი მეორე ადგილების გამო. ამჯერად აპენინელებმა ფრანგი ფავორიტებიც (მარინა ანისინა და გვენდალ პეიზერა) დაჯაბნეს და ჩემპიონატის პირველი ოქრო მოიგეს.

ცოტა მოულოდნელად დამთავრდა თავისუფალ პროგრამაში მამაკაცთა ერთეულების შეჯიბრი. პირველ ადგილზე ფავორიტი გავიდა — რუსი ალექსეი იაგუდინი და გამარჯვების შემდეგ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მართალია, ლოთია, მაგრამ ყინულზე მთვრალი ცხოვრებაში არ გასულა. მოულოდნელობა კი ის გახლდათ, რომ უმეღლოდ დარჩა რუსივე ევროპის ჩემპიონი, 17 წლის ევგენი პლუშენკო. მას ორმა გაუსწრო — კანადელმა შავქამრიანმა კარატისტმა, 3-გზის მსოფლიოს ჩემპიონმა, ერთხანს ჩაძირულმა და ახლა მობრუნებულმა ელვის სტოიკომ და ამერიკელმა მაიკლ ვეისმა.

**დავით გულუა**




ბარბარა ფუზარ-პოლი და მაურიციო მარგალიო: ფიგურული სრიალი ძალიან გართულდა



# სად ვარ, რა მოხდა?

## იკითხა მაკსორლისგან გამეტებულმა ბრაშირმა

30 მარტი

**ვაშინგტონი — პიტსბურგი 3:4**

2:2 0:0 1:1 0:1

1:0 ჰალპერნი 5'18 (17); 1:1 კოვალიოვი 15'16 (24); 2:1 ზედნიკი 15'59 (17); 2:2 ლანგი 17'03 (22); 2:3 ბერანეკი 50'40 (13); 3:3 საიმონი 53'52 (29); 3:4 ჰ იუნსონი 62'25 (3)

**ბოსტონი — სენტ ლუისი 2:3**

1:1 0:1 1:1

1:0 ტორნტონი 6'47 (22); 1:1 პეხტი 11'16 (11); 1:2 პეხტი 34'34 (12); 1:3 იანგი 44'37 (21); 2:3 სამსონოვი 48'44 (19)

**ტამპა — ოტავა 6:3**

0:1 3:1 3:1

0:1 ფილიპსი 10'49 (5); 1:1 პოსმაკი 22'39 (1); 2:1 პოლცინგერი 23'00 (9); 2:2 სალო 24'48 (6); 3:2 შვეიკოვსკი 34'51 (5); 3:2 ლეკავალიე 45'37 (23); 5:2 პრიმო 52'49 (7); 5:3 პროსპალი 57'16 (22); 6:3 ურინერი 58'40 (12)

**ჩიკაგო — ტორონტო 4:0**

1:0 1:0 2:0

1:0 ერიკსონი 18'36 (3); 2:0 ჟამნოვი 25'51 (21); 3:0 ნიულანდერი 41'36 (23); 4:0 პრობერტი 45'53 (3)

ჯერ კიდევ ორი-სამი კვირის წინ ნიუ ჯერსი აღმოსავლეთში ლიდერობდა, მაგრამ გუნდში შექმნილი არაჯანსაღი ატმოსფეროს კვალი თამაშსაც დაეტყო, რასაც მთავარი მწვრთნელის, რობი ფტორეკის დათხოვნა მოჰყვა. თუმცა მისი შემცვლელის, ყოფილი ასისტენტის ლარი რობინსონის ხელმძღვანელობით ჩატარებული სამი მატჩიდან „ეშმაკებმა“ ორი წააგეს, რითაც ერთბაშად სამ კონკურენტს მისცეს მასთან მიახლოების შანსი. ასე რომ, პირველი ადგილისთვის ბრძოლაში პლეი ოფის საგზურებისთვის დავამ დროებით უკანა პლანზე გადაინაცვლა. ამჯერად ერთ-ერთ კონკურენტს, ვაშინგტონს შეეძლო ერთპიროვნული ლიდერი გამხდარიყო, მაგრამ ჩინებულად მოასპარეზე დედაქალაქელების მეტოქე პიტსბურგი იყო, რომელიც მოგების შემთხვევაში პრაქტიკულად იბევებდა სათახო საგზურს. ამიტომაც ორივე გუნდი მთელი ძალით ჩაება ბრძოლაში და თამაშიც ძალიან საინტერესო გამოდგა. პიტსბურგმა, რომელიც იარომირ იაგრის გარეშე თამაშობდა, ტერიტორია დაუთმო მეტოქეს, თუმცა ძალიან სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდა და მწვავე მომენტებიც ხან ერთ კართან იქმნებოდა, ხან — მეორესთან. საბოლოოდ ძირითად დროში მეტოქეებმა სამ-სამი გოლი გაიტანეს მაშინ, როცა ორჯერ მეტი მაინც შეეძლოთ.

ოვერტაიმში ბედმა სტუმრებს გაუღიმა და ახალბედა მცველმა, ჰანს იუნსონმა უძლიერესი დარტყმით თავისი ხანმოკლე კარიერის უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა. თუმცა ვაშინგტონი მოპოვებული ერთი ქულით მაინც ალზევდა პირველ ადგილზე, რადგან ნიუ ჯერსისთან პირად შეხვედრაში უპირატესობა აქვს.

ლიდერობის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა, ტორონტომ, უნიათოდ ჩაატარა თამაში ჩიკაგოში. საინტერესოა, რომ „ქორები“ ზედიზედ მეორე სეზონია, კარგად ატარებენ ჩემპიონატის ფინიშს, თუმც მათი მონდომება დაგვიანებულია.

რაც შეეხება საპლეიოფო საგზურებისთვის ბრძოლას, აღმოსავლეთში მისმა დაძაბულობამ იკლო. ფაქტობრივად, ერთი ადგილიღა დარჩა, რომელსაც ბუფალო, მონრეალი და კაროლინა ეცილებიან ერთმანეთს. მათ შორის, ვფიქრობთ, ბუფალოელთა შანსები სჭარბობს, რადგან „დედლაინზე“ დუგ გილმორის (7 თამაშში 13 (3+10) ქულა) და კრის გრეტონის შეძენის შემდეგ, „ხმლები“ ძალიან მძლავრად გამოიყურებიან. მონრეალს კი რამდენიმე მოთამაშე აკლია და უდიდესი თავგამოდების ხარჯზე აგრძელებს ბრძოლას.



სენტლუისელი სკოტ იანგის ამ იერიშს გოლიც მოჰყვა

დასავლეთში კი საპირისპირო ვითარებაა. ფაქტობრივად, გამარჯვებული სამივე დივიზიონში გამოვლინდა, ხოლო სენტ ლუისი კონფერენციაში პირველობას ალარავის დაუთმობს. ხუთშაბათს „ბლუზმენებს“ პლეიმეიკერი ტარჯონი დაუბრუნდათ, რომელმაც 29 მატჩი გამოტოვა. ეს მოვლენა გუნდმა ორი საკლუბო რეკორდით აღნიშნა — 49 მოგებით და 108 ქულით. კლუბის კიდევ ერთი ლიდერი, პავოლ დემიტრა, რომელმაც წინა მატჩში ტვინის შერყევა მიიღო, პლეი ოფისთვის დაბრუნდება.

სამაგიეროდ, ბევრი რამ არის გაურკვეველი საპლეიოფო ბრძოლაში. ოთხ გუნდს, რომელთაც უკვე გაინაღდეს თასის საგზური, მალე ლოს ანჯელესიც შეუერთდება. აი, ფინიქსი კი, რომელიც ერთხანს ჩინებულად თამაშობდა, ზედიზედ შვიდი მარცხის შემდეგ სახიფათო ზღვარს მიუახლოვდა. ამიტომაც მას, ედმონტონსა და სან ხოსეს გვარიანი ჯაფა მოუწევთ, რათა ათამაშებული ვანკუვერისა და ანაჰაიმისგან თავი დაიცვან. აქვე გეტყვით, რომ ვარჯიშს შეუდგა ვანკუვერის ფორვარდი, დონალდ ბრაშირი, რომელიც მარტი მაკსორლის იმ ავადსახსენებელი ილეთის შემდეგ ველარც კი იხსენებდა, რა დაემართა.

**სამველ ლარიბიანი**

### სატურნირო ვითარება

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 77 | 42 | 11 | 2 | 24 | 215:182 | 97 |
| ნიუ ჯერსი | 77 | 42 | 8 | 5 | 27 | 237:191 | 97 |
| ტორონტო | 77 | 42 | 7 | 3 | 28 | 232:209 | 94 |
| ფილადელფია | 76 | 40 | 12 | 3 | 24 | 219:171 | 95 |
| ფლორიდა | 76 | 40 | 5 | 5 | 31 | 224:195 | 90 |
| ოტავა | 76 | 38 | 11 | 2 | 27 | 229:198 | 89 |
| პიტსბურგი | 77 | 34 | 8 | 6 | 35 | 229:225 | 82 |
| მონრეალი | 77 | 33 | 9 | 3 | 35 | 182:182 | 78 |
| ბუფალო | 76 | 32 | 10 | 3 | 34 | 200:196 | 77 |
| კაროლინა | 77 | 33 | 10 | 0 | 34 | 205:208 | 76 |
| რეინჯერსი | 78 | 29 | 11 | 3 | 38 | 214:233 | 72 |
| ბოსტონი | 77 | 23 | 18 | 6 | 36 | 198:231 | 70 |
| აილენდერსი | 77 | 22 | 8 | 1 | 47 | 182:263 | 53 |
| ტამპა | 76 | 18 | 8 | 7 | 50 | 190:285 | 51 |
| ატლანტა | 76 | 13 | 7 | 4 | 56 | 157:289 | 37 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 77 | 49 | 10 | 0 | 18 | 234:152 | 108 |
| დალასი | 77 | 43 | 8 | 5 | 26 | 201:169 | 99 |
| კოლორადო | 78 | 38 | 11 | 1 | 29 | 221:194 | 88 |
| დეტროიტი | 78 | 47 | 9 | 2 | 22 | 268:198 | 105 |
| ლოს ანჯელესი | 77 | 36 | 11 | 4 | 30 | 234:219 | 87 |
| ფინიქსი | 76 | 36 | 7 | 3 | 33 | 218:215 | 82 |
| ედმონტონი | 77 | 29 | 16 | 8 | 32 | 209:198 | 82 |
| სან ხოსე | 77 | 32 | 10 | 7 | 35 | 214:203 | 81 |
| ანაჰაიმი | 77 | 32 | 12 | 2 | 33 | 203:214 | 78 |
| ვანკუვერი | 77 | 28 | 14 | 8 | 35 | 213:225 | 78 |
| კალგარი | 76 | 30 | 9 | 5 | 37 | 196:236 | 74 |
| ჩიკაგო | 77 | 30 | 9 | 2 | 38 | 226:234 | 71 |
| ნეშვილი | 78 | 27 | 7 | 7 | 44 | 193:228 | 68 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები*

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 92 (39+53); პ. ბურე (ფლორიდა) 87 (55+32); რეკი (ფილადელფია) 85 (26+59); ნოლანი (სან ხოსე) 84 (44+40); ამონტე (ჩიკაგო) 79 (39+40); აიზერმანი (დეტროიტი) 79 (35+44); მოდანო (დალასი) 78 (37+41); კარია (ანაჰაიმი) 77 (38+39); შენაჰანი (დეტროიტი) 76 (39+37); სელიანე (ანაჰაიმი) 76 (30+46); საკიკი (კოლორადო) 76 (27+49); დემიტრა (სენტ ლუისი) 75 (28+47); ლეკლერი (ფილადელფია) 74 (38+36); რენიკი (ფინიქსი) 74 (33+41); ვ. ბურე (კალგარი) 73 (35+38)*

*მცველები: ლიდსტრიომი (დეტროიტი) 70 (19+51); პრონგერი (სენტ ლუისი) 56 (13+43); რ. ბლეიკი (ლოს ანჯელესი) 55 (17+38); გონჩარი (ვაშინგტონი) 53 (18+35); დესარდენი (ფილადელფია) 51 (13+38); ჰაუსლი (კალგარი) 51 (10+41); ბურკი (50 (17+33); ოზოლინში (ორივე კოლორადო) 50 (16+34); ტვერდოვსკი (ანაჰაიმი) 48 (15+33); შვეჰლა (ფლორიდა) 46 (9+37); ჰილი (კაროლინა) 43 (12+31)*

*ახალბედები: გომესი (ნიუ ჯერსი) 66 (18+48); მ. იორკი (რეინჯერსი) 49 (25+24); ტანგეი (კოლორადო) 48 (15+33); განი (ფილადელფია) 45 (19+26); ჰლავაჩი (რეინჯერსი) 42 (19+23); ლეტოვსკი (ფინიქსი) 37 (18+19); კონოლი (აილენდერსი) 34 (14+20); სტიუარტი (სან ხოსე) 34 (9+25); აფინოგენოვი (ბუფალო) 33 (16+17); მორიუ (დალასი) 32 (14+18); პეხტი (სენტ ლუისი) 32 (12+20)*

*მეკარეები (საშუალოდ ერთ თამაშში გაშვებული შაიბები): ტურეკი (სენტ ლუისი) 1, 92; ბუშე (ფილადელფია) 2,00; ბელფორი (დალასი) 2,05; თეოდორი (მონრეალი) 2,10; ვანბისბრუკი (ფილადელფია) 2,22; კოლციკი (ვაშინგტონი) 2,23; ბროდო (ნიუ ჯერსი) 2,27; რუა (კოლორადო) 2, 29*

## გერმანია

XXVII ტური

ფრაიბურგი 4:3 უნტერჰახინგი

1:0 ხელიმი (43), 1:1 ბრაიტენრაიტერი (42), 2:1 კობიაშვილი (50), 3:1 ბაია (61), 3:2 ზაიცი (65), 3:3 ბრაიტენრაიტერი (71), 4:3 რამდანე (77)

ულმი 0:3 დუისბურგი

0:1 ბაიერლე (33), 0:2 პირში (38), 0:3 სპისი (76)

II ბუნდესლიგა

ობერჰაუზენი 1:1 ვალდჰოფი

კიკერსი 2:0 ბერლინი

ჰანოვერი 2:0 ქემნიცი

## ინგლისი

I დივიზიონი

ჩარლტონი 2:1 ქუინზ პარკი

## თურქეთი

XXVII ტური -

დენიზლი 0:2 ტრაბზონი

## იტალია

სერია B. XXIX ტური

მონცა 2:1 ჯენოა

## ჰოლანდია

XXVIII ტური

დენ ბოსხი 1:1 ტილბურგი

ჰერენვენი 1:0 ნაიმეგენი

როდა 3:0 აიაქსი

## ჩეხეთი

XXIII ტური

ბრნო 2:0 ბუდეიოვიცე

## საფრანგეთი

II დივიზიონი

31-ე ტური. აიაჩო — ტულუზი 0:1; ამიენი — კანი 0:2; ლავალი — ლე მანი 2:1; ლილი — ვალანსი 4:1; ნიცა — ვასკელი 1:1; შატორუ — ლუანი 3:2; სოშო — ლორიანი 1:1

„ლილი" გადავიდა უმაღლეს დივიზიონში



REUTERS ტოკიოდან

ამ „ტოკიო დოუმში" მეიჯორ ლიგის ორმა გუნდმა გახსნა სეზონი. პირველად ლიგის ისტორიაში, „ნიუ იორკ მეტსმა" და „ჩიკაგო კაბზმა" სეზონის გამხსნელი სერია ამერიკის გარეთ გამართეს და ბეისბოლის იაპონელი გულშემატკივარნი გაახარეს.

# ბეისბოლი ხურდება

სხვანი კი ჯერჯერობით წინასასეზონო თამაშებში სინჯავენ ძალას. ჰიუსტონის „ინრონ ფილდზე", იქაური „ასტორზი" ნიუ იორკელ „იანკებს" ევარჯიშება. ჰიუსტონელებს ერთი თხაწვერა მოთამაშე, ჯეფ ბეგუელი ჰყოლიათ. „ასტორზის" ქომაგებსაც ამიტომ მიუწებებიათ თხის წვერები. ეს სანიკაპე მოწყობილობა მრავლად იყიდება „ინრონ ფილდზე".





REUTERS სოფიიდან

# მა, ხრისტო?

ახლა ჰოლივუდური ადათები ყველგან ვრცელდება. ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში სპორტის დიდების კედელს აშენებენ და ჩუბინ ბოლგართა ხელ-ფეხის ანაბეჭდებიც საჭირო შექნილა. ეგებ გაგიკვირდეთ და სპორტის დიდების კედლის პირველი ფილა, „შტუტგარტში" მოთამაშე კრასიმირ ბალაკოვის ფეხისგულს ერგო. მა, სტოიჩკოვიო? იკითხავთ თქვენ. ჩვენც ხმას შემოგიერთებთ: პირველი პლოვდიველი ხიხო უნდა ყოფილიყო. ეს ნალდია.



REUTERS ვაშინგტონიდან

# შენს ადგილზე დაგსვამო

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში რომ ფიცხელი ბრძოლებია, თქმა არ უნდა. აგე, ვაშინგტონელ კრის საიმონს იმგვარ ძალისმიერ ილეთზე წამოუგია პიტსბურგელი იოზეფ ბერანეკი, რომ ლამის არის ტიხარს იქეთ გადავარდეს და თანაგუნდელ რობერტ ლენგს ყინულზე შემოსვლაში შეუშალოს ხელი. ამას ჰქვია, შენს ადგილზე დაგსვამო.

# სეპანგზე იომებენ



REUTERS კუალა-ლუმპურიდან

მალაიზიის დიდი პრიზი თამაშდება. მოტომრბოლნი კუალა-ლუმპურში შექრილან და სეპანგის ტრასაზე მტკვრის ასაყენებლად ემზადებიან. 500 კუბურ სანტიმეტრიან ძრავთა ჭიდილში დიდი ამბავია. ამ კლასის წინანდელ ჩემპიონს ესპანელ ალექს კრივილს ალბათ ძალიან გაუჭირდება ტიტულის შენარჩუნება. თუნდაც იმიტომ, რომ აზიელ ლამაზმანთა შორის მოხვედრილი ეს კაცი, იტალიელი ლორის კაპიროსი, ძალიან უშლის ხელს. ისე კი, მალაიზიაში თვალსასეიერო ბევრია, თუნდაც ეს მსოფლიოში უმაღლესი ტყუპი კოშკი, რომლის ფერხთითაც სამახსოვრო ფოტოები გადაუღიათ „აპრილიასა" და „ჰონდას" გუნდების წევრებს.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ქეთი გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli